სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 მაისი 1999 №84 (857) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი იოჰან ბოსკამპისგან ახალკაცობას ელის

გადრი კეთილაძის ფოტო

ქართველ მწვრთნელებს აღარ შეუძლიათ ნაკრების ფეხბურთელთა ძველებურად მართვა, ქართველ ფეხბურთელებს კი აღარ სურთ მათდამი უსიტყვო მორჩილება. მეტიც, ქართველ ფეხბურთელებს ეეჭვებათ ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაცია. ქართული საფეხბურთო სიტუაცია უკვე მომწიფდა ახალი კაცისთვის. შეძლებს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ახალკაცობას?

იხილეთ მესამე გვერდი

სამგურალმა ლოკომოტივი ოფსაიდში დატოვა?

წყალტუბოელები თასის ფინალში წაგებითაც კი შესაძლოა უეფას თასზე გავიდნენ

მიუღწეველი „ილ გრანდე ინტერ“

მასიმო მორატი პრეზიდენტობიდან გადადგა

გერმანელების მეხუთე და უკანასკნელი თასების თასი



ოტო რეჰაგელის გუნდის ტრიუმფი

ფრანკფურტის „აინტრახტი“ 100 წლისაა

იუბილე, რომლისთვისაც არავის სცხელა

დღეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პლეი ოფი იწყება



დინამო ქუთაისში ევროპის რეკორდს შეუტევს

ხვალ თბილისის „დინამო“ ქუთაისის „ტორპედოს“ სტუმრობს და, ცხადია, არწაგებას ეცდება. ასეთ შემთხვევაში თბილისელები ჩემპიონობას უახლოესი მდევრის სარბიელზევე გაინაღდებენ და ტორპედოელებს დიდ სირცხვილსაც აჭმევენ. თუ ასე მოხდა, „დინამოს“ ხვალიდანვე სატრაბახო ერთიც ექნება, ევროპაში ზედიზედ ათჯერ ჩემპიონი ჯერაც არავინ გამხდარა.

27 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

ჩემი ოქრო ჩემთან მოდა!

ბადრი კილასონიძის ფოტო

ქუთაისელებს შარშან გაზაფხულზე მცხეთაში „დინამოსთან“ 0:3 წაგება ჯერაც არ დავიწყნიათ

დაინგრევა გივი კილაძე

— საიდან მოიტანთ ხოლმე ასეთ სათაურებს.

— რა, არ მოგწონს?

— გააჩნია, რას გულისხმობ.

— „ტორპედოს“ ირონიანარევ მუქარას „დინამოს“ მიმართ.

— კარგია.

— მერე, დატვირთვაც აქვს მაგ სათაურს.

— როგორი?

— „დინამომ“ მოიგო, თავის ოქროსაც ვადამდე მოისაკუთრებს.

— ეგ გამორიცხულია.

— ვითომ რატომ?

— შენ იცი, რა ხდება ქუთაისში?

— რა ხდება ასეთი?

— ორმაისობის ზეიმზე ხალხი მხოლოდ ერთზე ლაპარაკობდა.

— რაზე?

— 9 მაისის მატჩზე.

— რაო მაინც, რას ამბობდნენ?

— რაო და ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი სულ არ გვაინტერესებს. დაგვაწყდა ნერვები „დინამოს“ მოლოდინშიო. შემშურდა მათი.

— რაღაც ქუთაისურად ჭიკჭიკებ.

— დიდ პატივს ვცემ იქაურ საფეხბურთო სკოლას.

— ჰო, ადრე...

— რას ჰქვია ადრე. დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

— ფაქტები?

— კი, ბატონო. „ტორპედოზე“ რომ აღარაფერი ვთქვა, ზესტაფონში, ვანში, წყალტუბოში, სამტრედიაში მოთამაშეთა უმეტესობა ქუთაისელია.

— მერე?

— „მარგვეთი“ და „სულორი“ პირველ ჯგუფში დაბრუნებისთვის იბრძვიან. „სამგურალი“ ისტორიაში პირველად თასის ფინალში გავიდა. „იბერიას“ ტყუპი გიგიაძეებით გააქვს ლელო. ერთი იმ გუნდში არ არიან ქუთაისელები და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვჭრის თავს.

— რომელში?

— აი, ეროვნულ ნაკრებს რომ ეძახდნენ.

— შენთან კამათს აზრი არ აქვს.

— არც ის დაგავიწყდეს, „დინამოს“ გივი დიდავათი და მიხეილ აშვეთიათი რომ უდგას სული.

— შემეშვი, თუ ძმა ხარ, ხვალინდელ შეხვედრაზე მელაპარაკე.

— ხომ გითხარი, „გივი კილაძეს“ ზღვა ხალხი მიაწყდება-მეთქი.

— მაინც რამდენი?

— მინიმუმ 15 ათასი.

— „დინამოს“ ფან-კლუბიც რომ აპრებს ჩასვლას?

— ეგ რომ გაიგეს, სიცილით კინალამ დაიხოცნენ.

— რა აცინებდათ?

— შენ მოგისმენია, „ტორპედოს“ ქომაგების „ჰარი-ოდილა“, „ჰარი-ოდილას“ რომ დააგუგუნებენ?

— მერე?

— რა, მერე? ჩათვალე, რომ დიდავას, აშვეთიას და ყოფილ ტორპედოელებს — ვაშაკიძესა და ჯინჭარაძეს გულები აუჩუყდებათ...

— რა ზღაპრებს ჰყვები. აშვეთია არ იყო, პირველ წრეში „ტორპედოს“ რომ გაუტანა ის ერთადერთი გოლი?

— მაგაში მართალი ხარ.

— ჰოდა, თუ მართალი ვარ, შეეშვი მაგ მიკერძოებულ ლაპარაკს და პროგნოზი მითხარი.

— დაინგრევა „გივი კილაძე“...

— ეგ რა პროგნოზია?

— მე შენ გეუბნები. „ტორპედომ“ თუ მოიგო, დაინგრევა სტადიონი, თუ წააგო, მაშინაც.

— ფრეზე?

— ფრის შემთხვევაში ნაკლები ვნებათაღელვაა მოსალოდნელი.

— შენ რომ გისმენ, თავი სიზმარში მგონია.

— რატომ?

— ვერ წარმომიდგენია, თუ ამდენი ხალხი დაესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩს.

— იცი, რაზე მწყდება გული?

— რაზე?

— ასეთ შეხვედრებს ტელევიზია არ უნდა გადასცემდეს?...

— გეთანხმები.

— ახლა შენი პროგნოზი გამანდე.

— იოჰან ბოსკამპის კმაყოფილი სახე.

— რა?!

— მეტი რაღა გინდა? ჰოლანდიელი სპეციალისტიც კმაყოფილი დარჩება-მეთქი. „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩით...

სხვა ქალაქებში

— 26-ე ტურმა სულ არია ყველაფერი.

— ეგ, იცი, რისი ბრალია?

— რისი?

— „ვიტ ჯორჯიას“ და „მერანს“ ქებამ აწყინაო.

— აბა, ვინ იფიქრებდა.

— ისე, ხომ გითხარი მაშინ, ვიტელებს „ფოლადზე“ ძალიან გაუჭირდებათ, ხოლო „მერანი“ იბერიელ ტყუპ გიგიაძეებს უნდა უფრთხილდეს-მეთქი.

— ჰო, კარგი, მოეშვი ტრაბახს. ამ ტურში რას ელი?

— „გურიას“ მეორე ჯგუფთან საბოლოოდ ჩახუტებას.

— მაგი მარტის გაზეთში ეწერა, შენ ახალი მითხარი.

— „ოდიშის“ საქმეც წასულია.

— ვითომ გააგდებენ ორივეს?

— შენ რა, ძველი ფედერაცია რომ არ გგონია? ესენი არავის დაინდობენ.

— რომ შეიბრალონ?

— ახლა კაცმა კაცს რომ ხელი გაუმართოს, თანაც ასეთ დროში, გასაკვირია?

— წელან ერთი თქვი და ახლა მეორეს ამბობ?

— შენი რეაქცია მაინტერესებდა.

— ჩემი თუ ფედერაციის?

— შენც კაი ეშმაკი ხარ...

— ესე იგი, „კოლხეთი“ და „სამგურალი“ სტუმრად იმარჯვებენ. დანარჩენ წყვილებზე რა აზრი გაქვს.

— დანარჩენ მატჩებში მასპინძელთა მოგებებს ან ფრეებს უნდა ველოდოთ.

— ფრეებს სად?

— მაგალითად, ბათუმში.

— თსუ-ს გჯერა?

— არა, „ბათუმის“ უცნაური ხასიათის.

— ისე, როგორ აირია ეგ გუნდი?

— მასე რომ იქნებოდა, კარგა ხანია, ვიცოდი.

— მაინც როდიდან?

— ნახევარფინალში „ლოკომოტივთან“ დამარცხების მერე.

— „იბერია“ — „გორდა“?

— ტყუილად გელაპარაკე გიგიაძეებზე ამდენი?

— „ვიტ ჯორჯია“ მოუგებს, არა, „სიონს“?

— ეს დღესავით ნათელია. ბოლნისელები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ წლეულსაც გადათამაშებაში მოუწევთ მონაწილეობა.

— წესით, „ლოკომოტივმაც“ უნდა მოუგოს „მერანს“.

— წესით, ჰო. თანაც „მერანის“ მეოთხე ადგილზე გასვლის სურვილმა ჩაილურის წყალი დალია და ქულებიც აღარ სჭირდება.

— „ლოკომოტივს“ კვლავ ჰაერივით სჭირდება 3 ქულა.

— როგორც ყოველთვის. ჰოდა, მოიპოვებს, ალბათ, ტრანსპორტელთა დერბიში.

— დაგვრჩა „დილა“ — „არსენალი“.

— ორივეს თავი ქუდში აქვს, არა?

— რა ხანია უკვე.

— იცი, მაგ შეხვედრას რას დავარქმევდი?

— რას?

— საქართველოს ჩემპიონატის საკვიზიტო ბარათს.

— „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩს?

— ინტრიგას, ინტრიგას და კიდევ-ინტრიგას!

— მე კი ტკბილ მოგონებებთან შეხვედრას...

ხვიჩა სანიკიძე

საქართველოს ჩემპიონატი

ძუთაისი. „გივი კილაძე“. 9 მაისი. 18 საათი

ტორპედო — დინამო

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე“. 9 მაისი. 18 საათი.

გურია — სამგურალი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. მაისურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ჯ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

მცხეთა. „არმაზი“. 9 მაისი. 18 საათი

ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ხობი. „ცენტრალური“. 9 მაისი. 18 საათი

ოდიში — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ა. ქარქაშაძე (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 9 მაისი. 18 საათი

იბერია — გორდა

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

თბილისი. „26 მაისი“. ვაკე. 9 მაისი. 18 საათი

ლოკომოტივი — მერანი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

გორი. „ცენტრალური“. 9 მაისი. 18 საათი

დილა — არსენალი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ნ. ბაირამოვი (კახეთი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გაურკვეველი ვადით გადაიდო

ბათუმი — თსუ

XXVIII ტური

15 მაისი

თსუ — ვიტ ჯორჯია	(1:0)
არსენალი — ოდიში	(2:1)
კოლხეთი — ბათუმი	(1:2)
სიონი — იბერია	(2:1)
გორდა — ლოკომოტივი	(0:0)
მერანი — ტორპედო	(0:2)
დინამო — გურია	(1:0)
სამგურალი — დილა	(1:0)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

კაცი, რომელიც იცინის

საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიაში პირველად დაინიშნა უცხოელი კაცი მთავარ მწვრთნელად. იოჰან ბოსკამპი ფეხბურთში ჩახედული და ნორმალური საფეხბურთო იმიჯის მქონე პიროვნებაა, რომელსაც თვით როტერდამის „ფეიენოორდში“ უთამაშნია, ხოლო მწვრთნელობისას „ანდერლეხტს“ ედგა სათავეში და ბელგიის ჩემპიონობამდეც მიუყვანია.

ბოსკამპი უცხოელია. იგი ახალი კაცია ქართულ ფეხბურთში. შეძლებს კი ჰოლანდიელი HOMO NUOVO-დაც იქცეს?

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების და თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი და მისი თანაშემწე „დინამოში“ ფრანსუა დე იონგი (მარცხნივ) ჩინებულ ხასიათზე არიან

მწვრთნელი რომ ფეხბურთის „ახალ კაცად“ — HOMO NUOVO-დ იქცეს, მოცემულ საფეხბურთო ქვეყანაში სიტუაცია უნდა იყოს მომწიფებული სიახლისთვის. ყოველი ახალი, ყველა სიახლე რაღაც დოზით რევოლუციურ მარცვალსაც ატარებს და მგონია, რომ ქართულ ფეხბურთშიც სწორედ ასეთი წინარევოლუციური სიტუაციაა ამჟამად თავისი ორი ფაქტორით — ქართველ მწვრთნელებს აღარ შეუძლიათ ნაკრების ფეხბურთელთა ძველებურად მართვა, ქართველ ფეხბურთელებს კი აღარ სურთ მათდამი უსიტყვო მორჩილება.

მეტიც, ქართველ ფეხბურთელებს მასიურად შეაქვთ ეჭვი ქართველი მწვრთნელების კვალიფიციურობაში.

ანუ, ქართული საფეხბურთო სიტუაცია უკვე (!) მომწიფდა ახალი კაცის — HOMO NUOVO-სთვის.

ადრეც ხდებოდა ქართულ ფეხბურთში მსგავსი რამ. ჩამოჰყავდათ უცხოელი მწვრთნელი და... როგორც წესი, შედეგი მოდიოდა.

გავიხსენოთ იაკუშინი, კაჩალინი, ზონინიც კი... ესენი განსხვავებული სტილის, მენტალიტეტის ადამიანები და მწვრთნელები იყვნენ, მაგრამ მაინც შეძლეს ბევრი რამის შეცვლა — კაჩალინი ინტელიგენტურობით, იაკუშინი მკაცრი აურით, ზონინი თავისი ვულგარული მანერებით როგორღაც ახერხებდნენ მოეთოკათ ქართველი ფეხბურთელების ვარსკვლავური ბუნება.

და თუ ვარსკვლავები არ მოუკრეფიათ დინამოელებს ამ სამეულიდან ყველაზე სუსტი ზონინის დროს, გუნდს მონახაზი, სათამაშო მანერა ნამდვილად ჰქონდა.

ახლა ზონინის „მეცხრე ტალღა“ — ქეცბაია-ფანცულაიას დუეტი მატჩის ბოლოს?

ერთი სიტყვით, რაღაც შეცვალა იმ კაცმა, თუნდაც წვრილმანი, მაგრამ მაინც შეცვალა — თანაც იგივე შემადგენლობაში.

ეს ზონინზე... და კაჩალინი და იაკუშინი?

და იცით, რატომ, ხდებოდა ასე? რატომ ემორჩილებოდა ქართველი ვარსკვლავების ახირებული ბუნება უცხოელ მწვრთნელებს? იმიტომ, რომ მათი წარსულის რიდი ჰქონდათ — ყველა ასე ფიქრობდა, მე კი მაგარი ფეხბურთელი ვარ, მაგრამ არც „ეს“ არის ნაკლები მწვრთნელი, თანაც უცხოაო.

ქართველის ბუნება ასეთია — პატივს ავტორიტეტებს სცემს. ყველაფერ კარგს კი „საუცხოოს“ ეძახის. იქნებ, ამ შემთხვევაშიც უცხო წამალმა გაჭრას.

ამ კონტრაქტის ერთ-ერთ ნაკლად მისი მოკლევადიანობა მიმაჩნია. არადა, ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელთან ხანგრძლივ კონტრაქტზე იყო საუბარი — ამ შემთხვევაში ბოსკამპისთვის იმდენი დრო უნდა მიეცათ, რამდენიც ახალი გუნდის აშენებას დასჭირდებოდა. ვამბობ, ახალი გუნდი და სრულიადაც არ მიმაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები სხვა, ბოსკამპის მიერ „მარსზე აღმოჩენილი“ ფეხბურთელებით უნდა დაკომპლექტდეს. ნაკრების ძველ ფეხბურთელთა გარკვეული რაოდენობა, რა თქმა უნდა, ბოსკამპის ხელშიც დარჩება ნაკრებში. მხედველობაში „ძველი აგურებით ახალი შენობის აშენება“ მაქვს.

მაგალითად, ბოსკამპი ოთხ ქართველ მცველს ახლებურად, ერთ ხაზზე თამაშს უპირებს.

მაგალითად, ბოსკამპი ერთი (ორი, სამი) ფორვარდით თამაშს აპირებს...

ერთი სიტყვით, ბოსკამპმა ბევრ რამეს შევცვლიო.

ამისთვის კი ექვსი თვე მიზერული დროა.

სათქმელია ისიც, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აქედანვე ნათელი უნდა მოჰფინოს, რას მოსთხოვს ახალ მწვრთნელს, მინიმუმიც და მაქსიმუმიც წინასწარ უნდა გაცხადდეს. უნდა ვიცოდეთ ისიც, ვინ რაზე აგებს პასუხს, თორემ მივეჩვიეთ, რომ მწვრთნელის წასვლის შემდეგ ქოქოლას მივაყოლებთ ზურგში და ყველაფერი ამით მთავრდება.

მაშ, რას უნდა ველოდეთ იოჰან ბოსკამპისგან — ნაკრების დარჩენილ მატჩებში ღირსეულ გამოსვლას, მისი მწვრთნელობის გარდამავალ პერიოდად გამოყენებას თუ მისი მეოხებით მთლიანად საფეხბურთო სისტემის რეორგანიზაციას?

ეს არ არის ხმამაღალი ნათქვამი — ქვეყანაში ჩამოჰყავთ კაცი, აბარებენ მას ქვეყნის მარად ჩემპიონს, პირველ ნაკრებს, უქმნიან, როგორც ამბობენ, ჩვენში ჯერარნახულ პირობებს და...

მთავარი სწორედ აქედან იწყება — რას ვთხოვთ იოჰან ბოსკამპს?

„დინამოს“ შემთხვევაში ყველაფერი გარკვეულია. ვიცით, რომ გუნდის მწვრთნელს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა დაუსახეს მიზნად. ისიც მოვიდა, ნახა და გაიმარჯვებს თუ არა, დრო გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, დიღმის ბაზაზე ყველაფერი გარკვეულია, მწვრთნელს აქვს გეგმა, პროგრამა, ჰყავს კონტინგენტი, ელოდება შევსებას და ფიქრობს შედეგზე.

სულ სხვა სიტუაციაა სანაკრებო სფეროში — აღმასკომის სხდომის შემდეგ სფფ-ს პრეზიდენტი შემდეგ სიტყვებს ამბობს: ამ კაცს რომ ევრო 2000-ზე მოხვედრა მოვთხოვოთ, არარეალური იქნებაო. ამავე დროს ფედერაციის გენერალური მდივანი სულაც არ გამორიცხავს ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლას და შესაბამისად, გადათამაშებაში მოხვედრას.

რეალურად თუ ვიმსჯელებთ, მეორეადგილოსან ლატვიას საქართველოს ნაკრები ოთხი ქულით ჩამორჩება. ეს კი არც ისე უსაშველო სხვაობაა. „მისი ამოქაჩვა“ შესაძლებელია.

ანუ თავმოყვარე გუნდი და მწვრთნელი ისევ იფიქრებდა რაღაცაზე.

პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბოსკამპთან და ნაკრებთან დაკავშირებით ერთგვარი ინფორმაციული ბურუსია ჩამოწოლილი. საერთოდ, ჯერ დასკვნების გამოტანა ნაადრევია, მაგრამ უცხოელ მწვრთნელს უკვე შევუქმენით „სრულიად ქართული ფეხბურთის მასწავლებლის“ იმიჯი და ეს, არა მგონია, თვით ბოსკამპისთვისაც კი მცირე ტვირთი იყოს.

რა უნდა ასწავლოს ქართველ ფეხბურთელებს იოჰან ბოსკამპმა? ალბათ, პირველ რიგში, სწორი ფეხბურთი და სწორი მიდგომა ფეხბურთისადმი.

არ ვამბობ, რომ თავიანთ კლუბებში ქართველი ფეხბურთელები არასწორად, არაპროფესიონალურად უდგებიან საქმეს, მაგრამ იმას კი დავიჩემებ, რომ საქართველოში ჩამოსვლისას ბევრი მათგანი მოდუნების უფლებას აძლევს თავს და ეს ნაკრების შედეგზე და თამაშზეც აისახება-ხოლმე.

და როცა ვინმე რამეს იტყვის ამის შესახებ, მიდის ათასგვარი ბუტიაობა, მტყუან-მართალის გარჩევა — თქვენ თუ გინდათ, თორემ, მე სულ არ მინდა — და სხვა ამგვარები. იცით, რატომ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ ზედმეტად აითქვიფა, აიზილა ქართულ ფეხბურთში ყველა და ყველაფერი — გუნდი, ჩინოსანი, მწვრთნელი, ფეხბურთელი. ყველამ ყველას ყველაფერი იცის და თუკი ვინმე დააშავებს რამეს, კრიტიკაზე პასუხიც მზადა აქვს — ვინც უცოდველია, იმან გამაკრიტიკოსო... ერთი სიტყვით, ცოდვა-ბრალს უთვლიან ერთმანეთს.

თანაც, ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ადამიანთა უმეტესობამ დაივიწყა ძველთაძველი საფეხბურთო სიბრძნე, ერთნაირად რომ ჭრის ინგლისშიც და ტაივანშიც — მინდორზე მომხდარი, მინდორზევე რჩება.

ამის გამო იყო, ნაკრების სამზარეულოს ამბები ქვეყანას მოედო და რა შედეგიც მოიტანა, ყველამ ვნახეთ.

დაახლოებით ამგვარი, ჩვენში მივიწყებული საფეხბურთო სიბრძნეები, უნდა შეახსენოს იოჰან ბოსკამპმა ქართველ ფეხბურთელებს.

ერთი მხრივ, კარგიცაა, რომ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ნაკრების მესაჭეობას „დინამოს“ მწვრთნელობაც შეუთავსა — უფრო უკეთ ჩაიხედავს იმ ჭაობში, ახლანდელი ქართული ფეხბურთი რომ ჰქვია. დაინახავს ყველაფერს — დაგრეული საფეხბურთო მეურნეობიდან დაწყებული, ჩაწყობილი თამაშებით დამთავრებული.

უცხო თვალი კარგად ხედავსო და იოჰან ბოსკამპიც აუცილებლად იტყვის ამაზე, მერე კი, როცა მის ნათქვამს ყველა გაიგებს, ვეღარ ადგება და ვერ განაცხადებს აუტსაიდერი გუნდის მწვრთნელი ქვეყნის მარად ჩემპიონს ღირსეულად ვეთამაშე, ის თამაში ჩაწყობილი არ იყოო...

თითქმის ყველამ იცის, სეზონის ბოლოს როგორ „უწვებიან“ არხეინი გუნდები იმათ, ვისაც ქულები სჭირდებათ. ეს ყველამ იცის და არავინ არაფერს ამბობს. თუ ბოსკამპი ისაა, ვინც გვინდა იყოს, მან ამაზეც უნდა თქვას.

რახან ძალით იბრძვებენ თვალს და თითი აუცილებლად უცხომ უნდა ატაკოთ, აჰა, ბარემ ბოსკამპი გახდეს ის კაცი.

აი, ამის (ალბათ ბევრი სხვა რამის) გაკეთება შეუძლია ბოსკამპს.

მას ქართული მასშტაბებით არნახულ თანხას უხდიან და ეს თანხა (ნდობაც) უნდა გაამართლოს.

მერე ერთი ახალიც მოვისმინეთ ბოსკამპისგან აღმასკომის სხდომის დამთავრების შემდეგ — სასურველია, საქართველოს ყველა ნაკრებმა ერთი სისტემით და სტილით ითამაშოსო.

ეს სჩვევიათ ჰოლანდიელებს, საერთოდ ევროპელებს. მაგალითისთვის „აიაქსის“, ანაც „ბარსელონას“ სათამაშო სტილს მოვიყვანთ — ვის არ უთამაშია ამ გუნდებში, ვის არ უმუშავია მწვრთნელად — არც „აიაქსის“, არც „ბარსელონას“ სტილი არ შეცვლილა.

არ შეცვლილა წლების მანძილზე. არ შეცვლილა იმიტომ, რომ „აიაქსის“ ანაც „ბარსელონას“ მეათე გუნდის ფეხბურთელსაც ისეთივე ფეხბურთს უქადაგებდნენ, როგორსაც პირველი გუნდის ვარსკვლავი თამაშობდა.

ჰოდა, ამიტომაა ათწლეულების მანძილზე თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ რომ მიმდინარეობს ევროპის ამ გრანდებში. სულ ერთი-ორი სეზონით მოდუნდა „აიაქსი“. ერთბაშად გაყიდა თავის სკოლაში აღზრდილი ფეხბურთელები, აქცენტი მოწვეულებზე გადაიტანა და აი, „აიაქსი“ აღარ არის „აიაქსი“.

საქართველოს ყველა ასაკის ნაკრები რომ ერთი სტილით ითამაშებს, ქართულ ნაკრებებს ერთი საფეხბურთო სტილი ჩამოუყალიბდება, შესაბამისად გაადვილდება სასელექციო მუშაობაც და თუ, ვთქვათ, ვინმე პირველი ნაკრებიდან ფორმაში ვერ იქნება, მას მეტ-ნაკლებად ადვილად მოეძებნება შემცვლელი.

და აღარ მოხდება ისე, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდში ერთბაშად ექვსმა ცაციამ ითამაშოს.

მოვიდა ბოსკამპი და ამ თავისი გაანცხადებით ერთი რამეც თქვა — ყველა და ყველაფერი ეროვნული ნაკრების სამსახურში უნდა ჩადგეს და მის ინტერესებს დაემორჩილოს.

ეს თავისთავად გამოიწვევს მთლიანი საფეხბურთო ხედვის გადასინჯვასაც — ქომაგი, ფეხბურთელი, ჟურნალისტი, ჩინოსანი გულს არ დაიმშვიდებს იმით, რომ გუცავევს ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიას მოუგო და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

ყველანი იმაზე იფიქრებდნენ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა ციკლი ჩააფლავა. რომ ეს არის მთავარი, ხოლო ახალგაზრდული გუნდის შედეგი მეორეხარისხოვანია.

თუ ნაღდი ევროპელია, ასე უნდა ფიქრობდეს ბოსკამპი.

თუ თანამედროვე ფეხბურთის ფერხულში გვინდა ვიყოთ, ასე უნდა ვიფიქროთ ჩვენც, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

ჯერჯერობით კი დადის იოჰან ბოსკამპი ქართული ფეხბურთის ციცაბოებზე, ეცნობა, სწავლობს, რაღაცეებს გვპირდება და გვისრულებს (მაგალითად ინტერვიუს), რაღაცაზე თავს იკავებს...

ვნახოთ, ჯერ იოჰან ბოსკამპს არაფერი გაუკეთებია ისეთი, ეჭვის საფუძველი რომ გვქონდეს.

დადის ეს კაცი და იცინის.

ვნახოთ, ვაცალოთ, ამაზე უარესი რა უნდა დაემართოს ჩვენს ფეხბურთს.

იქნებ ეს ჰოლანდიელი, კაცი, რომელიც იცინის, HOMO NUOVO-ცაა.

კონსტანტინე გოგიშვილი

გიგო ახვლედიანის

სვეტი

ლიმბეკიდან ბოსკამპამდე

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვახსოვდა იოჰან ბოსკამპი. გაგვახსენდა კი. თუმცა, გაგვახსენდა და არც გაგვახსენდა, რადგან მისი დროის ჰოლანდიური ფეხბურთში სხვა რამ იყო მოსაგონარი, საბჭოთა კავშირში კი ინფორმაცია ეგრე უბრალოდ არ მოიბოვებოდა, რომ ბოსკამპი კარგად დაგეხსომებოდა.

ის დიდებული თამაშიც გვახსოვს, როცა მელოტმა და ცეროდენა სჭოთმა, არჩი ჯენლმა მთელი ჰოლანდიის სამეფო მოატყუა და ზღაპრული გოლი, მოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა იან იონგბლადის კარში. მაგრამ იმ თამაშში ბოსკამპი არ გვახსოვს.

სამაგიეროდ, ახლა დავიმახსოვრებთ კარგად — თავისი არსებობის სამოცდათოთხმეტი წლის თაკვზე თბილისის „დინამოს“ მეორედ ჰყავს უცხოელი მწვრთნელი. სამოცდაორი წელიწადია, საქართველოს უცვლელ ჩემპიონს არ ჰყოლია უცხოელი მწვრთნელი. ასე რომ, ბოსკამპი მეორეა (არა ვთვლით ძველი დროის რუსებს, „დინამო“ რომ გაუწვრთნიათ. ახლა რომ მოვიდეს რუსი, იმას კი ჩავთვლით უცხოელად).

პირველი კი ჩეხი ჟოულ ლიმბეკი გახლდათ. ის არცთუ დიდხანს ედგა სათავეში „დინამოს“, მაგრამ ძველ წყაროებს თუ ვერწმუნებით, ტაქტიკს ანაბანა და ფეხბურთის ციცილურად თამაში ასწავლა ჩვენს მომავალ ვარსკვლავებს. მანამდეო, პირდაპირ ასე წერია კლუბის ისტორიის წიგნებში, ქართველებს დიახაც უყვარდათ გოლის გატანა, მაგრამ ამისთვის ერთადერთ ხერხს იყენებდნენ, „მატაობით“ სურდათ ბურთიანად კარში შესვლაო. და ლიმბეკს აუხსნია, ფეხბურთი ასეა და ასეო.

ლიმბეკის ამაგი დავიწყებულია ჩვენში. არ ვიცით ვინ იყო, საიდან მოვიდა, სად თამაშობდა და სად წვრთნიდა, ვერაზე ცხოვრობდა თუ დიდუბეში, კეკი ეხურა, თუ შლაპა და ა.შ. დანამდვილებით ის თუა ცნობილი, რომ ფეხბურთელებს თითო ჭიჭა შავ ღვინოს ასმევდა სადილზე, სასარგებლოაო. მის შესახებ შემორჩენილი ანეკდოტური ისტორიებიდანაც კი საუცხოოდ ჩანს, რომ ამ კაცის ღვაწლი ქართულ ფეხბურთში უზარმაზარია.

ლიმბეკსა და ბოსკამპს შორის კი არის უზარმაზარი საბჭოთა ისტორია თბილისის „დინამოსი“ — ჩემპიონობით, -თასებით, ევროთასით და ახლა, თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება. ბრგე ჰოლანდიელმა სწორედ ის უნდა ასწავლოს მომავალ ქართველ ვარსკვლავებს, რასაც ჩეხი ასწავლიდა სამოცზე მეტი წლის წინათ.

ლიმბეკის დროს საქართველოს ნაკრები არ ჰყავდა — უფრო სწორად, მთელს სსრკს დროში საქართველოს ნაკრები, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს თუ არ გავითვალისწინებთ, სულ ორჯერ დაერქვა თბილისს „დინამოს“. ერთხელ ბაკურიანთან მეორე თამაშისას და მეორედაც მაშინ, როცა მურთაზ ხურცილავას აცილებდნენ ფეხბურთიდან. ახლა საქართველოს ნაკრები ჰყავს და მისი მწვრთნელიც ბოსკამპია. ასე რომ, არე ფართოა და შეიძლება თქვას, რომ ყველაფერი ჰოლანდიელზე ჰკიდია.

არ ვიცი, რა იქნება ხვალ, რას დაგვანახებს თავისი ექვსთვიანი კონტრაქტის განმავლობაში ბოსკამპი, რომელიც დიახაც რომ ნაღდი მწვრთნელია და ფეხბურთელიც ხომ ნაღდი იყო (თუმცაღა, არ გვახსოვს), მაგრამ ერთი რამ ცხადია — ის კვალს დატოვებს. თუნდაც იმიტომ, რომ (მოიგებს, თუ წააგებს), მისი მესაპეობით საქართველოს და „დინამოს“, ფეხბურთი ნამდვილი იქნება. ეს იქნება ნამდვილი თამაში. სწორედ ის, რაც აღარ გვახსოვს.

ასე იყო ლიმბეკის ხელში დიდი ხნის წინათ. სასიამოვნოა იმის ფიქრი, რომ წესით, ასე უნდა იყოს ახლაც. თანაც, სანაკრებო საქმეში ბოსკამპს ხელ-ფეხი გახსნილი აქვს — ის ხომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევისთვის ემზადება.

აჩრდილი დაძრწის საქართველოში, აჩრდილი ლიმბეკისა.

ისევ იწყება — სწავლა, სწავლა და სწავლა.

მეორე ჯგუფი

დასავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

XXII ტური

3 მაისი

საირმე 1:1 გაგრა

1:0 ნერგაძე (56), 1:1 ტ. მანგაძე (75)
გაფრთხილება: ბარაბაძე (გაგრა)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მაღაროელი 2:3 იბერია 2

0:1 ნ. გიორგაძე (13), 0:2 ბ. ვაშაკიძე (32), 1:2 კიკვიძე (67), 1:3 თ. ყურაშვილი (76), 2:3 ბოჭორიშვილი (78)
გაფრთხილება: თაბაგარი, შეყილაძე (ორივე მაღაროელი), თ. ყურაშვილი, ბ. ვაშაკიძე, მეგანეიშვილი (ყველა იბერია 2)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

4 მაისი

რიონი 0:0 სამგურალი 2

გაფრთხილება: ბურჯანაძე (რიონი)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

ჩიხურა 1:2 ოკეანე

0:1 კაცაძე (16), 0:2 გოგავა (26), 1:2 ბაპიჯანოვი (74)
გაფრთხილება: თ. სამხარაძე (ჩიხურა), ჯიქია (ოკეანე)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

მეშახტე 1:4 სულორი

0:1 ბუხაიძე (25), 1:1 სახელაშვილი (30), 1:2 ბუხაიძე (70), 1:3 ბიბილეიშვილი (75), 1:4 კაპატაძე (83)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

მარგვეთი 2:1 რაჭა

0:1 კიკვაძე (18), 1:1 მალაღურაძე (57), 2:1 ქურციკიძე (85)
გაფრთხილება: კაკაბაძე (მარგვეთი), მიქიაშვილი, ჭიღლაძე (ორივე რაჭა)
მსაჯი: ვ. ელოევი (ცხინვალი)

სულორი	21	19	2	0	68:16	59
მარგვეთი	20	17	2	1	72:20	53
მეშახტე	20	13	1	6	49:30	40
ოკეანე	21	12	2	7	30:30	38
გაგრა (-3)	20	13	1	6	44:24	37
სამგურალი 2	20	10	4	6	37:33	34
რაჭა	21	8	2	11	43:42	26
რიონი	20	6	4	10	25:31	22
ტორპედო 2	20	5	4	11	24:30	19
იბერია 2	21	5	4	12	35:45	19
საირმე (-3)	20	4	2	14	16:42	11
ჩიხურა (-3)	20	2	3	15	26:78	6
მაღაროელი (-3)	20	1	3	16	22:70	3

„ბ“ ქვეჯგუფი

XXII ტური

3 მაისი

სძური 1:0 სამეგრელო

1:0 დ. ჯოლოხავა (78)
გაფრთხილება: ჭანია (სძური)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

4 მაისი

ფაზისი 3:1 ეგრისი

1:0, 2:0 გაბეჩავა (23, 59), 2:1 იოსელიანი (60), 3:1 ხურციძე (85)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

კოლხეთი 3:0 კოლხეთი 2

1:0 ჭიჭინაძე (13), 2:0 ონიანი (48), 3:0 ჯამბურია (56)
გაფრთხილება: ზაზა აიანადი (კოლხეთი)
გაძევება: ზაზა აიანადი (73)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

ოდიში 2 1:0 კოლეჯი

1:0 ვაზგანავა (59)
გაფრთხილება: ჭედია, ნაჭყებია (ორივე ოდიში 2), ბახტაძე, კობიძე (ორივე კოლეჯი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

მერცხალი 2:2 შუძურა

1:0 ს. ტუღუში (16), 2:0 თავდიშვილი (60), 2:1 ბაგუნაიშვილი (62), 2:2 ჩელებაძე (66)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

5 მაისი

ბახმარო 4:0 სალხინო

1:0 თავბერიძე (7), 2:0 გურგენიძე (55), 3:0 თავბერიძე (62), 4:0 გურგენიძე (65)
გაფრთხილება: ბ. გიორგაძე, გეფერიძე (ორივე ბახმარო)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

კოლხეთი	20	16	2	2	60:11	50
კოლეჯი	21	12	5	4	40:20	41
ფაზისი	20	12	1	7	40:25	37
შუქურა	20	11	3	6	40:26	36
სქური	20	11	2	7	44:42	35
ეგური	20	10	4	6	40:29	34
ოდიში 2	20	7	6	7	28:25	27
მერცხალი	20	8	2	10	31:33	26
ბახმარო	21	7	4	10	22:31	25
ეგრისი	21	5	5	11	22:44	20
სამეგრელო	21	5	3	13	25:40	18
კოლხეთი 2	20	5	3	12	16:41	18
სალხინო	20	3	0	17	31:72	9

აღმოსავლეთი „ა“ ქვეჯგუფი

XXVI ტური

3 მაისი

უნივერსიტეტი იბერია 0:1 ალაზანი

0:1 ყიზილაშვილი (21)
გაფრთხილება: ლ. ხმალაძე, გავაშელიძე (ორივე უნივერსიტეტი იბერია)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

4 მაისი

ყვარელი 3:0 ალგეთი

არსენალი 2 1:0 ხალიბი

1:0 მანწკავა (20)
გაფრთხილება: კოხრეიძე, რობაქიძე (ორივე არსენალი 2), ლ. კაპანაძე, ბიჭიაშვილი (ორივე ხალიბი)
გაძევება: ზ. მეტრეველი (62, არსენალი 2)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

სამგორი 0:2 ზოოვეტი

0:1, 0:2 მახარობლიშვილი (17, 62)
გაფრთხილება: ისკანდეროვი (სამგორი), ზაკუტაშვილი, წიბლიაშვილი (ორივე ზოოვეტი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

აკადემია 0:0 ღარწყალი

გაფრთხილება: ჩადუნელი (აკადემია), ჩიგოშვილი (ღარწყალი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

5 მაისი

მრეტები 6:0 ქანაგკო

1:0 ფოჩხუა (4), 2:0 მ. ამაშუკელი (7), 3:0 ვ. ძაგნიძე (14), 4:0 მ. ამაშუკელი (27), 5:0 ჩახვაძე (33), 6:0 ჩიხლაძე (56)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

კახეთი 1:1 ჭაბუკიანი

0:1 ბაქსაშვილი (38), 1:1 გ. მეტრეველი (58 ს.ჯ.)
გაფრთხილება: გიგუაშვილი, შეყლაშვილი (ორივე ჭაბუკიანი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

აკადემია	24	20	2	2	52:9	62
ღარწყალი	24	19	5	0	72:15	62
ყვარელი	24	15	5	4	41:18	50
არსენალი 2	24	14	3	7	39:18	45
ჭაბუკიანი (-3)	24	14	4	6	41:23	43
კახეთი	25	12	6	7	45:32	42
ხალიბი	24	13	2	9	41:27	41
ზოოვეტი	24	10	7	7	46:34	37
დინამო 3	24	11	3	10	38:36	36
უნივერსიტეტი იბერია	24	6	4	14	20:31	22
ალგეთი	25	7	1	17	28:55	22
მრეტები	25	5	2	18	26:48	17
სამგორი	24	4	3	17	27:58	15
ალაზანი	25	4	2	19	26:65	14
ქანაგკო (-3)	24	2	3	19	15:89	6

„ბ“ ქვეჯგუფი

XXII ტური

3 მაისი

მესხეთი 0:4 ცხინვალი

0:1 გ. ჩიტაია (67), 0:2, 0:3 ტილკავაშვილი (73, 76), 0:4 ბოჭორაძე (78)
გაფრთხილება: ასპანიძე, ზუმბაძე (ორივე მესხეთი), ტყემალაძე (ცხინვალი)
გაძევება: ზუმბაძე (70, მესხეთი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

4 მაისი

ძარელი 3:0 დილა 2

1:0 იობაშვილი (50), 2:0 ნათელაძე (65), 3:0 იობაშვილი (67)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

ლოკომოტივი 2 5:3 ვარძია

1:0 ლ. ხურცილავა (6), 2:0 ნ. ბაქრაძე (34), 3:0 ი. ჩხაიძე (36), 3:1, 3:2 ლეკიშვილი (40, 60), 4:2 ნ. ბაქრაძე (65), 5:2 სიამაშვილი (85), 5:3 მოდებაძე (87)
გაფრთხილება: ცინაძე (ვარძია)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

საუ 3:0 ჟინერი

იბერია — დინამო 2 გადაიდო

5 მაისი

ივერია 5:2 განთიადი

1:0 ა. ხმალაძე (6), 1:1 ხაჩირაშვილი (22), 2:1 ყაჩლავაშვილი (45), 3:1, 4:1 ზ. ფოფხაძე (65, 72), 5:1 ჯობაძე (80), 5:2 ქეთიშვილი (88)
გაფრთხილება: ა. ხმალაძე (ივერია), გაბიდაური, ხაჩირაშვილი, კოტეტიშვილი (ყველა განთიადი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

6 მაისი

ცხუმი 2:0 თორი

1:0 კაკაბაძე (25), 2:0 ქიქავა (54)
გაფრთხილება: ქობესაშვილი (თორი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

დინამო 2	21	19	0	2	61:14	57
ცხინვალი (-3)	22	18	2	2	61:14	53
ლოკომოტივი 2	22	14	3	5	57:33	45
ქარელი	22	14	3	5	44:18	45
ივერია	22	12	6	4	53:30	42
ცხუმი	22	9	4	9	39:32	31
განთიადი	22	9	4	9	34:37	31
საუ	22	7	5	10	38:40	26
თორი	22	7	2	13	28:35	23
მესხეთი	22	6	5	11	35:46	23
იბერია	21	6	1	14	38:44	19
დილა 2	22	5	3	14	28:53	18
ვარძია	22	4	4	14	21:59	16
ჟინერი	22	1	2	19	18:100	5

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

გიორგი ნემსაძე, „რეჯანა“:

— იოჰან ბოსკამპი პირადად თბილისში, ნორვეგიასთან მატჩამდე გავიცანი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა კი მის მწვრთნელობაზე ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ ის მსმენია, რომ ადრე კარგი ფეხბურთელი და კარგი გუნდის მწვრთნელი იყო. ბოსკამპის თანაშემწედ ყიფიანის დანიშვნა კი, ვფიქრობ, საერთო საქმეს წაადგება. მარტო მწვრთნელი, ალბათ, ვერაფერს მიაღწევს, მას ხომ რჩევა სჭირდება, ხომ უნდა იცოდეს, ვინ რისი მაქნისია.



ალექსანდრე იაშვილი, „ფრაიბურგი“:

— ახალ მწვრთნელზე არაფერი გამიგია. მხოლოდ მისი გვარ-სახელი ვიცი. ძნელია, წინასწარ რაიმე თქვა, ყველაფერი საქმით მტკიცდება, კარგი შედეგით.

დავით გვარამაძე, თბილისის „დინამო“:

— იოჰან ბოსკამპის პირადად გაცნობა უკვე მოვასწარი. რამდენიმე რჩევაც მომცა. შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და ოთხი ერთ ხაზზე განლაგებული მცველით თამაშს ამჯობინებს. მშვენიერი ხასიათი აქვს, ძალიან მკაცრი და მომთხოვნია. სხვა აბა, რა გითხრათ, „დინამოშიც“ ჩემი მწვრთნელია. იმედი მაქვს, ნაკრებშიც მიმიწვევს. მისი ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა კი, ჩემი აზრით კარგ შედეგებს მოიტანს.



გივი დიდავა, თბილისის „დინამო“:

— ვფიქრობ, ნორმალური მწვრთნელია, ვარჯიშებსაც ერთი შეხედვით კარგად ატარებს. პიროვნულ თვისებებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ვარჯიშების სისტემა მრავალფეროვანი კი აქვს, მაგრამ წინასწარ რა ვთქვა, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ლევან სილაგაძე, რიგის „სკონტო“:

— იოჰან ბოსკამპს თბილისში, საქართველო — ნორვეგიის მატჩის დროს შევხვდი, თუმცა მასზე აქამდეც ბევრი მსმენოდა. ვიცი, რომ კარგი ფეხბურთელი იყო და წარმატებით მუშაობდა ბელგიურ „ანდერლეხტში“. რამდენად წაადგება მისი მუშაობა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ამაზე დღეს გამიჭირდება საუბარი. თავისთავად ნებისმიერ სფეროში ახალი კაცის მოსვლა გარკვეულწილად იმედის მომცემია. ბოსკამპს ბევრი რამის გაკეთება მოუწევს და ალბათ ამ საქმიანობაში გამოჩნდება მისი, როგორც პიროვნების და მწვრთნელის თავისებურებები. უცხოელ მწვრთნელთან ურთიერთობის გამოცდილება გარკვეულწილად მეც გამაჩნია და ვფიქრობ, ურთიერობა ბოსკამპთანაც არ გამიჭირდება.

წვიმის გამო არაო

ხვალ ეროვნული ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები გაიმართება. კალენდრით დადგენილი 8 თამაშის ნაცვლად შვიდი ჩატარდება. ერთი, „ბათუმი“ — თსუ გადაიდო, როგორც გვაცნობეს ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით.

11 მაისს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ საპასუხო მატჩში ჩეხეთის გუნდს, როგორც ცნობილია, ბათუმში უმასპინძლებს. ეს დღეებია, ზღვისპირა ქალაქში თურმე გადაუღებლად წვიმს. ბათუმის „დინამოს“ სტადიონის მინდვრის საფარი რომ არ გაფუჭდეს, ფეხბურთის ფედერაციამ ამიტომ ჩათვალა მიზანშეწონილად ზემოხსენებული მატჩის გადადება.

ჩვენ კი იმას დავძენთ, რომ ამ მატჩის გადადება გაუმართლებლად მიგვაჩნია. არა გვგონია, ერთი თამაშის გამართვით სტადიონს გაზონი შეელახოს, ამ მატჩის ნაგვიანევმა შედეგმა კი შეიძლება ჩემპიონატის ბოლოს სატურნირო ცხრილში კორექტივები შეიტანოს.

გიორგი ვაშაკიძე

ტერა ინკოგნიტა

მოარული ხმები იმის შესახებ, რომ მალე „ბათუმის“ უფროსი მწვრთნელის თანამდებობას მავანი იტალიელი სპეციალისტი დაიკავებდა, თითქმის გამართლდა. ყოველ შემთხვევაში, ბათუმელთა ხელმძღვანელობა ნამდვილად აპირებს გუნდში უცხოელი სპეციალისტების მოწვევას.

ჭორად გაგონილს საკუთარი ყურით მოსმენილი ვამჯობინეთ და „ბათუმის“ პრეზიდენტს, ბატონ თემურ ბეჟანიძეს დავუკავშირდით, რომელმაც „სარბიელთან“ საუბარში შემდეგი განაცხადა:

— „ბათუმში“ მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია, შოთა ჭეიშვილი ძველებურად აგრძელებს მუშაობას. რაც შეეხება იტალიელი მწვრთნელის მოწვევას, ამასთან დაკავშირებით კი გაგვაჩნია გარკვეული გეგმები, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. დაახლოებით მაისის ბოლოსთვის, როცა სეზონი დამთავრდება, ყველაფერს გაიგებთ.

კონსტანტინე გოგიშვილი

მამუკა დარჩიას ფოტო

იყო დრო, შოთა ჭეიშვილს მხარმარცხნივ ბათუმის მერი ასლან სმირბა ეჯდა, მხარმარჯვნივ კი ასლან აბაშიძის იტალიელი სიძე მარკო მიქელე

ნაკრებს დიღმაში მოასვენებენ



ბადრი კვითელაძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდა და ამის შესახებ პრესკონფერენციაზეც ითქვა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ყველა საშინაო შეკრებას დიღმის ბაზაზე მოაწყობს.

იყო დრო, როცა ეს ადგილი მართლაც საუკეთესო პირობებით გამოირჩეოდა, მაგრამ სადღაა ახლა მისი მშვენიერება და ლაზათი... დღეს ეს ბაზა კარგი პირობებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს, რადგან ფეხბურთელის სრულფასოვანი მომზადებისთვის მარტო ბურთი და მოედანი არ კმარა. გადაწყვეტილების მიღებაზე ადვილი არაფერია. კი, ბატონო, საქართველოს ნაკრები დიღმის ბაზაზე უნდა მოეწყოს, მაგრამ პირობებიც ხომ შესაბამისი უნდა შევუქმნათ? — სწორედ ამ კითხვით მივმართეთ სფფ-ის გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას.

— ბოსკამპის დიდი სურვილია, რომ ნაკრებმა ყველა საშინაო შეკრება დიღმის ბაზაზე მოაწყოს, მაგრამ დღევანდელ პირობებში იქ ნაკრების სრულფასოვანი მომზადება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამაზე უკვე ვზრუნავთ. შეუკვეთეთ თეთრეული, ლოგინები და სხვა სახის აუცილებელი ავეჯი. 25 მაისამდე ბევრი რამ შეიცვლება, ჩატარდება აუცილებელი კოსმეტიკური სამშაოები იმ ოთახებში, სადაც ეროვნული ნაკრების წევრები განლაგდებიან, სამომავლოდ კი დაგეგმილია დიღმის საწვრთნელი ბაზის სრულყოფილი რემონტი. ყველა ხარჯს ფეხბურთის ფედერაცია თავის თავზე აიღებს.

ასე რომ, დიღმის ბაზა სერიოზული ცვლილებების მოლოდინშია, ნაკრების წევრებიც ახალ საწოლებში მოისვენებენ. ვინ იცის, იქნებ სასიკეთოდაც წაადგეთ.

პაატა კვანტალიანი

იოჰან ბოსკამპს, ცხადია, მანქანაც საკუთარი დაუქირავეს

საღ იცხოვრებს ბოსკამპი?

ბუნებრივია, თბილისში, ოღონდ არა რომელიმე სასტუმროში. საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი დღემდე ვაკეში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი შეცვლა მოუწევს. ფედერაცია ცდილობს, ნაკრების ახალ თავკაცს უფრო სოლიდური ბინა გამოუძებნოს. მისი სასტუმროში ცხოვრება კი ამთავითვე გამორიცხულია, რადგან იგი გაცილებით დიდ ხარჯებს უკავშირდება. ბუნებრივია, საცხოვრებელი ბინა ბოსკამპის გემოვნების და შეხედულების გათვალისწინებით შეირჩევა. ბატონ იოჰანს შეუძლია მშვიდად იყოს და არჩევანისას არ შეიზღუდოს — მისი ნავსაყუდელის მოლიან ხარჯებს საფეხბურთო კლუბი „დინამო" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაინაწილებენ.

პაატა კვანტალიანი

სამგურალმა ლოკომოტივი ოფსაიდში დატოვა

ქართულ ფეხბურთში შესაძლოა ახალ სკანდალს დაედოს სათავე: თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 1992 წელს ფიფასა და უეფაში გაწევრიანდა, ჩვენმა გუნდებმა დამოუკიდებლად იწყეს ევროსარბიელზე გასვლა. დღემდე ასე იყო, მომავალშიც ასე იქნება. მაშ, რა უნდა გახდეს საჩოთირო და სასკანდალო?

ვინ უნდა წარადგინოს საქართველო 1999-2000 წლების ევროთასებზე? ერთი ცხადია, თბილისის „დინამო" საცაა ოფიციალურად გაიფორმებს მეათე ჩემპიონობას. ბუნებრივია, „დინამო" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ჩემპიონის ხელმძღვანელობას ახლახან საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „დინამოს" მწვრთნელად დანიშნულ იოჰან ბოსკამპის ეიმედება, ეგებ ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოგვახვედროსო. ერთის საგზური ფაქტობრივად გარკვეულია, ვინ იქნება დანარჩენი სამი?

ცნობილია, რომ უეფამ თასების თასის გათამაშება გააუქმა. ამიერიდან ქვეყნის თასის მფლობელს უეფას თასზე მოუწევს გადანაცვლება. ამას მივამატოთ ის ერთი უეფას საგზურიც, რომელიც საქართველოზეა გამოყოფილი და ესეც თქვენი უეფას თასზე მოთამაშენი. რჩება ინტერტოტო, რომელშიც მონაწილეობაც გუნდებს წამგებიანად ეჩვენებათ, რადგან იქ რამდენიმე ეტაპი მაინც უნდა გაიარო, რომ უეფასგან რამეს გამორჩე.

ჰოდა, აქედან იწყება ყველაფერი. ქუთაისის „ტორპედოს" ჩემპიონატში ვერცხლის მედლები ფაქტობრივად გაწყდებული აქვს, ის კი არა, ქუთაისელებმა 26 მაისს „სამგურალთან" თასი ფინალიც რომ დამთონ, ევროპაში მაინც გადიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულებაში შავით თეთრზე წერია, თასის ფინალისტი იმ შემთხვევაში გადის ევროთასებზე, თუ გამარჯვებული გუნდი ამავე დროს ჩემპიონი გახდაო. რაკი უეფამ თასების თასის გათამაშება გააუქმა, არა აქვს მნიშვნელობა, თასის ფინალისტს მაინც მოუწევს ევროთასებზე თამაში.

— როგორ, „სამგურალმა" თასის ფინალი რომ წააგოს, მაინც გადის უეფას თასზე. არ ვიცოდით, ასე თუ იქნებოდა, თორემ სხვაგვარად ვითამაშებდითო, ეს აღშფოთებული თბილისის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელთა პოზიცია გახლავთ. ბუნებრივია, რკინიგზელებს ინტერტოტო ნამდვილად არ აწყობთ. საქართველოს კვალობაზე გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, სასურველ მოთამაშეებს, ვისაც ხელი დაადეს, ყველას „ლოკომოტივში" მოუყარეს თავი, ამაში, რა დასამალია, საკმაო თანხებიც დაიხარჯა, შედეგი — ჩემპიონატში განაღდებული მესამე ადგილი და ინტერტოტოს საგზური?

ყოველივე ამ გაუგებრობის თავიდათავი ფეხბურთის ფედერაციაა. იქ ამ საკითხზე დიდი ხჯა-ბაასია, „ლოკომოტივის" წარმომადგენლობასაც თითქმის ყოველდღე „ატალახებული" აქვს ფედერაციის კარი, პასუხი კი ასეთია:

— ამის გასარკვევად უეფას მივმართეთ, დაგვიკონკრეტებენ, თუ ვის მიეცემა ევროტურნირებზე თამაშის უფლება, ფაქსს დღე-დღეზე ველითო.

გუშინ ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა ისიც კი გვითხრა, უეფადან ფაქსი კი მივიღეთ, ოღონდ პასუხის შინაარსს ჯერ არ გავცნობივართო.

გიორგი ვაშაკიძე

იქნებ ზაფხულმა უშველოს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიში კვლავ ყადაღადადებულია, მაგრამ იქნებ გაყინულ საბანკო ანგარიშს ზაფხულის დადგომასთან ერთად გალღობაც ეღირსოს. ამის თქმის საფუძველს კი ის გვაძლევს, რომ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია საგადასახადო ინსპექციის უფროს მიხეილ ჩიკვილაძეს შეხვდა, ჩიკვილაძეს გენერალური მდივნისთვის დახმარება აღუთქვავს. საგადასახადო ინსპექცია ახლიდან აპირებს საბუთების შესწავლას და შესაძლოა გადაწყვეტილების შეცვლაც ინებოს.

— თუკი ყადაღის მოხსნის შესაძლებლობა ერთი პროცენტით მაინც არსებობს, ჩათვალეთ, რომ მას თქვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ — შეჰპირებია საგადასახადო ინსპექციის უფროსი ვალერი ჩოლარიას.

პაატა კვანტალიანი

აქეთ კავაზაშვილი, იქით ძოძუაშვილი...

თქმა არ უნდა, გაიოზ დარსაძის მიერ გაწვრთნილ (თვენახევრის წინ უმისოდ დარჩენილ) „სამგურალს" წლევანდელი სეზონი აქტივში ჩაეთვალება. ფინიშთან მიახლოებულ მეათე ჩემპიონატში არცთუ ხეირიანი თამაშის გათვალისწინებითაც კი. მართლაც, გუნდის თასის ფინალში გასვლამ ყველაფერი დაჩრდილა და წყალტუბელები ახლა „ტორპედოსთან" საოცდაექვსმაისო შერკინებაზეც სერიოზულად ფიქრობენ. ფიქრობენ და წარმატების იმედიც აქვთ. ეჭვი არ შეგეპაროთ, „სამგურალ" — „ტორპედოს" გუშინწინდელი სპექტაკლი ეროვნულ სტადიონზე არ განმეორდება.

„სამგურალმა" ახლანდელი შემადგენლობითაც ბევრჯერ დაგვარწმუნა საკუთარ ბრძოლისუნარიანობაში, საფინალოდ კი, შესაძლოა, უფრო გაძლიერდეს. როგორც წყალტუბოური კლუბის პრეზიდენტმა გრიგოლ ქათამაძემ გვითხრა, „სამგურალი" ორი ახალი ფეხბურთელის დამატებას აპირებს. ლაპარაკია ექს-სამგურალელ-დინამოელ-ტრაბზონელ-სამტრედიელ, ბოლოხანს კი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" ნათამაშევ ბესიკ ბერაძეზე და რამდენიმე ჩვენებურ გუნდმოვლილ, მერე რუსეთს, იქედან უკრაინას გადახვეწილ, ბოლოს კი ლატვიურ „დაუგავპილსში" შეჩერებულ ივანე ჯუღელზე. ქათამაძის თქმით, ორივე ფეხბურთელი „ნათხოვრობით" მივა „სამგურალში".

ბერაძეს, რომელიც ერთი კვირაა წყალტუბოელებთან ერთად ვარჯიშობს, მოსკოვში რუსული ფეხბურთისთვის მოღვაწე ყოფილი მეკარის ანზორ კავაზაშვილის პროტექციით დართავენ „სამგურალში" თამაშის ნებას.

ჯუღელს რაც შეეხება, მის წყალტუბოში დროებით ჩამოსვლა, თურმე, რევაზ ძოძუაშვილის შუამავლობით უნდა გადაწყდეს.

იუზა კაციტაძე

ბადრი კვითელაძის ფოტო

ბესიკ ბერაძემ (მარჯვნივ), ბევრი იარა თუ ცოტა, „სამგურალში" დაბრუნდა

ფეხბურთის - რუკასთან

ბრაზილიაში ხომ ნაღდი საგიჟეთია. აი, კიდევ ერთი მაგალითი: დასუსტებული „იტაპერუნას" პრეზიდენტმა როჟერიო რიგუეტიმ გამოაცხადა, რომ კვირას, „ფლამენგოსთან" შეხვედრაში მოედანზე ფეხბურთელად გასვლას აპირებს. რიგუეტი, რომელიც მართლა რომ გავიდეს მინდორზე და ბურთაობაში „ფლამენგოს" ცნობილ ფორვარდს, რომარიოს გაეჯიბროს, არ უნდა გაგვიკვირდეს, 36 წლის ბიზნესმენი კაცია და თან ფეხბურთი, დიდ დონეზე, არასდროს უთამაშია. მაგრამ ახირებაში რომ კაცაშვილი ვერ გაეჯიბრება, ფაქტია. თან აუჩემებია, მცველის ნიჭი მაქვს და ემაგ რომარიოს პერსონალურად დავუდგებიო.

იტალიურმა „ბოლონიამ", მოგეხსენებათ, გააპროტესტა უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება. უეფას თასის დამარცხებულ ნახევარფინალისტს არ სურდა დაკისრებული ჯარიმის, 98 ათასი დოლარის გადახდა. მაგრამ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ იტალიელები არ შეიწყნარა. ჯარიმის მიზეზი გახლდათ ჩხუბი, რომელიც „ბოლონია" — „მარსელის" ზემოხსენებულ ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრის დამთავრების შემდეგ ატყდა. ჩხუბში ორივე გუნდის ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. დაჯარიმებული გახლდათ „მარსელიც", მაგრამ ფრანგებმა საჩივარი არ დაწერეს.

გერმანიის უტიტულოვანესი კლუბის, მიუნხენის „ბაიერნის" მარცხენა მცველი, ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუ მუხლის მკურნალობას ფაქტობრივად მორჩა და, როგორც ჩანს, 26 მაისს, ბარსელონის „კამპ ნოუზე", ჩემპიონთა თასის ფინალში ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედთან" ითამაშებს. „ორ-სამ დღეში ლიზარაზუ ვარჯიშს შეუდგება" — განაცხადა „ბაიერნის" პრეს-ატაშემ მარკუს ჰოერვიკმა — „მას ერთადერთი ამოცანა აქვს, 26 მაისისთვის კარგ ფორმაში უნდა იყოს." შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი მცველი მარტში საფრანგეთისა და უკრაინის ნაკრებების თამაშის დროს სერიოზულად დაშავდა.

იტალიის თასის მფლობელი და უეფას თასის ფინალისტი, „პარმა", ესპანური გუნდის, მადრიდის „ატლეტიკოს" სამ ფეხბურთელს უპირებს ყიდვას. ესენია ჟუნინიო, მიკელე სერენა და სტეფანო ტორიზი. ეს ამბავი საზოგადოებრიობას მადრიდელი კლუბის გენერალურმა დირექტორმა და პრეზიდენტის ვაჟმა, მიგელ ანხელ ხილმა აცნობა. „პარმას" ხელმძღვანელებს ამასწინათ, ხსენებული ტრიოს რაობის შესასწავლად ჩინებული საშუალება ჰქონდა. ეს გუნდები ხომ უეფას თასის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. 3:1, 2:1 „პარმამ" გაიმარჯვა. სერენას „ატლეტიკოში" წელიწადი დარჩა გასატარებელი, ტორიზს და ჟუნინიოს კი სამ-სამი, მაგრამ ხილმა თქვა, თუ იტალიელები კარგ ფასს შემოგვთავაზებენ, მოთამაშეებს არ დავუკავებთო. თუ გარიგება შედგება, ტრიო იტალიას 1 ივლისს მიაშურებს. ყველაზე სავარაუდო, მაინც, სერენას ტრანსფერია. ამ იტალიელმა ფეხბურთელმა „სკუადრა აძურაში" პირველი მატჩი გასული წლის სექტემბერში ჩაატარა და გარდა ამისა, ოჯახურ მიზეზთა გამოც აპირებს სამშობლოში დაბრუნებას.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

მიუღწეველი „ილ გრანდე ინტერ“

მასიმო მორატი პრეზიდენტობიდან გადადგა

მასიმო მორატის „ინტერის“ ფეხბურთელები ერთ დროს ეთაყვანებოდნენ

მასიმო მორატი, იტალიელი მულტიმილიონერი, საფეხბურთო კლუბ „ინტერის“ პრეზიდენტი, ვაჟი ანჯელო მორატისა, რომელმაც ამავე თანამდებობაზე ყოფნის დროს, 60-იან წლებში, შექმნა ის, რაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას „ილ გრანდე ინტერის“ სახელით შემორჩა, გადადგა.

„მასიმო მორატი „ინტერის“ პრეზიდენტის თანამდებობიდან წავიდა და იგი მადლობას უძღვნის ქომაგებს იმ მხარდაჭერისთვის, ყოველდღიურად რომ გრძნობდა. აგრეთვე მადლობას უძღვნის იმ ფეხბურთელებს, რომელთაც მისი პრეზიდენტობის წლებში კლუბის მაისურას თავდადებით მიაგეს პატივი“ — ეწერა ძალიან მოკლე განცხადებაში.

მორატის ერთი ოცნება ჰქონდა, აღედგინა ის, რაც მამამისმა 1964-1965 წლებში შექმნა — „ილ გრანდე ინტერ“ ანუ დიდი „ინტერი“. მისდა სამწუხაროდ ოცნება დაიმსხვრა, ხოლო გუნდის ბოლოდროინდელმა, ცუდმა თამაშმა პრეზიდენტი გვარიანი კრიტიკის საგნად აქცია.

მარტში, როდესაც „ინტერმა“ გენუაში, „სამპდორიასთან“ 0:4 წააგო, ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა გაზეთმა, „ლა რეპუბლიკამ“, პირველ გვერდზე დიდი ასოებით გამოაცხადა: „მორატომ შეცდომა დაუშვა“. სხვათაშორის სწორედ იმ დამარცხებამ გადაწყვიტა გუნდის მაშინდელი მწვრთნელის, რუმინელი მორჩა ლუჩესკუს ბედი — იგი სამსახურიდან დაითხოვეს.

„ინტერი“, რომლის თვალ-მარგალიტს დიდი ბრილიანტი, რონალდო ამშვენებს, მიმდინარე სეზონში ჯილდოს გარეშე რჩება. იგი გამოეთიშა ევროპის ჩემპიონთა თასისა და იტალიის თასის გათამაშებებს, ხოლო სერია A-ს ცხრილში პირველობის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, მერვე ადგილზეა.

„ინტერის“ პრეზიდენტად მუშაობის ხუთი წლის განმავლობაში მორატიმ ექვსი მწვრთნელი გამოცვალა, ზუსტად იმდენი, რამდენიც მამამისმა ანჯელომ, 1955-1968 წლებში მაგრამ მშობლისგან განსხვავებით ვაჟმა ვერ მიაგნო მხსნელს, ისეთს, როგორიც 60-იან წლებში ელინიო ერერა გახლდათ. მამა მორატიმ „ინტერში“ ერერა მიიყვანა, ერერამ კი „კატენაჩო“ მოიგონა და ორჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი.

შვილი მორატი თავად წავიდა თანამდებობიდან. მისი ბოლო მწვრთნელი იყო მეკარეთა დაოსტატების სპეციალისტი ლუჩანო კასტელინი, რომელიც მანამდე გუნდში მესამე კაცად მუშაობდა და საქმეთა დამოუკიდებლად გაძღოლა უჭირდა. ამიტომაც იყო, ცოტა ხნის წინ მორატიმ მას ინგლისელი როი ჰოჯსონი რომ მიაშველა. მანამდე კი, მარტო ამ სეზონში, ორმა მწვრთნელმა დატოვა პოსტი, ჯერ ჯიჯი სიმონინმ, მერე კი ლუჩესკუმ.

ზემოხსენებული ჰოჯსონი, როგორც მრავალჯერ გვითქვამს, ორი წლის წინაც „ინტერში“ იყო, მაგრამ გაუშვეს. მაშინ ინგლისელი ამბობდა, აქ უამრავ ადამიანს სურს მეფობა, ხოლო ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელიაო.

ამრიგად, როი ჰოჯსონი მიმდინარე სეზონში „ინტერის“ მეოთხე მწვრთნელი გამოდგა, მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ მილანში მუშაობის მისეული დღეებიც დათვლილია — მომდევნო სეზონიდან „შავ-ლურჯებს“ სათავეში მარჩელო ლიპი უნდა ჩაუდგეს.

ჰოჯსონის დაბრუნებას იტალიაში უნდობლობის გვარიანი ტალღა მოჰყვა და არაა გამორიცხული, რომ მორატის ამანაც უბიძგა გადადგომისკენ. არადა თავ და ფულდადებას აწ უკვე გადამდგარ პრეზიდენტს ვერავინ დაუწუნებდა. დიდძალი თანხა, რომელიც მან კლუბის გასაძლიერებლად გაიღო, მანქანის საბურავების განთქმული ფირმის, „პირელის“ სალაროდან ჰქონდა წამოღებული.

პრეზიდენტობის წლებში მორატიმ იყიდა ფრანგი იური ჯორკაეფი, ინგლისელი პოლ ინსი, ჩილელი ივან სამორანო, იტალიელი რობერტო ბაჯო, ბრაზილიელი რონალდო და ბევრი სხვა კაშკაშა თუ ნაკლებ კაშკაშა ვარსკვლავი, მაგრამ სკუდეტო ანუ იტალიის ჩემპიონის ტიტული ვერა და ვერ მოიპოვა. „ინტერი“ 1989 წლის მერე იტალიის პირველი გუნდი არ გამხდარა.

„შიგადაშიგ მწარე გაკვეთილიც აუცილებელია. ადამიანი ასეთ დროს ბევრს სწავლობ“ — განაცხადა მორატიმ 1997 წელს, როდესაც უეფას თასის ფინალში „ინტერი“ გერმანულ „შალკესთან“ დამარცხდა. დღეს მილიონერს მორიგი მწარე დღეები უდგას.

ბედის ირონიით, მასიმო მორატის ბოლო მატჩი „ინტერის“ პრეზიდენტის რანგში, ბრწყინვალე გამოდგა. ეს იყო დრამატული შეხვედრა რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“, რომელშიც შავ-ლურჯებმა „რომას“ 5:4 მოუგეს, მარამ ისიც ფაქტია, რომ მანამდე მილანის ცნობილ გუნდს სტუმრად საშობაო არდადეგებამდე ჰქონდა მოგებული.

მორატი „ინტერის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე 1995 წლის თებერვალში დადგა, მამამისის გადადგომიდან 31 წლის შემდეგ. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა საუკეთესო სეზონი 1994-98 წლებში ჩაატარა, როდესაც უეფას თასი მოიპოვა და სერია A-ში მეორე ადგილზე გავიდა.

ბაბუნა კედია

1960-იან წლებში „ილ გრანდე ინტერს“ ამ ორმა ადამიანმა ჩაუყარა საფუძველი. მარცხნივ, დიდი პრეზიდენტი, ანჯელო მორატია, მარჯვნივ — დიდი მწვრთნელი, ელინიო ერერა

ეროვნული ბიბლიოთეკ

REUTERS რომიდან

ახლა ყველაფერი რონალდოზეა (მარჯვნივ) დამოკიდებული

რონალდოს მადრიდში მოუთმენლად ელიან

ესპანური პრესა შოკშია, მადრიდელ ქომაგებს გულები უფანცქალებთ, ხალხი მხოლოდ ამაზე საუბრობს. ნუთუ მართალია? ვითომ არის ამის პატარა შანსი მაინც? არის ამდენი ფული? ეს ხომ ფანტასტიკური იქნება — რონალდო „რეალში“!

პარასკევი, 7 მაისი, ნაწყვეტი მსოფლიო გრანდის, მადრიდის სამეფო კლუბის პრეზიდენტის ლორენსო სანსის ინტერვიუდან.

— დიახ, მოარული ხმები სიმართლეს შეესაბამება, მე და ჩემი ხელქვეითები სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობთ. ჩვენამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ რონალდო იტალიაში თავს ცუდად გრძნობს და კარიერის სხვაგან გაგრძელება სურს. თუმცა ეს ყველაფერი იმას ნაღდად არ ნიშნავს, თითქოს მისი მადრიდში გადმოსვლა გადაწყვეტილი იყოს, ამას ვერავის შევპირდები, რადგან ჯერ კიდევ ძალიან რთული და გრძელი გზაა გასავლელი.

რადიოსადგურ „კადენა კოპეს“ ჟურნალისტებთან საუბრისას სანსს, რომელზეც ხმები დადის, დიდი ვალები აქვსო, რონალდოს შეძენისთვის საჭირო თანხებზე არაფერი უთქვამს. არადა, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი ჯერ კიდევ ორი წლის წინ, როდესაც „ბარსელონიდან“ მილანის „ინტერში“ გადავიდა, 45 მილიონი დოლარი „ღირდა“.

სანსის სასარგებლოდ ამ წუთისთვის ორი ფაქტორი მოქმედებს: 1. მადრიდში დიდი სურვილი აქვთ რონალდოს მიწვევის, რათა მოსისხლე მტერი „ბარსელონა“ მომავალში მისი ყოფილი იარაღითვე განადგურდეს. აქედან გამომდინარე, „რეალის“ პრეზიდენტს, ალბათ, ფინანსური ხელშეწყობა ექნება კლუბის თავგადაკლული და, რაც მთავარია, მდიდარი ქომაგებისგან.

2. „ინტერში“ ქაოსია. მილანური კლუბი ვერ თამაშობს სათანადოდ, რამდენჯერმე შეიცვალა მწვრთნელი და ხუთშაბათს სულაც უპატრონოდ დარჩა — დაკავებული თანამდებობიდან გადადგა კლუბის პრეზიდენტი, ცნობილი მაგნატი და მილიარდერი მასიმო მორატი. ასე რომ, სანსს თავისუფლად შეუძლია, ისარგებლოს მილანში მიმდინარე არეულობებით.

სხვათა შორის, ლორენსო სანსს ინტერვიუში არც კი უცდია იმის დამალვა, რომ რონალდოს თაობაზე რამდენჯერმე ესაუბრა მორატის, ოღონდ არაოფიციალურად.

გუშინ კიდევ ერთი რამ გაირკვა — თუ მადრიდელები მოახერხებენ მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელის დასაკუთრებას, მაშინ უარის თქმა მოუწევთ მეორე ვარსკვლავზე, გასული სეზონის ტრიუმფატორ ზინედინ ზიდანზე.

— კლუბის ბიუჯეტი ამ ორი ვარიანტის ერთად განხორციელებას, ანუ რონალდოს და ზიდანის ყიდვას ვერ გასწვდება — ამბობს „რეალის“ პრეზიდენტი.

ხოლო მადრიდში, და უკვე არამარტო იქ, ხალხი გულისფანცქალით ელის პასუხს კითხვაზე — წავა რონალდო „რეალში“?

დავით კოვზირიძე

ბარსელონაში ყველა, მოსკოვში ნახევარი

ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩზე, რომელიც 26 მაისს ბარსელონურ „კამპ ნოუზე“ გაიმართება, დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ შეხვედრისთვის გამოყოფილი 90 ათასი ბილეთიდან სალაროებში აღარც ერთი აღარ არის — აცხადებს უეფა.

თითოეული კლუბის ქომაგებისთვის გათვალისწინებული იყო 30-30 ათასი ბილეთი, 9 ათასი კატალონიელ გულშემატკივრებს ერგოთ, ხოლო დარჩენილი 21 ათასი ფეხბურთის ასოციაციებზე, კომერციულ პარტნიორებსა და უეფას წარმომადგენლებზე განაწილდა.

რაც შეეხება უეფას თასის ფინალს, რომელიც მომავალ ოთხშაბათს, 12 მაისს მოსკოვში გაიმართება და ერთმანეთს „პარმა“ და „მარსელი“ შეხვდებიან, აქ მდგომარეობა უფრო მძიმეა. გამოყოფილი 77 ათასი ბილეთიდან ჯერჯერობით მხოლოდ 41 ათასია გაყიდული, თუმცა სტადიონ „ლუჟნიკის“ პრესმდივანი სერგეი ბორისოვი მაინც იმედიანადაა. იგი ამბობს:

— რუსები ტრადიციულად ბოლო წამამდე იცდიან და მერე ყიდულობენ ბილეთს, ამიტომ სულაც არ გამიკვირდება, თუ 12 მაისისათვის ყველა ბილეთი გასაღებული იქნება.

ისევ დავიდ ჟინოლა

დავიდ ჟინოლა კვლავაც საუკეთესოა

ორიოდ კვირის წინ ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ტოტენჰემ ჰოთსფურის“ ფრანგი ნახევარმცველი დავიდ ჟინოლა დაასახელა.

გუშინ ჟინოლას კარგი თამაში უფრო პრესტიჟულ გამოკითხვაშიც დაფასდა. ინგლისში ფეხბურთზე მწერალი ხალხი შეიკრიბა და წლეულს საუკეთესოდ კვლავ ფრანგი ნახევარმცველი ცნო.

ასე რომ, მიმდინარე სეზონში დავიდ ჟინოლამ ორმაგ წარმატებას მიაღწია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იგი ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია. სწორედ მისი კარგი თამაშის და ფანტასტიკური გოლების წყალობით მოიპოვა ლონდონურმა კლუბმა ქვეყნის ლიგის თასი და ასოციაციის თასის ნახევარფინალში გააღწია. სხვათა შორის, როდესაც ამ ცოტა ხნის წინ იოჰან კრუიფს ჰკითხეს, ვინ არის დღეს მსოფლიოში უძლიერესი, დიდმა ჰოლანდიელმა უყოყმანოდ ახსენა ჟინოლა.

ეს გამოკითხვა ფეხბურთის სამშობლოში 1948 წლიდან ტარდება. ბოლო ინგლისელი, რომელიც აღიარეს, ალან შირერი გახლდათ. ქვეყნის ნაკრების კაპიტანი საუკეთესო 1994 წელს გახდა. მას შემდეგ ჟურნალისტები უპირატესობას ლეგიონერებს ანიჭებდნენ: 1995 — იურგენ კლინსმანი (გერმანია, ტოტენჰემი), 1996 — ერიკ კანტონა (საფრანგეთი, მანჩესტერ იუნაიტედი), 1997 — ჯანფრანკო ძოლა (იტალია, ჩელსი), 1998 — დენის ბერხკამპი (ჰოლანდია, არსენალი). აღსანიშნავია, რომ ჟინოლას დარად, შარშან ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმაც ორმაგ წარმატებას მიაღწია, ანუ იგი კოლეგებმაც დააფასეს და მასმედიამაც.

ისიც სათქმელია, რომ ბოლო ათწლეულში ამ გამოკითხვაში განსაკუთრებით სწორედ „ტოტენჰემ ჰოთსფურის“ მოთამაშეები გამოირჩეოდნენ. კლინსმანის და ჟინოლას გარდა, 1992 წელს პირველობა არავის დაუთმო მაშინ დედაქალაქურ გუნდში მოასპარეზე თავდამსხმელმა, გარი ლინეკერმა.

შუკერი რეალიდან გააგდეს
ის შეიძლება ფულემში წავიდეს

მადრიდის „რეალის“ ხორვატი თავდამსხმელი დავორ შუკერი, რომელიც თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა, გუნდიდან საერთოდ მოკვეთეს. „რეალის“ უელსელი თავკაცის ჯონ ტოშაკის დაუსრულებელი კრიტიკისთვის შუკერს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის, თუმცა მას ამჯერად ფულადი ჯარიმის გადახდა არ დაკისრებია.

შუკერის პრობლემებს ბოლო არ უჩანს

ფორვარდის იძულებითი დასვენების ამბავი მას შემდეგ გადაწყდა, რაც მას მადრიდელთა პრეზიდენტი ლორენსო სანსი შეხვდა. სხვათა შორის, საუბარს შუკერის თანამემამულე და თანაკლუბელი რობერტ იარნიც ესწრებოდა. ბოლო დროს იარნიც ხშირად ჩნდებოდა ესპანურ გაზეთებში და შუკერის მსგავსად ისიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ტოშაკის მეთოდებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, „რეალის“ მცველი სასჯელს რატომღაც გადაურჩა.

ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელი გუნდის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია:

— შუკერი უდისციპლინობისთვის დაისაჯა. ამიერიდან იგი „რეალში“ აღარ ითამაშებს და შესაბამისად ხელფასსაც აღარ მიიღებს.

ცოტა ხნის წინ სათადარიგოთა შორის გამწესებულობით აღშფოთებულმა შუკერმა ტოშაკი რომ აუგად მოიხსენია, „რეალმა“ ჯარიმის სახით 500 ათასი პესეტა (3250 დოლარი) გადაახდევინა, მაგრამ ფეხბურთელის უარყოფით ემოციებს ამან ვერ უშველა.

საინტერესოა ისიც, რომ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე „რეალიდან“ ესპანეთისა და ხორვატიის ნაკრებების ამხანაგური მატჩის მეორე დღეს გააგდეს. ამ შეხვედრაში, რომელიც სეზონის ბოლოს ინგლისელ ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა და მასპინძლებმა 3:1 მოიგეს, სტუმართა ერთადერთი გოლი სწორედ დავორ შუკერმა გაიტანა და ოპონენტებს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა თავისი ოსტატობა.

31 წლის თავდამსხმელის ესპანური კარიერა 1991-ში „სევილიაში“ დაიწყო, სადაც იგი ზაგრების „დინამოდან“ გადავიდა. 1996 წლის ზაფხულში შუკერმა მადრიდის „რეალთან“ გააფორმა ხელშეკრულება. პირველი სეზონი მისთვის შესანიშნავი გამოდგა — ყველა, 38-ივე შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში იყო და 24 ბურთიც შეაგდო.

მიმდინარე სეზონში, მიუხედავად საფრანგეთი 98-ზე ბრწყინვალე გამოსვლისა, შუკერი ძირითადად სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა. დაიწყო მითქმა-მოთქმა მისი მადრიდიდან წასვლის შესახებ და რამდენიმე კლუბმაც გამოცდილი ფორვარდის შეძენის სურვილი გამოთქვა. მათ შორის ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ და ინგლისურმა „ტოტენჰემმა“.

სულ ბოლო ცნობით, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, შუკერს კევინ კიგანთან გაუმართავს მოლაპარაკებები და სავსებით შესაძლებელია (მით უმეტეს „რეალიდან“ მოკვეთის შემდეგ), მალე იგი ინგლისის პირველ დივიზიონში წლეულს გადასულ „ფულემში“ აღმოჩნდეს.

უეფამ ასე ინება

გუშინ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ, უეფამ, თავის ორი ძველი გადაწყვეტილება შეცვალა...

უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალში იტალიური „რომა“ მადრიდის „ატლეტიკოს“ ხვდებოდა. განმეორებით მატჩში, რომელიც იტალიის დედაქალაქში გაიმართა, ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი ტიფოზები ძალიან ცუდად მოიქცნენ — მინდორზე სხვადასხვა საგნები: ხურდა ფული, ბოთლები, სანთებლები ისროლეს. 24 მარტს უეფას საგანგებო კომისია შეიკრიბა და „რომა“ 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით, ანუ 33650 დოლარით დააჯარიმა. ამავდროულად, უხეშობისთვის გაძევებულ რომაელთა კამერუნელ მცველს პიერ ვომეს სამმატჩიანი, ხოლო მის თანაგუნდელ ფრანჩესკო ტოტის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

მშვიდ ვითარებაში არც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩს, „აიაქს“ — ზაგრების „კროაციას“ ჩაუვლია, რომელიც 25 ნოემბერს ამსტერდამის „არენაზე“ გაიმართა. 22 იანვარს უეფამ ჰოლანდიურ კლუბს ჯარიმის სახით 50 ათასი ფრანკის გადახდა დააკისრა.

და აი, გუშინ ჟენევაში შეკრებილმა უეფას წევრებმა ძველ გადაწყვეტილებებს გადახედეს და დადგინდა: „რომას“ გაუმკაცრდეს სანქცია და ფულადი ჯარიმა 50 ათასი ფრანკიდან 75 ათასამდე (50470 დოლარი) გაეზარდოს. რაც შეეხება ვომეს და ტოტის დისკვალიფიკაციებს, ეს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

ამსტერდამის „აიაქსს“ პირიქით, სასჯელი შეუმცირდა. ახლა ჰოლანდიელებს 50 ათასი ფრანკის ნაცვლად მხოლოდ 15 ათასის (10090) გადახდა მოუწევთ.

18 წელი გასულა

პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ 1981 წლის მერე პირველად, საბერძნეთის ჩემპიონის ტიტულისა და თასის მოპოვებასთან ძალიან ახლოსაა. ამისათვის მას, კვირას, „პანათინაიკოსის“ ხუთ დღეში მეორედ დამარცხება მოეთხოვება და მართალია ამით, ოფიციალურად, პირველობას ჯერ მაინც ვერ გაინაღდებს, მაგრამ მიზანთან ძალიან ახლოს მივა.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს, თასის ფინალში, პირეოსელებმა „პანათინაიკოსს“ 2:0 მოუგეს.

„ოლიმპიაკოსი“ მეორე ადგილზე მყოფ აეკს 10 ქულით უსწრებს.

სპორტბოლიკი
კითხვა-პასუხი

— რად ხარ აგრე მოწყენილი?

— აბა, შეიძლება, ყველაფერი წითელ თუმნიანებზე გაიყიდოს?

— საზოგადოდ?

— საზოგადოდ, რა უნდა ტიტი კამარას „ლივერპულში“?

— ვაჰ, რიგობერტ სონგი თუ დააბოტებს „ენფილდზე“, ტიტი კამარას რა, ფერი აქვს ნაყლები, თუ ხორცი?

— მალე ისე წავა საქმე, რომ „ლანსს“ და „ლივერპულს“ ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევ.

— განა „მარსელი“ არ სჯობს „ლივერპულს“? აგე, ფინალში გავიდა.

— პირველად ვხედავ, რომ ხალხი მოკსოვში ჩასავლელად ამდენს იბრძოდეს. რად უნდა ამდენი ჭიდაობა. არ გახსოვს რა იოლად დავდიოდით მოსკოვში?

— ის სხვა წასვლა იყო.

— მე კიდევ სულ მგონია, რომ სსრკ-ს თასის ფინალია.

— შენ სექტანტი ხარ, ინგლისის თასის ფინალი გირჩევია ჩემპიონთა ლიგისას.

— აბა, მა იტალიის თასია თასი?

— რატომ?

— ნიჩიით აღებული თასი მე არ გამიგია.

— რამ დაგბოღმა ამ იტალიაზე?

— იტალიაზე არც არფერმა. იქ რაც იციან, იმას აკეთებენ, იტალიელებზე კი დაბოღმილი ვარ.

— ერთი „ლაციო“ გაგეჩხირა ყელში.

— არა, კაცო. „ლაციო“ — პირიქით. ლაციოს ნორმალური მწვრთნელი ჰყავს. „ჩელსის“ ყავს ცოტა ისეთი...

— ვიალი?

— და „არსენალსაც“...

— აჰა, აგვწვა ქუჭი. აართვეს ჩემპიონობა „მანჩესტერს“, ხომ?

— არა. აბა, დაფიქრდი, რა გამოვიდოდა ერიქსონს რომ „ლაციოში“ სულ შვედები მოეყვანა?

— მე რა ვიცი, რა გამოვიდოდა...

— მე გეტყვი — „გეტერბორგი“ გამოვიდოდა...

— გამოსულიყო მერე...

— რა გამოსულიყო, სიმონ, „გეტებორგს“ რომში რა უნდა? ან „მონაკოს“ რა უნდა ლონდონში, ან „ლანსს“ ლივერპულში, ანდა „სოშოს“ რა ჭირი უნდა ნიუკასლში? საჰას რა უნდა ნიუკასლში? გილესპი გაუშვაო და საჰა მოიყვანო? რომელ წიგნში წერია? მაკატირი გაყიდო და სონგი იყიდაო, თვალები ჯიბეში გაქვს? ვისი წესია ესა?

— კარგი, ნუ გაილეწე. ვისიწესია და ბოსმანისა.

— მანახეთ ერთი ეგ კაცი. ფეხბურთს რომ თამაშობდეს ის დამანახეთ.

— ეგ არ არის მთავარი.

— ფეხბურთში ფეხბურთის თამაში არ არის მთავარი?

— ეს დემაგოგიაა...

— დემაგოგია არის, როცა დანკან ფერგიუსონი გირჩევნია შირერს.

— ვის ურჩევნია?

— გამოჩნდა ასეთი დალალდაწნული ხალხი.

— მაკმანამანი რომ მიდის?

— მალე ყველა წავა.

— ბიჭიც?

— ბიჭიც წავა, მაიცა მოიზარდოს.

— მაგის იმედი არა მაქვს, სწორ ადგილზე გადაუბრუნდა ფეხი.

— ხალხო, მოისმინეთ, ამ კაცს მაიკლ ოუენის იმედი არა აქვს.

— და გაზა?

— რა გაზა?

— გაზა სად წავა?

— გაზა უკვე იყო წასული.

— და აღარსად წავა?

— კი. სახლში.

კოვერჩანოს სკოლის საუკეთესო სტუდენტი

ალბერტო მალესანი იტალიის თასის მფლობელია

„პარმამ“ იტალიის თასი მოიპოვა, ხოლო მისმა მწვრთნელმა, ალბერტო მალესანიმ სახელი, პატივი და დიდებული ჯილდო: „გუნდის წარმატება მისი მწვრთნელის პერსონალური ტრიუმფია“ — ამბობენ დღეს იტალიელები. ემოციური მალესანი ფლორენციაში გამართული საპასუხო ფინალური მატჩის შემდეგ („ფიორენტინა“ — „პარმა“ 2:2 (1:1), მოლვარეებისგან ძლივს ლაპარაკობდა, ცდილობდა რეპორტიორებს დასხლტომოდა და ფეხბურთელებთან ერთად მოედანზე დახტოდა.

მერე, ერთი ხნის შემდეგ, მალესანის აღტაცების პირველმა ტალღამ გადაუარა და ჟურნალისტებთან საუბარში არც მეტოქის შექება დავიწყებია:

„მე რომ ასეთ წარმატებას მივაღწიე, სწორედ „ფიორენტინას“ დიდი დამსახურებაა“ — თქვა კაცმა, რომელმაც გასულ სეზონში „ფიორენტინას“ სერია A-ს მეხუთე ადგილი მოაპოვებინა — „ფლორენციის გუნდმა ჩამთირია ფეხბურთის დიდ სამყაროში. ცნობილი სწორედ მისი წყალობით გავხდი და აგერ, უკვე იტალიის თასის მფლობელიც გახლავართ. ამიტომაც ვალდებული ვარ, დღეს „ფიორენტინას“ ამაგი ვახსენო და მადლობაც ვუძღვნა. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ფლორენციიდან არსად წავიდოდი. როდესაც მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა მომესმა, გახარებული მოედანზე შევვარდი ჩემს ფეხბურთელებთან სიხარულის გასაზიარებლად და ვიგრძენი, რომ ფლორენციელი მაყურებელი ჩუმად იყო. ეს დუმილი მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება“.

თავის დროზე მალესანი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კოვერჩანოს სკოლის საუკეთესო სტუდენტი გახლდათ და 3-4-3 განლაგების დაცვითი ვარიანტების შესახებ დაწერილი მისი თეზისები დღესაც ბიბლიოთეკების თაროებზეა. შემდეგ მან თეორია პრაქტიკად აქცია. მისი პირველი გუნდი გახლდათ „კიევო“, მშობლიური ვერონის შორიახლოეთის ნაკლებად ცნობილი გუნდი. სამ სეზონში მალესანიმ „ვერონა“ სერია C-დან სერია B-ში აიყვანა და „ფიორენტინას“ ყურადღება დაიმსახურა.

ფლორენციაში 1997 წელს მისულმა მწვრთნელმა შემტევი ფეხბურთით ერთობ მოაწონა ადგილობრივ გულშემატკივარს თავი, თუმცა რაღა გულშემატკივარს, მისი პოპულარობა თავად ფეხბურთელებს შორის იმდენად დიდი იყო, რომ როდესაც „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ მასთან კონტრაქტის განახლებაზე უარი თქვა, მრისხანე თავდამსხმელი, გაბრიელ ბატისტუტა გუნდიდან წასვლითაც კი დაიმუქრა.

ჩეკი გორიმ ბატისტუტას მუქარას ყური არ უგდო, თავდამსხმელიც შეინარჩუნა და მწვრთნელად დიდი ჯოვანი ტრაპატონიც მიიწვია. მალესანიმ კი „პარმას“ მიაშურა.

დღეს, „პარმა“ იტალიის თასის მფლობელია და უეფას თასის ფინალში ფრანგულ „მარსელთან“ სათამაშოდ ემზადება. რაც შეეხება ჩემპიონატს, მართალია ფავორიტად შერაცხული გუნდი პირველობის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მეოთხე ადგილზეა და ლიდერს, „ლაციოს“, 10 ქულით ჩამორჩება, მეოთხე ადგილზე გასვლაც ერთობ მნიშვნელოვან შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რადგან გაისად ჩემპიონთა ლიგაში იტალიიდან სწორედ ოთხი გუნდი გადის.

„ფიორენტინა“ კი ამასობაში სრულიად უტიტულოდ რჩება.

„ძალიან მინდოდა თასი მოგვეგო. ფლორენციელი გულშემატკივარიც მხარში გვედგა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებში, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაძლებლობათა ნახევარი ვერ გამოვიყენეთ. ასე რომ, ამიერიდან, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებაზე უნდა ვიზრუნოთ“ — განაცხადა ჯოვანი ტრაპატონიმ.

მიხეილ სურგულაძე

ბრაზილია

ბრაზილიის თასი

III ფრე

საპასუხო მატჩი

ვასკუ და გამა 2:1 გოიანი

(ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვა გოიანმა 6:5)

მეოთხედფინალი. I მატჩი

ბოტაფოგო 2:1 ატლ. პარანაენსე

პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

II ეტაპი

III ჯგუფი

სან პაულუ 3:2 მატონეენსე

პორტუგეზა 3:3 ლიმეირა

IV ჯგუფი

გუარანი 4:1 მოგი მირიმი

სანტისტა 1:6 სანტოსი

III ჯგუფი

სან პაულუ	12	10	2	0	36:14	32
პორტუგეზა	12	7	2	3	22:20	23
პალმეირასი	11	5	5	1	18:11	20
მატონენსე	12	5	2	5	25:23	17
რიო ბრანკო	11	4	1	6	27:23	13
ლიმეირა	12	3	4	5	21:27	13

IV ჯგუფი

სანტოსი	12	8	2	2	31:14	26
ბარბარენსე	11	5	1	5	19:14	16
კორინთიანსი	11	4	1	6	19:24	13
გუარანი	12	3	2	7	17:24	11
მოგი მირიმი	12	3	2	7	13:28	11
სანტისტა	12	0	2	10	8:31	2

გუნდები თითოჯერ ხვდებიან თავიანთი ჯგუფის წარმომადგენლებს, ხოლო ორჯერ — სხვა ჯგუფის გუნდებს. ჯგუფიდან ორი საუკეთესო ნახევარფინალში გადის.

უკრაინა

თასის ნახევარფინალი

მალმიო 1:2 (დდ) გიოტებორგი

1:0 პავლოვიჩი (24), 1:1 კარლსონი (85), 1:2 ლუნდენი (112)

ფინალური შეხვედრა გიოტებორგი — აიკი გაიმართება 13 მაისს სტოკჰოლმში.

ამხანაგური მატჩი

ტრინიდადი 2:0 ს. აფრიკა

1:0 ტროტმანი (27), 2:0 ჯონი (52)

ტრინიდადი: ინსი, კინგი (ჯემოტი 81), ჯულიენი, დავიდი, ეკე, დვარიკა (სამი 89), ნახიდი, ენდრიუსი (მასონი 64), ელკოკი, ჯონი, ტროტმანი

ს. აფრიკა: ბალოი, ბუსი, მანზინი (საპულა 46), ფ. მაკართი, მალანგუ, მნგომენი, ხუმალო, მასილელა, მბელე, ნდლანია (მუკანსი 46), მუდაუ (ნომვეტე 70)

მსაჯი: პრენდერგასტი (იამაიკა)

სლოვენია

27-ე ტური: აიდოვშინა — ცელიე 2:1; ნოვა გორიცა — ტრიგლავი 0:0; მურა — ოლიმპია 2:0; მარიბორი — დომზალე 1:1; ველენიე — კოროტანი 1:2; ბელტინჩი — კოპერი 2:2.

მარიბორი	27	14	9	4	57:27	51
ნოვა გორიცა	27	14	7	6	43:27	49
ველენიე	27	13	7	7	34:21	46
მურა	27	13	5	9	44:26	44
კოროტანი	27	12	6	9	37:36	42
ოლიმპია	27	11	6	10	46:36	39
აიდოვშინა	27	11	6	10	33:30	39
ცელიე	27	6	11	10	21:29	29
ბელტინჩი	27	8	5	14	30:51	29
დომზალე	27	6	9	12	24:42	27
კოპერი	27	6	7	14	26:50	25
ტრიგლავი	27	5	8	14	23:43	23

თურქეთი

ამ კვირაში სტამბოლის „გალათასარაიმ“ მეთორმეტედ მოიპოვა თურქეთის თასი.

ჩემპიონატის ლიდერი, მოგეხსენებათ, ხვალ, მორიგ ტურში, ისევ უნდა დაუპირისპირდეს მეტოქეს, რომელსაც, ოთხშაბათს, მისსავე მოედანზე (და არა შინ, როგორც ნინა ნომერში გვქონდა) მოუგო თასის საპასუხო ფინალური შეხვედრა — 2:0.

შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი 0:0 დასრულდა, მეორეში კი ორივე გოლი უმით დავალამ გაიტანა. „გალათასარაის“ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა გუნდის რუმინელმა გამთამაშებელმა, უბერებელმა გეორგ ჰაჯიმ.

აქვე გთავაზობთ თურქეთის თასის მფლობელთა ჩამონათვალს.

თურქეთის თასის გამარჯვებულები

1963	გალათასარაი — ფენერბახჩე	2:1, 2:1
1964	გალათასარაი — ალთაი	0:0*
1965	გალათასარაი — ფენერბახჩე	0:0, 1:0
1966	გალათასარაი — ბეშიქთაში	1:0
1967	ალთაი — გაზიანთეფი	2:2*
1968	ფენერბახჩე — ალთაი	2:0, 0:1
1969	გაზიანთეფი — გალათასარაი	1:0, 1:1
1970	გაზიანთეფი — ესკიშეჰირსფორი	1:2, 3:1
1971	ესკიშეჰირსფორი — ბურსასფორი	0:1, 2:0
1972	ანკარაგიუჯიუ — ალთაი	0:0, 3:0
1973	გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ	3:1, 1:1
1974	ფენერბახჩე — ბურსასფორი	0:1, 3:0
1975	ბეშიქთაში — ტრაბზონსფორი	0:1, 2:0
1976	გალათასარაი — ტრაბზონსფორი	0:1, 1:0 (პენ. 5:4)
1977	ტრაბზონსფორი — ბეშიქთაში	1:0, 0:0
1978	ტრაბზონსფორი — ადანასფორი	3:0, 0:0
1979	ფენერბახჩე — ალთაი	1:2, 2:0
1980	ალთაი — გალათასარაი	1:0, 1:1
1981	ანკარაგიუჯიუ — ბოლუსფორი	2:1, 0:0
1982	გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ	3:0, 1:2
1983	ფენერბახჩე — მერსინ იდმანი	2:0, 2:1
1984	ტრაბზონსფორი — ბეშიქთაში	2:0
1985	გალათასარაი — ტრაბზონსფორი	0:0, 2:1
1986	ბურსასფორი — ალთაი	2:0
1987	გენჩერბირლიგი — ესკიშეჰირსფორი	5:0, 1:2
1988	საქარიასფორი — სამსუნსფორი	1:1, 2:0
1989	ბეშიქთაში — ფენერბახჩე	1:0, 2:1
1990	ბეშიქთაში — ტრაბზონსფორი	2:0
1991	გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ	3:1
1992	ტრაბზონსფორი — ბურსასფორი	0:3, 5:1
1993	გალათასარაი — ბეშიქთაში	1:0, 2:2
1994	ბეშიქთაში — გალათასარაი	0:0, 3:2
1995	ტრაბზონსფორი — გალათასარაი	3:2, 1:0
1996	გალათასარაი — ფენერბახჩე	1:0, 1:1
1997	ძოჩაელსფორი — ტრაბზონსფორი	1:1, 1:0
1998	ბეშიქთაში — გალათასარაი	1:1, 1:1 (პენ. 4:2)
1999	გალათასარაი — ბეშიქთაში	0:0, 2:0

**1964 და 1967 წლებში თასი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით შესაბამისად „გალათასარაის“ და „ალთაის“ მიენიჭათ*

იტალიის თასის გამარჯვებულები

1922	ვადო — უდინეზე	1:0
1936	ტორინო — ალესანდრია	5:1
1937	ჯენოა — რომა	1:0
1938	იუვენტუსი — ტორინო	3:1, 2:1
1939	ამბროზიანა — ნოვარა	2:1
1940	ფიორენტინა — ჯენოვა	1:0
1941	ვენეცია — რომა	3:3, 1:0
1942	იუვენტუსი — მილანი	1:1, 4:1
1943	ტორინო — ვენეცია	4:0
1958	ლაციო — ფიორენტინა 1:0	
1959	იუვენტუსი — ინტერი	4:1
1960	იუვენტუსი — ფიორენტინა	3:2
1961	ფიორენტინა — ლაციო	2:0
1962	ნაპოლი — სპალი	2:1
1963	ატალანტა — ტორინო	3:1
1964	რომა — ტორინო	0:0, 1:0
1965	იუვენტუსი — ინტერი	1:0
1966	ფიორენტინა — კატანძარო	2:1
1967	მილანი — პადოვა	1:0
1968	ტორინო*	
1969	რომა*	
1970	ბოლონია*	
1971	ტორინო — მილანი	0:0 (პენ. 5:3)
1972	მილანი — ნაპოლი	2:0
1973	მილანი — იუვენტუსი	1:1 (პენ. 5:2)
1974	ბოლონია — პალერმო	0:0 (პენ. 5:4)
1975	ფიორენტინა — მილანი	3:2
1976	ნაპოლი — ვერონა	4:0
1977	მილანი — ინტერი	2:0
1978	ინტერი — ნაპოლი	2:1
1979	იუვენტუსი — პალერმო	2:1
1980	რომა — ტორინო	0:0 (პენ. 3:2)
1981	რომა — ტორინო	1:1, 1:1 (პენ. 5:3)
1982	ინტერი — ტორინო	1:0, 1:1
1983	იუვენტუსი — ვერონა	0:2, 3:2
1984	რომა — ვერონა	1:1, 1:0
1985	სამპდორია — მილანი	1:0, 2:1
1986	რომა — სამპდორია	1:2, 2:0
1987	ნაპოლი — ატალანტა	3:0, 1:0
1988	სამპდორია — ტორინო	2:0, 1:2
1989	სამპდორია — ნაპოლი	0:1, 4:0
1990	იუვენტუსი — მილანი	0:0, 1:0
1991	რომა — სამპდორია	3:1, 1:1
1992	პარმა — იუვენტუსი	0:1, 2:0
1993	ტორინო — რომა	3:0, 2:5
1994	სამპდორია — ანკონა	0:0, 6:1
1995	იუვენტუსი — პარმა	1:0, 2:0
1996	ფიორენტინა — ატალანტა	1:0, 2:0
1997	ვიჩენცა — ნაპოლი	0:1, 3:0
1998	ლაციო — მილანი	0:1, 3:1
1999	პარმა — ფიორენტინა	1:1, 2:2

**1968-70 წლებში თასის მფლობელი ჯგუფური ტურნირის შედეგად გლინდებოდა.*
1923-35 და 1944-57 წლებში თასის გათამაშება არ ჩატარებულა.

თასების მფლობელთა თასი

XXXII გათამაშება 1991-92 წლები

ვერდერი

ბრემენი, გერმანია

ალოიზ ეყლისაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

გერმანელების მეხუთე და უკანასკნელი თასების თასი

ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედი“, წინა გათამაშების გამარჯვებული, ტურნირს ცოტა მოულოდნელად გამოეთიშა. მანჩესტერელებს კლავ მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ მერვედფინალში ესპანურ „ატლეტიკოს“ შეეწირნენ. უფრო სწორად, იღბალმა ზურგი აქცია.

ნათქვამია, იღბალი ძლიერებს სწყალობსო, მაგრამ ამჯერად ყველაფერი პირიქით მოხდა. მადრიდში ინგლისელებმა ჩინებულად ითამაშეს, უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მათი კაპიტანი ბრაიან რობსონი დაასახელეს, მაგრამ ... 0:3 წააგეს.

„ატლეტიკოს“ პორტუგალიელმა პაულო ფუტრემ პირველ ტაიმში მეკარე შმაიხელის შეცდომით ისარგებლა და ანგარაში გახსნა. მერე, ბოლო ექვს წუთში იმავე ფუტრემ და სანჩესმა კიდევ ორჯერ გაიტანეს. ყველა გოლში დიდი წვლილი მიუძღოდა „ატლეტიკოს“ ვეტერან გერმანელს ბერნდ შუსტერს.

„ოლდ ტრეფორდზე“ უკვე მეოთხე წუთისთვის „იუნაიტედი“ იგებდა. უელსელმა მარკ ჰუიზმა სტუმართა მეკარე აბელ რასინოს აჯობა. „ალისფერებს“ არც შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები, მაგრამ „ატლეტიკომ“ გაძლო. უფრო მეტიც, მეორე ტაიმში შუსტერმა საპასუხო გაიტანა და ინგლისელები ტურნირს დაამშვიდობა.

ოტო რეჰაგელის „ვერდერის“ ტრიუმფი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ამ დროს ბრემენის გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო გერმანიაში და, ალბათ, ევროპაშიც. რუმინულ „ბაკეუსა“ და უნგრული „ფერენცვაროშის“ დამარცხების შემდეგ, მეოთხედფინალში ოტოს ბიჭები მოულოდნელად დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ თურქული „გალათასარაისგან“. ბრემენში, 33-ე წუთზე, თურქთა პოლონელმა კოსეკიმ გახსნა ანგარიში და „ვეზერშტადიონზე“ მისული 43 ათასი მაყურებელი მე-80 წუთამდე ელოდა, სანამ კონი გაათანაბრებდა. კიდევ ექვს წუთში ბაშტერმა გამარჯვების გოლიც შეაგდო. თუმცა საერთო გამარჯვებისთვის 2:1 საკმაოდ სახიფათო შედეგი იყო.

სტამბულში, „გალათას“ შეტევებს 90 წუთის განმავლობაში 35 ათასი ქომაგი უჭერდა მხარს, მაგრამ ბრემენელთა დაცვისა და მეკარე ოლივერ კარეკის კარგმა თამაშმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. 0:0 და „ვერდერი“ ნახევარფინალში ბელგიურ „ბრიუგეს“ დაუპირისპირდა. აქაც ყურადღების ცენტრში რეკი აღმოჩნდა.

ბრიუგეში ნიგერიელი ამოკაშის გოლით მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ. მერე რეკის ჯერიც დადგა. რამდენიმე ეპიზოდში მან ჩინებულად ითამაშა და ამისათვის... დაასაჯა კიდეც. მეორე ტაიმში ერთმა გაავებულმა მაყურებელმა სტუმართა მეკარეს რკინის ნაჭერი ესროლა. მეკარეს მხარი დაუზიანდა, მაგრამ ექვსი წუთის განმავლობაში მაინც არ გავიდა მოედნიდან. მის მოთმინებას ყველა საინფორმაციო საშუალება აღნიშნავდა. ბოლოს, როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, ის სათადარიგო როლმანმა შეცვალა.

ბრემენში რეჰაგელის გუნდს რევანში არ გასჭირვებია. ბელგიელებს თითო ტაიმში თითო გაუტანეს და თავის ისტორიაში პირველად გავიდნენ ევროთასის ფინალში, სადაც მათი მეტოქე საკმაოდ ძლიერი „მონაკო“ გახლდათ.

ლისაბონში „სტადიო და ლუშზე“ მოსული 20 ათასი მაყურებელი შემტევი ფეხბურთის მოწმე გახდა. რეჰაგელმა მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად სამი თავდამსხმელი: კლაუს ალოფსი, რუფერი და ბოდე გამოიყვანა. მატჩის წინ არსებული ინფორმაციით 35 წლის ალოფსს თითქოს არ უნდა ეთამაშა, მაგრამ ვეტერანი მინდორზე გამოვიდა და პირველი ტაიმის მიწურულს ბურთიც გაიტანა.

მეორეს დასაწყისში, როცა კორსიკელები გათანაბრებას ცდილობდნენ, „ვერდერის“ ახალზელანდიელმა უინტონ რუფერმა დიდი სისწრაფით ჩაუქროლა მცველებს, მეკარე ეტორიც მოატყუა და მეორე შეაგდო. მანამდე მონაკელებმა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. ჯერ ჟორჟ ვეას ქუსლით დარტყმული მოიგერია იურგენ როლმანმა, რომელმაც დისკვალიფიცირებული რეკის ნაცვლად ითამაშა, მერე მარსელ დიბსა და სუბარუშსაც გაუცუდდათ მომენტები. თავის მხრივ, მანფრედ ბოკენფელდს სასწაულით აუღო ეტორიმ, ბრემენელთა საუკეთესო მეგოლის მარკო ბოდეს დარტყმული კი მილიმეტრებში ასცდა „მონაკოს“ კარის ცხრიანს.



სარგბიელის არქივიდან

მონაკოსთან მეორე ბურთის გამტანი უინტონ რუფერი

„ვერდერის“ მოგებული თასების თასი გერმანელებისთვის მეხუთე და უკანასკნელი აღმოჩნდა. 1998 წელს „შტუტგარტს“ შეეძლო ამ ციფრის გაზრდა, მაგრამ ფინალში ინგლისურ „ჩელსისთან “ დამარცხდა.

ბრემენული კლუბისთვის კი 80-იანი წლების ბოლო და 90-იანების დასაწყისი საუკეთესო იყო ისტორიაში. ევროთასის გარდა, გუნდმა 1988 და 93 წლებში გერმანიის ჩემპიონობა მოიპოვა, 1991 და 94 წლებში კი ქვეყნის თასს დაეუფლა. ეს ყველაფერი ერთადერთი კაცის, ოტო რეჰაგელის სახელთანაა დაკავშირებული.

„მეფე ოტო“, როგორც მას გერმანიაში უწოდებენ, გუნდში 1981 წელს მივიდა, იქ 14 წლის განმავლობაში იმუშავა (ბუნდესლიგის რეკორდი) და „ვერდერის“ ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი გახდა.

შემადგენლობის სტაბილურობა რეჰაგელის კონცეფციის დასაყრდენი გახლდათ. 7-8 ფეხბურთელი მასთან წლების მანძილზე თამაშობდნენ და ამას ყოველთვის დადებითი შედეგი მოჰქონდა. ასე მაგალითად, 1988-ში „ვერდერი“ პირველად გახდა ბუნდესჩემპიონი, არადა სეზონის დასაწყისში სამი მთავარი ფიგურა დააკლდა, მეკარე ბურდენსკიმ კარიერა დაამთავრა, ხოლო ავსტრიელი მცველი პეკაი და შემტევი ფიოლერი სხვა გუნდებში გადავიდნენ. მაგრამ ძირითადი ბირთვი იმდენად იყო შეკრული, რომ ეს დანაკლისი პრაქტიკულად არც დატყობიათ. „მონაკოსთან“ ფინალშიც უმეტესობა ისინი იყვნენ, ვინც ხუთი წლის წინ, 1987-ში, თბილისში „დინამოს“ წინააღმდეგ ითამაშა. ხუთი წელი კი საფეხბურთო გუნდისთვის პატარა დრო არ არის. ამ „უმეტესობას“ დამატებული კლაუს ალოფსი, ფაქტობრივად ჩამოწერილი ფეხბურთელი, რომელმაც რეჰაგელის ხელში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ლისაბონში კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბურთიც შეაგდო.

აი, ასეთი იყო 90-იანის დასაწყისის „ვერდერი“. გუნდი, რომლის მოთამაშეებს ბრემენში დღესაც დიდი მოწიწებით იხსენებენ.

სარგბიელის არქივიდან

ფინალი. შეტევაზე პირველი გოლის ავტორი კლაუს ალოფსი

ოტო რეჰაგელი ბრემენის აეროპორტში

წინასწარი წრე

გოლუეი (ირლანდია) — ოდენსე (დანია) 0:3, 0:4
შტოკერაუ (ავსტრია) — ტოტენჰემი (ინგლისი) 0:1 (ვენა), 0:1

პირველი წრე

ომონია (კვიპროსი) — ბრიუგე (ბელგია) 0:2, 0:2; ჰაიდუკი (იუგოსლავია) — ტოტენჰემი 1:0 (ლონდონი), 0:2; ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ფენერი (ლუქსემბურგი) 4:0, 2:1; გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — ილვესი (ფინეთი) 3:2, 1:2; ბაზა (ბოლონეთი) — მოზერუელი (შოტლანდია) 2:0, 1:3; ოდენსე — ბანიკი (ჩეხოსლოვაკია) 0:2, 1:2; სუოსი (უელსი) — მონაკო (საფრანგეთი) 1:2, 0:3; ვალიური (ისლანდია) — სიონი (შვეიცარია) 0:1, 1:4; ვიტოშა (ბულგარეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 2:3, 1:4; ათინაიკოსი (საბერძნეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 0:0, 0:2 დდ; შტალი (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) 1:2, 0:3; ბაკუუ (რუმინეთი) — ვერდერი (გერმანია) 0:6, 0:5; ვალეტა (მალტა) — პორტუ (პორტუგალია) 0:3, 0:1; ფიულინგენი (ნორვეგია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 0:1 (ბერგენი), 2:7; პარტიზანი (ალბანეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:0, 0:1; ცსკა (მოსკოვი, სსრკ) — რომა (იტალია) 1:2, 1:0

მეოთხედფინალი

ტოტენჰემი — პორტუ 3:1, 0:0; ატლეტიკო — მანჩესტერ იუნაიტედი 3:0, 1:1; გაკ — ბრიუგე 0:1, 0:3; ილვესი — რომა 1:1, 2:5; სიონი — ფეიენოორდი 0:0, 0:0 პენ 3:5; ვერდერი — ფერენცვაროში 3:2, 1:0; ნორჩიოპინგი — მონაკო 1:2, 0:1; გალათასარაი — ბანიკი 0:1, 2:1

მეოთხედფინალი

ვერდერი — გალათასარაი 2:1 (*კონი, ბაშტერი; კოსეკი*), 0:0
რომა — მონაკო 0:0, 0:1 (*რეი ბარუში*)
ატლეტიკო — ბრიუგე 3:2 (*შუსტერი, ტონი, ფუტრე; ვერსპაილი, ბეიენსი*), 1:2 (*ფუტრე; კერტერი, ბოდე*)
ფეიენოორდი — ტოტენჰემი 1:0 (*კიბრისი*), 0:0

ნახევარფინალი

ბრიუგე — ვერდერი 1:0 (*ამოიასმი*), 0:2 (*ბოდე, ბოკენფელდი*)
მონაკო — ფეიენოორდი 1:1 (*ფალერი; როთ ვინჩე*), 2:2 (*ვეა, რეი ბარუში; როთ ვინჩე, დასმანი*)

ფინალი. ლისაბონი. 6 მაისი. 20 000 მაყურებელი

ვერდერი 2:0 მონაკო

1:0 კ. ალოფსი (41), 2:0 რუფერი (55)

ვერდერი: როლმანი, ბოკენფელდი, ვოლტერი (შაფი 35), ბრატსეტი, ბოდე, ბოროვკა, აილტსი, ვოტავა, ნოიბარტი (კონი 75), რუფერი, კ. ალოფსი
მონაკო: ეტორი, ვალერი (ჯორკაეფი 62), სონორი, პეტი, მანდი, დიბი, ნიაკო, რეი ბარუში, ვეა, პასი, ფოფანა (კლემანი 59)
მსაჯი: დელია (იტალია)

ITAMBEBI IYO, NARMATEBA?

1996 წლის „აინტრახტის“ გუნდური ფოტოს ფრაგმენტი. მარცხნიდან ზედა რიგში: კომლიენოვიჩი, ცხადაძე, ფლიკი, პეიოვიჩი; ქვედა რიგში: გაუდინო, ბოიხელი, ბეკერი, როიტერი

სარგებლის არქივიდან

100 იუბილარი

ა...
ფ...
ბ...

Eintracht

დაარსდა:
1899 წლის 8 მარტს

- გერმანიის ჩემპიონი: (1) 1959
- გერმანიის თასის მფლობელი: (4) 1974, 1975, 1981, 1988
- უეფას თასის მფლობელი: (1) 1980
- კლუბის ფერები: შავი, თეთრი, ნითელი
- სტადიონი: „ვალდშტადიონი“. იტევს 61 146 მაყურებელს
- მისამართი: ფრანკფურტი, ერლენბრუხის 25.
- კლუბის პრეზიდენტი: როლფ ჰელერი
- მთავარი მწვრთნელი: იორგ ბერგერი

ვიქტორიადან აინტრახტამდე

1899 წლის მარტის დასაწყისში გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ფეხბურთით დაინტერესებული ოცამდე ადამიანი შეიკრიბა და საფეხბურთო კლუბის დაარსება გადაწყვიტა. ამ მიზნით 8 მარტს საგანგებო სხდომაც გაიმართა და... დაარსდა ორი კლუბი — „ვიქტორია“ და „გერმანია“. მიზეზი? სხდომის მონაწილენი, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, რამდენიმე საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა ვალტერ ბანსემანის ხელმძღვანელობით „ვიქტორია“ დააფუძნა, ხოლო მეორემ, რომელიც ალბერტ პოლენკის ირგვლივ შემოიკრიბა, ოდნავ მოგვიანებით „გერმანია“ ჩამოაყალიბა.

„ვიქტორიამ“ საკლუბო ფერებად თავიდანვე შავი, თეთრი და წითელი აირჩია. ამ ფერებით გაწყობილი ფორმით თამაშობს ამჟამად ფრანკფურტის „აინტრახტი“.

„ვიქტორიაც“ და „გერმანიაც“ თავიდანვე უამრავ ამხანაგურ მატჩს ატარებდა, თუმცა „ვიქტორია“ აშკარად სჯობდა კონკურენტს და ეს გულშემატკივართა რიცხვშიც კარგად გამოიხატებოდა. „ვიქტორიას“ ყველაფერთან ერთად შემადგენლობაც ბევრად უფრო ძლიერი ჰყავდა. აქ თამაშობდა იმდროინდელი გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი ფრიც ბეკერი, რომელიც ქვეყნის ნაკრების პირველ საერთაშორისო მატჩშიც მონაწილეობდა. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ „გერმანია“ ნელ-ნელა „ვიქტორიას“ ჩრდილში მოექცა, რამაც გუნდის დასუსტება განაპირობა.

ბოლოს კი მოსახდენიც მოხდა. 1911 წელს „ვიქტორია“ „გერმანიის“ ხელმძღვანელობის თხოვნას დათანხმდა და იგი შეიერთა. თუმცა გაერთიანებულ და გაძლიერებულ „ვიქტორიას“ დიდხანს არ უარსებია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კლუბი ფინანსურად წელში ვეღარ გაიმართა და 1920 წლის მაისში სპორტსაზოგადოება „აინტრახტის“ მფლობელობაში გადავიდა. კლუბსაც, ბუნებრივია, სახელი შეეცვალა და „აინტრახტი“ ეწოდა. დაარსების თარიღად კი კვლავინდებურად 1899 წლის 8 მარტი დარჩა.

პირველი წარმატება

ორიოდე თვის წინ ფრანკფურტის „აინტრახტს“ 100 წელი შეუსრულდა. ერთი საუკუნე საფეხბურთო კლუბისთვის მართლაც დიდი დროა, თუმცა „აინტრახტი“ ამ ხნის განმავლობაში მოპოვებული ჯილდოებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის. არა შგონია, ისეთი პოპულარული კლუბისთვის, როგორიც „აინტრახტია“, ერთი უეფას თასი, გერმანიის ჩემპიონის ერთი ტიტული და ოთხიც ქვეყნის თასი საკმარისი იყოს.

1963 წლამდე, ვიდრე ბუნდესლიგას ჩაეყრებოდა საფუძველი, გერმანიის ჩემპიონატი განსხვავებული სისტემით ტარდებოდა. კერძოდ, არსებობდა ხუთი რეგიონალური ლიგა, რომელთა ჩემპიონები და სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი ორ ოთხგუნდიან ჯგუფს ქმნიდნენ. 1959 წელს „აინტრახტი“ ერთ-ერთი ლიგის გამარჯვებული გახდა და „ვერდერთან“, „პერმასენსთან“ და „კიოლნთან“ ერთად მეორე, ეგრეთ წოდებული ფინალური ჯგუფი შექმნა.

„აინტრახტმა“ სამივე მეტოქე დაამარცხა და ფინალში გავიდა. იქ მას მეორე ჯგუფის გამარჯვებული „ოფენბახ კიკერსი“ ელოდა.

ფინალი ძალიან დაძაბული და კარგი სანახავი გამოდგა. შეხვედრა სულ 15 წამის (!) დაწყებული იყო, ანგარიში რომ გაიხსნა. კრესმა მინდერის შუაგულიდან საჯარიმოში სტანის ჩაწოდა პასი, რომელმაც ბურთი ერთი შეხებით კარში გადაგზავნა. 22-ე წუთზე ანგარიში უკვე 2:2 იყო. „აინტრახტიდან“ მეორე გოლი ფაიგენშპანმა გაიტანა. სტადიონზე შეკრებილი 95000 ქომაგი ასეთ დასაწყისს არ ელოდა და ტრიბუნებიც აბობოქრდა, თუმცა ძირითად დროში მეტი გოლი აღარ გასულა.

დამატებითის პირველივე წუთზე „ოფენბახის“ კარში პენალტი დაინიშნა. გუნდის შტატიანმა პენალისტმა, ფაიგენშპანმა, ამჯერადაც ივარგა. მალე სტანიმაც დუბლი შეასრულა და თავისიანები კიდევ უფრო დააწინაურა, თუმცა „ოფენბახმა“ სხვაობა ისევ შეამცირა — 4:3. მატჩს წერტილი 118-ე წუთზე დაესვა. ფაიგენშპანმა ჰეთთრიქი შეასრულა და თამაშიც 5:3 დასრულდა. ჩემპიონობის მოპოვებისთვის თითოეულმა ფეხბურთელმა ფრანკფურტის მერისგან 4000 გერმანული მარკა მიიღო პრემიად.

ჩემპიონობასთან ერთად „აინტრახტმა“ ჩემპიონთა თასის საგზურიც მოიპოვა, სადაც ასევე წარმატებით გამოვიდა. ფრანკფურტელებმა ფინალამდე გზა ჩინებულად განვლეს, მაგრამ იქ იმ დროს მსოფლიოში მართლაც უძლიერეს კლუბ მადრიდის „რეალთან“ დამარცხდნენ — 3:7.

დაკარგული თამბა

გერმანელთა რწმენით, ეს გუნდი კიდევ ბევრს მიაღწევდა, მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში ძირითადი ბირთვი: უნგრელი იშტვან სტანი, გერმანელები — ეკო ფაიგენშტანი და ერვინ შტაინი კლუბის ხელმძღვანელობამ გაყიდა.

მომავალ წარმატებას „აინტრახტმა“ 1974 წელს მიაღწია, როცა ისტორიაში პირველად გერმანიის თასს დაეუფლა. ამ დროს კლუბში უკვე ახალი თაობა იყო — ვოლფგანგ კრაუსი, კარლ-ჰაინც კიორბელი, მსოფლიოს ჩემპიონები — ბერნდ ჰოლცენბაინი და იურგენ გრაბოვსკი. მათ მართლაც ბევრის მიღწევა ძალუძდათ, მაგრამ თავიდან მხოლოდ ორ თასს დასჯერდნენ. 1974 წელს „აინტრახტმა“ დაარსებიდან 75 წლისთავი იზეიმა. დაბადების დღე კი, გერმანიის თასის მოპოვებით აღნიშნა. ეს თასი ფრანკფურტელებმა არც მომდევნო წელს დათმეს, ბუნდესლიგის ჩემპიონატში კი საუკეთესო შედეგი აჩვენეს — მესამე ადგილზე გავიდნენ.

სასაწაულის წელი

...და დადგა 1980 წელი, ყველაზე წარმატებული წელი „აინტრახტის“ საუკუნოვან ისტორიაში — გუნდმა უეფას თასი მოიპოვა. არადა, ერთი კურიოზული შემთხვევა რომ არა, „აინტრახტი“ მეორე წრეშივე გავარდებოდა და ევროთასის გარეშეც დარჩებოდა. პირველ ეტაპზე შოტლანდიის „აბერდინთან“ გამარჯვების შემდეგ გერმანელებს კენჭისყრამ მეტოქედ ბუქარესტის „დინამო“ არგუნა. პირველი მატჩი რუმინეთში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. საპასუხო მატჩის დასრულებამდე წამები იყო დარჩენილი, „აინტრახტი“ კი მხოლოდ 1:0-ს იგებდა და, ბუნებრივია, გავარდნა რეალურად ემუქრებოდა, მაგრამ მხსნელად რუმინელთა მეკარე მოევლინა, რომელსაც უწყინარ სიტუაციაში სველი ბურთი ხელიდან გაუვარდა და ჰოლცენბაინმაც 2:0 გახადა. დამატებით დროში ბერნდ ნიკელმა ერთიც დაამატა და გერმანელებმაც საბოლოოდ 3:0 გაიმარჯვეს.

„ბოლოს სასწაული თუ გვიშველიდა, საბედნიეროდ, ღმერთმა გადმოგვხედა და სასწაული მოხდა. ისე, ასეთი იოლი გოლი კარიერაში ჯერ არ გამიტანია“ — გამოუტყდა თამაშის შემდეგ ბერნდ ჰოლცენბაინი გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუს“.

ცოტა ხანში „აინტრახტმა“ „აბერდინისა“ და „დინამოს“ გზას ჰოლანდიის „ფეიენორდი“ და ჩეხოსლოვაკიის „ზბროიოკაც“ გაუყენა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც თანამემამულე მიუნხენის „ბაიერნი“ შეხვდა. მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ პირველი მატჩი 2:0 მოიგო „ბაიერნმა“. საპასუხო შეხვედრა 1980 წლის 22 აპრილს „ვალდშტადიონზე“ გაიმართა. „აინტრახტი“ ამ მატჩისთვის საგანგებოდ ემზადებოდა და ბუნდესლიგის ჩემპიონატს ყურადღებას თითქმის აღარც უთმობდა. მიუნხენელები კი პირიქით, ჩემპიონატისთვის იბრძოდნენ, თუმცა ევროთასებსაც არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მიუხედავად ამისა, „აინტრახტმა“ მთელი თამაში ძალიან ძლიერად ჩაატარა და პეცაის გოლებით ძირითადი დრო 2:0 მოიგო. დამატებით დროში კი ფრანკფურტელმა ჰარალდ კარაგერმა „აიწკვიტა“ და პეკაის მსგავსად, ორი გოლი გაარტყა. საბოლოოდ კი „აინტრახტმა“ 5:1 გაიმარჯვა. ამ თამაშის შემდეგ ერთ-უცნაური ამბავი მოხდა. ხელმძღვანელობამ ორ დღეში მთავარი მწვრთნელი ფრიდელ რაუში თანამდებობიდან გადაყენა და მის ნაცვლად ლოთარ ბუხმანი დაინიშნა, რითაც ქომაგთა რისხვა დაიმსახურა. ამან შედეგი გამოიღო. რაუში ფინალებისთვის ისევ დააბრუნეს.

ფინალი ისევ გერმანული გამოდგა. მოინხენგლადბახის „ბორუსიასთან“ პირველი მატჩი „აინტრახტმა“ კვლავ სტუმრად გამართა და 2:3 წააგო. ფრანკფურტში საპასუხო შეხვედრის დასრულებამდე ცამეტი წუთი რჩებოდა, ანგარიში 0:0 იყო. ამ დროს რაუშმა ერთი შეხედვით უცნაური ნაბიჯი გადადგა, მინდორზე სრულიად უცნობი და გამოუცდელი 19 წლის ფრედ შაუბი შეიყვანა, რომელიც... ოთხ წუთში მატჩის გმირად იქცა.

81-ე წუთზე იგი საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით გადამწყვეტი გოლი გაიტანა. „აინტრახტი“ უეფას თასის მფლობელი გახდა. ევროთასებზე მისი მეორე ფინალი წარმატებული აღმოჩნდა. თითოეულმა ფეხბურთელმა კი პრემიად 16000 მარკა მიიღო. მათ ეს დაიმსახურეს. ვინც „აინტრახტის“ მაშინდელ შემადგენლობას გაეცნობა, ამაში დამეთანხმება: ჰალი, ნოიბერგერი, პეცაი, კიორბელი, ერმანტრაუტი, ჰოლცენბაინი, ლორანტი, ნიკელი, ბორხერსი, ნახტვაი, ბუმ კუნ ჩა.

ცხადაძე და აინტრახტი

ბუნდესლიგის ჩემპიონატი „აინტრახტს“ არასდროს მოუგია. ფრანკფურტელთა ყველაზე მაღალი შედეგი მესამე ადგილია, რომელზეც ისინი ხუთჯერ გავიდნენ. „აინტრახტი“ ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს 1993 წელს იდგა, იმ დროს გუნდში საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, კახა ცხადაძეც თამაშობდა.

მაშინ ფრანკფურტელები თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერობდნენ, მაგრამ ფინიშთან საგრძნობლად უკლეს თამაშს და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ. არადა, „აინტრახტს“ ნამდვილად კარგი გუნდი ჰყავდა, ცხადაძის გვერდით თამაშობდნენ — ანდრეას კიოპკე, მაურიციო გაუდინო, უვე ბაინი, ენტონი იებოა, აგუსტინ ოკორა და სხვები. პრაქტიკულად განაღდებული ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ „აინტრახტში“ სიტუაცია აირია, ძირითადმა ბირთვმა გუნდი დატოვა კიდეც. სწორედ მას შემდეგ დაიწყო ჩავარდნა, რომელიც ახლაც გრძელდება.

ცხადაძემ „აინტრახტში“ სამი წელიწადი ითამაშა და გუნდში ერთ-ერთ საუკეთესო მცველადაც ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, კახას ტრავმები მოსვენებას არ აძლევდა. მის გერმანულ კარიერას ამან დიდი დაღი დასვა.

რა არის ახლა?

ამჟამად „აინტრახტი“ გერმანიაში საშუალო დონის კლუბია. ბოლო ორი წელი კლუბმა მეორე ბუნდესლიგაში გაატარა და პირველში გასულ ზაფხულს დაბრუნდა. ალბათ, ვერც დაბრუნდებოდა, ქალაქის ხელმძღვანელობა ერთ აზრამდე რომ არ მისულიყო. „ფრანკფურტის კეთილდღეობისთვის „აინტრახტის“ პირველ ბუნდესლიგაში ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი უნდა გავიღოთ და კლუბი იქ დავაბრუნოთ“ — განაცხადა ორი წლის წინ ფრანკფურტის მერმა, ვილჰელმ ბენდერმა. თქვა მერმა და აასრულა კიდეც, თუმცა...

მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. „აინტრახტი“ კი, ფაქტობრივად, გავარდნილია. ძალიან ცდილობს კლუბის ხელმძღვანელობა, გუნდის გადარჩენას, მაგრამ სამი მწვრთნელის გამოცვლამაც ვერ უშველათ. წლეულს გერმანიაში საკმაოდ პოპულარულ კლუბს გავარდნისგან სასწაული თუ იხსნის.

ასეთი მდგომარეობით თუ აიხსნება, რომ იუბილეს აღნიშნა აზრადაც არავის გაუვლია... არადა, საჭირო კი იყო.

ვანო ოქროპირიძე

იურგენ გრაბოვსკი გერმანიის თასის მოგებას ზეიმობს

1980 წელი. გადამწყვეტი გოლის ავტორი ფრედი შაუბი (მარცხნივ) და ბერნდ ჰოლცენბაინი უეფას თასით ხელში

სარგებლის არქივიდან

1999 NBA PLAYOFFS — დღეს პლეი ოფი იწყება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთი

მაიამი — ნიუ იორკი

განრიგი: 8 მაისი — მაიამიში, 10 მაისი — მაიამიში, 12 მაისი — ნიუ იორკში. თუ საჭირო გახდა: 14 მაისი — ნიუ იორკში, 16 მაისი — მაიამიში

ანგარიში რეგულარულ სეზონში: 2-2

აქვეყნდა ცნობილი „მაიამი ჰითისა" და „ნიუ იორკ ნიქსის" „ტკბილი" დამოკიდებულება. აგერ უკვე ზედიზედ მესამედ ეჯახებიან ეს გუნდები პლეი ოფში ერთმანეთს, წინა ორ სერიაში მათი ბრძოლა კულმინაციას აღწევდა. ისე, პლეი ოფში ნიუ იორკი უკეთ გამოიყურება. შარშან სწორედ მან მოუგო მაიმის პირველ წრეში 3:2. რომ არა ერთი სავალალო შემთხვევა, შარშანწინაც მოიგებდა — კონფერენციის ნახევარფინალში, სადაც სერია ოთხ გამარჯვებამდე ტარდება, ნიქსი 3:1 იგებდა, როცა ნიუიორკელებმა მეხუთე მატჩში ჩხუბი ატეხეს. მაიამელმა ფი ჯეი ბრაუნმა თავისზე ოციოდ სანტიმეტრით დაბალ ნიუიორკელს, ჩარლ უორდს დარაგრა დაუპირა.პატარა უორდს მხარში ამოუდგნენ ჯანიანი ახმახები და ბრაუნს კარგადაც უბათქუნეს. ამის გამო ყველა მათგანმა დისკვალიფიკაცია მიიღო. მაიამიმ იმ თამაშის და მომდევნო ორის მოგებით თავი კონფერენციის ფინალში ამოყო. ნიუ იორკს კი მომავალ წელს ჯავრის ამოყრაღა შერჩა. დღეს იმ მოთამაშეთა უმრავლესობა კვლავ გუნდებშია და ორი წლის წინანდელი ამბებიც კარგად ახსოვთ.

გუნდების დაპირისპირებას მწვრთნელების ფაქტორიც უწყობს ხელს. მაიამის სათავეში უდგას უგამოჩენილესი პატ რაილი, სწორედ ის, რომელმაც 80-იან წლებში ლეიკერსი 4-ჯერ გააჩემპიონა. მერე რამდენიმე წელი ნიუ იორკში იღვაწა და 1995 წელს მაიამში გადაბარგდა. ნიუ იორკს სათავეში ჩაუდგა მის ასისტენტი, ჯეფ ვან განდი. აღსანიშნავია ისიც, რომ ვან განდის ძმა სტენი რაილის ახლანდელი ასისტენტია.

პროგნოზი: მსოფლიო ომის დარი არა, მაგრამ დიდი ბრძოლა იქნება.

ინდიანა — მილუოკი

განრიგი: 9 მაისი — ინდიანაპოლისში, 11 მაისი — ინდიანაპოლისში, 13 მაისი — მილუოკიში. თუ საჭირო გახდა: 15 მაისი —, მილუოკიში, 17 მაისი — ინდიანაპოლისში

ანგარიში რეგულარულ სეზონში 3-0

სავსებით მოსალოდნელია, ჩიკაგოს მიერ განთავისუფლებული აღმოსავლეთის ტახტი დაიკავოს „ინდიანა პეისერზმა". ინდიანას ჰყავს ბევრი გამოცდილი მოთამაშე, ორიოდ მკვირცხლი ახალგაზრდა და კარგი თავკაცი, ლარი ბერდი. ამ ლეგენდარულმა კალათბურთელმა, რომელიც მწვრთნელის ამპლუაში მეორე სეზონს ატარებს, ამ საქმეშიც არანაკლებ ივარგა — შარშან ინდიანას ისტორიაში ყველაზე მეტი, 58 თამაში მოგებინა და სეზონის მწვრთნელის ტიტულიც მიიხვეჭა. ინდიანა სუფთა სპლეიოფო გუნდია. აქ იგი განსაკუთრებით წარმატებით ასპარეზობს და ბოლო ხუთ სეზონში სამჯერ გავიდა აღმოსავლეთის ფინალში (მათ შორის შარშანაც და იქ დაბალ შვიდმატჩიან სერიაში ლამის იმსხვერპლა მომავალი ჩემპიონი, „ჩიკაგო ბულზი". წლეულს ინდიანაპოლისელები ფინალში გასვლას გეგმავენ, მით უმეტეს, რომ „ჩიკაგო ბულზისგან" აღარაფერი დარჩენილა, სხვები კი თუ არ ჩამორჩებიან „პეისერზს", ვერც სჯობნიან. ფორმაში არიან გუნდის ლიდერები — სამქულიანების დიდოსტატი რეჯი მილერი, 224-სანტიმეტრიანი ცენტრი რიკ სმიტსი და სხვებიც, რომელთაგან აღსანიშნავია გამოცდილი გამთამაშებელი მარკ ჯეკსონი და 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადის ოქროთი ხელდამშვენებული კრის მულინი.

ურიგო მწვრთნელი არც ინდიანას მეტოქეს ჰყავს — სიეტლიდან დათხოვნილი ჯორჯ კარლი, რომელმაც მშვენიერი გუნდი ჩამოაყალიბა და ბოლო რვა სეზონში პირველად გაიყვანა პლეი ოფში. კარლის ხელშია საკმაოდ მძლავრი უკანახაზი გამოჯანმრთელებული სემ კასელის, რეი ალენის და რამდენიმე კარგი სათადარიგოს შემადგენლობით. გუნდის დიდი მინუსია ხშირი ტრავმიანობა.

პროგნოზი: მილუოკიმ შეიძლება ერთი ან ორი თამაში მოიგოს.

ორლანდო — ფილადელფია

განრიგი: 9 მაისი — ორლანდოში, 11 მაისი — ორლანდოში, 13 მაისი — ფილადელფიაში. თუ საჭირო გახდა: 15 მაისი — ფილადელფიაში, 16 მაისი — ორლანდოში

ანგარიში რეგულარულ სეზონში 1-2

შარშანდელ პლეი ოფში არც ორლანდოს უასპარეზია, არც ფილადელფიას. ორლანდო ბოლო ხუთ სეზონში იქ პირველად ვერ მოხვდა. წლეულს კი სულაც კონფერენციაში პირველობაზე ფიქრობდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ისევე როგორც ინდიანამ და მაიამიმ, ორლანდოსაც 33 თამაშში მიღწია გამარჯვებას, თუმცა ამ გუნდებთან ცუდი შედეგების გამო მესამე ადგილს დასჯერდა. ფილადელფია სულაც პირველად თამაშობს პლეი ოფში მას შემდეგ, რაც ჩარლზ ბარკლი წაუვიდა, ანუ 1992 წლიდან. მას შემდეგ რვა სეზონში ფილადელფია ბოლოსწინა ადგილზე გადიოდა დივიზიონში. წლეულს მას გაუჩნდა მძლავრი ლიდერი: 183-სანტიმეტრიანი ალენ აივერსონი, რომლის გარშემოც იქმნება სათამაშო სქემა და ვინაიდან ფილადელფიას სხვა ღირებული არავინ ჰყავს, ფაქტობრივად ეს ერთი კაცის გუნდია. აივერსონი სწრაფია, უღრეკად ტექნიკური და წარმატებით ბომბავს მეტოქის კალათს. იგი სეზონის ბომბარდირი გახდა და უმცირფასესი მოთამაშის ტიტულში სანანტონიელი ტიმ დანკანის უმთავრეს კონკურენტად ითვლება.

ორლანდოსაც გააჩნია კარგი უკანა ხაზი, თან ერობაშად სამი ლიდერი — ანფერნი ჰარდეევი, გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი და ნიკ ანდერსონი. ამათგან უმთავრესი ჰარდეევია, მაგრამ როცა მას ვერ მისდის თამაში (ამ სეზონში კი ეს არცთუ იშვიათია), მას წარმატებით ცვლიან არმსტრონგი ან ანდერსონი. აი, როცა სამივე ფორმაშია, მაშინ მეტოქეს მნიშვნელობა არა აქვს. თან ამ სერიაში ორლანდოს მხარესაა მოედნის უპირატესობა, „მეჯიქს" კი შინ განსაკუთრებით მედგრად მებრძოლი გუნდის სახელი აქვს.

პროგნოზი: ბევრი რამე აივერსონზეა დამოკიდებული.

ატლანტა — დეტროიტი

განრიგი: 8 მაისი — ატლანტაში, 10 მაისი — ატლანტაში, 12 მაისი — დეტროიტში. თუ საჭირო გახდა: 14 მაისი — დეტროიტში, 16 მაისი — ატლანტაში.

ანგარიში რეგულარული სეზონში 1-2

ეს გახლავთ ორი დაახლოებით თანაბარძალოვანი გუნდის შერკინება. ატლანტას ჰყავს ვეტერანი, ძლავრი გამთამაშებელი მუკი ბლეილოკი, ვინც ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა ჩაჭრებში და ახმახი ცენტრი, ზაირელი დიკემბე მუტომბო, რომელსაც უსაშველოდ ბევრი დაფარების გაკეთება შეუძლია. მის ანგარიშზე უამრავი მოხსნაა. ერთი სიტყვით, მუტომბო შეტევაში თუ ბევრი ვერაფერია, საკუთარი ფარის დაცვაში ბევრი ვერ აჯობებს. სამაგიეროდ, ატლანტას თავდასხმაში ჰყავს კარგი მსროლელი, შარშანდელი „ოლ სტარის" მონაწილე სტივ სმიტი. მას თუ რამე ტრავმა არ აწუხებს, თავისუფლად შეუძლია 30 და მეტი ქულის გაკეთება. ოვერტაიმებშიც კარგად თამაშობს. ატლანტას ღვაწლმოსილ მწვრთნელ ლენი ვილკენსს ამჟამად ერთი დიდი დარდი გასჩენია — გუნდის ორ თავდამსხმელს, ძირითადი ხუთეულის წევრებს, ალან ჰერნდერსონსა და ლაფონსო ელისს ტრამები აქვთ და პლეი ოფში თავისიანებს ვერაფრით დაეხმარებიან. ატლანტას საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და გრანტ ლონგი ერთ-ერთ მათგანს შეცვლის, მაგრამ ფრთის პოზიციაზე ღირსეული არავინაა.

სამაგიეროდ, დეტროიტსა ჰყავს იმისთანა ფრთა, რომლის დარი ლიგაში ძნელად თუ მოიძებნება. გრანტ ჰილი ორივე ფარზე კარგია და დეტროიტელთა მთავარ დამრტყმელ ძალად სწორედ ის ითვლება. ჰილის გარდა „პისტონზს" სხვა კარგი მოთამაშეებიც ჰყავს — ყმაწვილი უკანახაზელი, ჩატენვების დიდოსტატი ჯერი სტეკჰაუზი და ვეტერანი, ასევე უკანახაზელი ჯო დუმარსი, რომელიც 1984 წლიდან დეტროიტის ერთგულია.

პროგნოზი: უფრო ატლანტა იმარჯვებს, ვიდრე დეტროიტი

დასავლეთი

სან ანტონიო — მინესოტა

განრიგი: 9 მაისი — სან ანტონიოში, 11 მაისი — სან ანტონიოში, 13 მაისი — მინეაპოლისში. თუ საჭირო გახდა: 15 მაისი — მინეაპოლისში, 17 მაისი — სან ანტონიოში

ანგარიში რეგულარულ სეზონში: 2-2

ცუდი დასაწყისის შემდეგ სან ანტონიომ აიწყვიტა და რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა, თანაც ბევრ მძლავრ გუნდთან მოუხდა ჭიდილი. სანანტონიოელმა ყმაწვილმა ტიმ დანკანმა ლიგაში თავისი მეორე და მშვენიერი სეზონი ჩაატარა და ახლა უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს უმიზნებს. იგი საკმაოდ სტაბილური მოთამაშეა, კარგია ორივე ფარზე, ტრავმებს არ იღებს, მებრძოლი სულისკვეთება აქვს და საერთოდ, ბევრი კარგი თვისების პატრონია. დანკანი, რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერია. ცუდ ფორმაში არაა ძველი ლიდერი დევიდ რობინსონი, რომელიც ორიოდ წლის წინ მსოფლიოს უძლიერეს ცენტრად ითვლებოდა. იგი შეტევაში დანკანს მეტი გაქანების საშუალებას აძლევს და აქცენტი დაცვით თამაშზე აქვს გადატანილი, თუმც ხანდახან ძველ რობინსონს ემსგავსება და მეტოქის კალათს აწიოკებს. დანკან-რობინსონის დუეტი უძლიერეს წინა ხაზს ქმნის ლიგაში. სან ანტონიოს ამ ორის გარდა რამდენიმე სხვა კარგი მოთამაშე ჰყავს.

მინესოტა საშუალო დონის გუნდია, რომელსაც გაუმართლა და სან ანტონიოს ოთხი შეხვედრიდან ორი მოუგო, ისიც მაშინ, როცა მკვირცხლი გამთამაშებელი სტივენ მარბერი ჰყავდა. მინესოტა ლიგის ერთ-ერთ უსწრაფეს გუნდად ითვლებოდა მაშინ, როცა იქ ახალგაზრდა სუპერვარსკვლავები — კევინ გარნეტი და მარბერი თამაშობდნენ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანეობამ მარბერი ტერელ ბრენდონში გაცვალა. ეს ბრენდონი გამოცდილი კია, მაგრამ ცოტა მოხუცია და წინამორბედის დარად ვერ ტრიალებს.

პროგნოზი: სან ანტონიო პირველ სამ მატჩს მოიგებს.

პორტლენდი — ფინიქსი

განრიგი: 8 მაისი — პორტლენდში, 10 მაისი — პორტლენდში, 12 მაისი — ფინიქსი. თუ საჭირო გახდა: 14 მაისი — ფინიქსში, 16 მაისი პორტლენდში.

ანგარიში რეგულარულ სეზონში 3-0

სრულიად მოულოდნელად პორტლენდი საშუალო დონის გუნდისგან ერთ-ერთ გრანდად იქცა და ახლა დიდი ბრძოლისთვის ემზადება. 1992 წელს ლიგის ფინალში გასვლის შემდეგ „ბლეიზერსი" მუდმივად ხვდებოდა დასავლეთის რვა უძლიერესს შორის, მაგრამ აგერ უკვე ექვსი წელია, პირველ წრეს არ გასცილებია. წლეულს ყველა პირობა არსებობს ნავსის გასატეხად — კარგი მწვრთნელი და თანაბარი შემადგენლობა, რომლის ყველ რგოლი მშვენიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული; ლაი კომბინაციური თამაში და უამრავი ვარსკვლავი, რომელთაგან სულ ცოტა შეიდს თავისუფლად ძალუძს მატჩის სადაეების ხელში აღება. უკანა ხაზში თამაშობენ აიზია რაიდერი და 178-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი, ცქვიტი დეიმონ სტუდემაიერი. ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ მაღლებიც — რაშიდ ვოლესი, ბრაიან გრანტი, ვოლტ ვილიამსი და არვიდას საბონისი. ეს უკანასკნელი ცოტა კი შებერდა, მაგრამ ბევრს კიდევ აჯობებს. ლიტველი მთელი სეზონის განმავლობაში თავს უფრთხილდებოდა და პლეი ოფისთვის ემზადებოდა, ახლა კი მზად არის ფინიქსის ასევე უცხოელ (ავსტრალიელ) ცენტრ ლუკ ლონგლის ბდღვირი ადინოს. ლონგლი გაბარიტებით ლიტველს არ ჩამორჩება, ოსტატობისა კი რა მოგახსენოთ.

პორტლენდის დარად ფინიქსსაც საკმაოდ თანაბარი შემადგენლობა ჰყავს. ლონგლის გარდა წინ ითამაშებენ ტომ გულიოტა და კლიფ რობინსონი, უკან კი სნაიპერი და მტკიცე ნერვების პატრონი რექს ჩეპმენი და გუნდის სული და გული ჯეისონ კიდი, სულ ახლახან თვის მოთამაშე რომ გახდა. კიდი მსზე 15 სანტიმეტრით დაბალ სტუდემაიერს დაჩაგვრას დაუპირებს, მაგრამ ფავორიტად მაინც პორტლენდი რჩება.

პროგნოზი: პორტლენდი მალე მოიგებს და იუტა-საკრამენტოს შორის გამარჯვებულს დაელოდება.

იუტა — საკრამენტო

განრიგი: 8 მაისი — სოლტ ლეიკ სიტიში, 10 მაისი — სოლტ ლეიკ სიტიში, 12 მაისი — საკრამენტოში. თუ საჭირო გახდა: 14 მაისი — საკრამენტოში, 16 მაისი — სოლტ ლეიკ სიტიში.

ანგარიში რეგულარულ სეზონში 2-1

ამ სერიაში საკმაოდ საინტერესო თამაშებია მოსალოდნელი, რისი წინაპირობაც რეგულარულ ჩემპიონატში ჩატარებული მატჩებია. სამივე მათგანი ოვერტაიმში გაგრძელდა და სამივეში მასპინძელმა გუნდმა იმარჯვა. ფავორიტი, რა თქმა უნდა, იუტაა, რომელსაც უდიდესი გამოცდილება გააჩნია და მოედნის უპირატესობაც აქვს. ეს კი მინიმუმამდე ამცირებს მისი მეტოქის შანსებს. იუტა ლიგის 29 გუნდს შორის ყველაზე გამოცდილია. ბოლო ოთხი წელია, თითქმის უცვლელი შემადგენლობით თამაშობს და შარშან და შარშანწინ ლიგის ფინალშიც გავიდა. იუტას კოზირია აგრეთვე კომბინაციური თამაში და ძალიან ძლიერი დაცვა, რომელიც ლამის გაუვალ კედელს ქმნის საკუთარ ფართან, ამავე დროს მშვენიერი თავდასხმა ჯანიანი კარლ მელოუნის წინამძღოლობით.

იუტასგან განსხვავებით, საკრამენტოს და მის მოთამაშეებს ნამდვილად აკლიათ პლეი ოფში თამაშის გამოცდილება. „მეფეთაგან" იქ რეგულარულად თამაში ძირითად ცენტრ ვლადე დივაცს და სათადარიგო მსროლელ ვერნონ მაქსველს უწევდათ. საკრამენტოს ჰყავს ახალბედა გამთამაშებელი ჯეისონ ვილიამსი, რომელიც ერთობ სწრაფია, მაგრამ ცანცარაა და უამრავ შეცდომას უშვებს. არ შეცდება მისი მომავალი მეტოქე, იუტელი ჯონ სტოქტონი, რომელიც ლიგაში მე-14 სეზონს ატარებს, მაგრამ ასაკი თავისას აკეთებს და შესაძლოა, ვერ აჰყვეს სისწრაფეში მეურვე ვილიამსს. აგრეთვე საინტერსოა გუნდის ლიდერების, უძლიერესი ბომბარდირების და მომხსნელების — კარლ მელოუნის და კრის ვებერის დუელი.

პროგნოზი: საკრამენტო თავს დადებს, მაგრამ ამაოდ.

ლეიკერსი — ჰიუსტონი

განრიგი: 9 მაისი — ლოს ანჯელესში, 11 მაისი — ლოს ანჯელესში, 13 მაისი — ჰიუსტონში. თუ საჭირო გახდა: 15 მაისი — ჰიუსტონში, 17 მაისი — ლოს ანჯელესში

ანგარიში რეგულარულ სეზონში 2-1

ლეიკერსიცა და ჰიუსტონიც გრანდები არიან და ორივეს შეუძლია ბოლომდე, ფინალამდე მისვლა. სერიაში ყველაფერია მოსალოდნელი და ლეიკერსის მოედნის უპირატესობა ფორმალურია. ლეიკერსი ამ სეზონში ძირფესვიანად არა, მაგრამ გარკვეულწილად შეიცვალა, ძველი ვარსკვლავების ნაცვლად ახლები მოვიდნენ. გუნდის ლიდერი შაკილ ონილი ჯანზეა და დაბოღმილი იმით, რომ ლიგის უპირველესი მექანელის წოდება ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა წაართვა, შეეცდება, ჯავრი ჰიუსტონის კალათზე იყაროს. ონილის წინ აღუდგება ჰიუსტონელთა ბებერი ცენტრი, გაამერიკელებული ნიგერიელი ჰაკიმ ოლაჯუონი, რომელიც ჯანით და კუნთების სიდიდით შაკილს ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ გამოცდილებით და ჭკუით სჯობს. ონილს მხარში ამოუდგებიან სწრაფი და ტექნიკური კობი ბრაიანტი და გლენ რაისი, რომელმაც სეზონის ბოლო თამაშში მეტოქეს რვა სამქულიანი ჩაუგდო და 40 ქულა მიითვალა. ჰიუსტონის ლიდერ ოლაჯუონს ფარქვეშ ჯიგრიანი ჩარლზ ბარკლი შეეშველება. მას ამჯერად არავითარი ტრავმა არ აწუხებს და ასეთ დროს მეტოქეთა რისხვაა. უკანა ხაზში ჰიუსტონს ორი საკმაოდ კარგი ახალბედა ჰყავს — მაიკლ დიკერსონი და კუტინო მობლი, რომელთაც მშვენივრად ეხერხებათ სამქულიანების სროლა. კიდევ ერთი ჩინებული მოთამაშე ჰყავს ჰიუსტონის მწვრთნელ რუდი ტომანოვიჩს — სკოტი პიპენი, რომელსაც არცთუ კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ იგი უფრო თავს ინახავდა, ვიდრე ვერ თამაშობდა.

პროგნოზი: ვერც ერთი გუნდი ვერ მოიგებს სერიას მშრალად.

საქართველოს ჩემპიონატი 32 ტური ანონსი

8 მაისი. ყვრის ბოდი. 11 საათი
ასკ — კოლხა

8 მაისი. ყვრის ბოდი. 12. 30 საათი
აზოტი — შევარდენი

8 მაისი. ყვრის ბოდი. 14 საათი
დინამო — თსუ

8 მაისი. ყვრის ბოდი. 15. 30 საათი
სდასუ — მაკაბი

8 მაისი. ყვრის ბოდი. 17 საათი
ვითა — სტუ

ამ ორი მატჩია ისეთი, განსაკუთრებულ ყურადღებას რომ იპყრობს: „დინამო“ — თსუ და „ვითა“ — სტუ. დანარჩენ შეხვედრებზე კი რა მოგახსენოთ; შესაძლოა, ძალიანაც ბრძოლა ვიხილოთ, მაგრამ... შესაძლოა.

აი, მაგალითად, „აზოტი“ — „შევარდენს“ წყვილში გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი საქმე სულაც არ გახლავთ. აბა, იმას რა დიდი მისნობა სჭირდება, რომ შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი რუსთავის „აზოტი“ პირველ ლიგაში დასაქვეითებლად განწირულ „შევარდენს“ ლაღად ფრენას არ დააცდის — მხოლოდ გაფრთხილებას თუ აკმარებს. ოთარ ხმელიძის შეგირდები, ვფიქრობ, მშვიდად, აუღელვებლად შეეცდებიან მეტოქის დაწიოკებას. თუ დასჭირდათ, გაბრაზებაც არავისზე ნაკლებად ეხერხებათ, მაგრამ დასჭირდებათ კი?..

არც ის მგონია, სდასუ-ს „მაკაბისთან“ ხელი მოეცაროს. ფინალურ ოთხეულზე მეოცნებე სტუდენტებს ჯერაც არ დაუკარგავთ პლეი ოფში მოხვედრის შანსი და, ბუნებრივია, დღევანდელ მატჩშიც ორ ქულას გეგმავენ. მერვე ჩემპიონატში მათ უკვე სამჯერ დაამარცხეს ვაჟა მხეიძის „მაკაბი“ და რაღა ახლა გაუწყრებათ ღმერთი? მით უფრო, რომ სდასუ-ს მოგება ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

ბრინჯაოს პრიზიორებს, შესაძლოა, ცენტრის პოზიციაზე შეექმნათ გარკვეული პრობლემები, რადგან მაჭარაძეს და ქევხიშვილს მცირე ტრავმები აწუხებთ.

წესით, საინტერესო უნდა იყოს ასკ — „კოლხას“ დაპირისპირება, თუმცა ამ მატჩის ინტრიგა წერილის თავში ნახსენები შეხვედრებისას ვერ შეედრება. გათამაშების ცხრილის ფსკერზე ჩაძირული ამ ახალგაზრდული კლუბების შეჭიდებისას დიდ შეხლა-შემოხლას არ უნდა ველოდეთ. თუმცაღა, გამარჯვებულის წინასწარ დასახელება უაღრესად რთულია.

ისეთ პრინციპულ შეხვედრაში, როგორიც „დინამო“ — თსუ-ა, „დინამოს“ ხელმტკივანი ვალერი კილაძე ვერ შეეშველება. გუნდის ძირითადი ცენტრის არყოფნაში კი ნორჩებს — ნინიაშვილსა და აბულაძეს მოუწევთ თსუ-ს ძლიერი და გამოცდილი დუეტის, ქარაბაკი — ხელაშვილის გაუვნებლება. პრინციპული კი იმიტომაა ეს მატჩი, რომ ორივე გუნდი პლეი ოფის საგზურისთვის იბრძვის და შანსებიც თითქმის თანაბარი აქვთ, თუმცა ისიც ფაქტია, ოთხეულში მოხვედრას ორივე ვერ შეძლებს. ამ წყვილში ორჯერ თსუ-მ მოიგო, ერთხელაც — „დინამომ“ დამატებით დროში.

„ვითა“ — სტუ. ამათი მესამე წრის შეხვედრა, ალბათ, ყველაზე დრამატული და დაძაბული იყო მერვე ეროვნულში. ყოველ შემთხვევაში, წლეულს ორი დამატებითი ხუთწუთეული ერთხელაც არ გვიხილავს. გულშემატკივარი ამ გუნდების დაპირისპირებისას კვლავაც სიმძაფრეს ელის.

საფიქრებელია, დღევანდელი მატჩი გენერალური რეპეტიცია იქნება უმთავრესი ბრძოლების წინ. ჩემპიონატის მეორე და მესამე ადგილოსნები ხომ პლეი ოფში ხვდებიან ერთმანეთს.

გიორგი ბიკაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი 33 ტური ანონსი

9 მაისი. ყვრის ბოდი. 11 საათი
სტუ — ასკ

9 მაისი. ყვრის ბოდი. 12. 30 საათი
კოლხა — შევარდენი

9 მაისი. ყვრის ბოდი. 14 საათი
თსუ — აზოტი

9 მაისი. ყვრის ბოდი. 15. 30 საათი
ვითა — მაკაბი

9 მაისი. ყვრის ბოდი. 17 საათი
სდასუ — დინამო

კვირადღის ბოლო მატჩი, სდასუ-„დინამო“. აი, შეხვედრა რომელსაც ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მეტოქეები პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვიან, დრო ძალიან ცოტაღა რჩება, ამიტომაც ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება.

წააგებს სდასუ და კარგად მეყოლე, გამოუმშვიდობება საპლეიოფო ოთხეულს. სტუდენტებს ყოველივე შეგნებული აქვთ, უკანდასახევი გზა არ არსებობს, ამიტომაც არავითარი დათმობა, სწორედ ახლა უნდა გამოიდონ თავი.

სდასუელებმა თუ შეძლეს და დაშავებულ ცენტრთა წყვილი, მაჭარაძე-ქევხიშვილი ფეხზე დააყენეს, გაცილებით გაუიოლდებათ საქმე. მით უფრო, რომ „დინამოს“ ასევე ტრავმირებული ვალერი კილაძე არ ეყოლება, რომელიც დიახაც რომ დიდი ძალაა ლევან მოსეშვილის გუნდისთვის.

ორივე ბანაკი უკანახაზელებით იწონებს თავს. სდასუ-ს პირველი ვიოლინო უდავოდ გამთამაშებელი დავით თორთლაძეა, რომელსაც ზურგს გამოცდილი, ჩვენში ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელად მიჩნეული შოთა უძილაური უმაგრებს. ეს ის მოთამაშეები არიან, რომელთაც „დინამო“ განსაკუთრებულად უნდა უფრთხოდეს. მათ შეჩერებას მოსეს ბიჭები ან ჩემგან ნაქები ზონური დაცვით შეეცდებიან, ანაც პერსონალური მეურვეობით — მწვრთნელი როგორც გადაწყვეტს. „დინამოსაც“ უხვად ჰყავს კარგი უკანახაზელები, სდასუ-სგან განსხვავებით, ერთბაშად ოთხი — ირაკლი ხოშტარია, ირაკლი ვაშაკიძე, ირაკლი მაისურაძე და გიორგი ნიკოლაძე.

არანაკლებ საინტერესოა თსუ — „აზოტი“. ამ წყვილში ფავორიტი უდავოდ რუსთავის კლუბია, მაგრამ ჩვენ ხომ სპორტზე ვსაუბრობთ... ამიტომაც ნურაფერს გამოვრიცხავთ. თსუ-ს მოგება ნაღდად არ გამიკვირდება: ჯერ ერთი, კარგი გუნდია, მეორეც, ქულები სხვებზე არანაკლებად სჭირდება — ოთხეულში ადგილის დაბევება სურს. ერთიცაა, ყოფილი თსუელების — ელენტისა და ბაბიაშვილის მყოლი ვიცე-ჩემპიონები სტუდენტების მიმართ მტრულად არ უნდა იყვნენ განწყობილნიო, ამბობენ. მე არა, სხვები ამბობენ ასე...

ზემოთ ნახსენებ შეხვედრებში რა მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ სტუ რომ ასკ-ს მოუგებს, „ვითა“ კი „მაკაბის“, ამას დიდი საზრიანობა ნამდვილად არ სჭირდება. მაპატიონ ასკ-მ და „მაკაბიმ“, წინასწარვე განწირულთა იარლიყი რომ მივაკერე, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით. დღეს ასეა და თუ არ სჯერათ, ხალხსა ჰკითხონ.

დაგვრჩა ერთი, „კოლხა“ — „შევარდენი“. მატჩი, რომელიც გულშემატკივრებში არცთუ დიდ ინტერესს იწვევს. ამის მიზეზებზე საუბარს ახლა ნამდვილად არ ვაპირებ, ამ გუნდებს სავალალო სვე-ბედი ქომაგთ ისედაც კარგად მოეხსენებათ.

დიმიტრი ნიშნიანიძე

სარბიელი

სპორტული ლატარია

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXXI ტური

8.05	დუისბურგი — შალკე	1,8	2,9	4,2
	ლევერკუზენი — ბოხუმი	1,35	4,0	6,5
	0:1	1,9	3,3	2,4
	ვოლფსბურგი — ნიურნბერგი	1,5	3,4	5,6
	დორტმუნდი — კაიზერსლაუტერნი	1,9	2,8	3,8
	ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი	1,3	3,4	5,6
	ჰამბურგი — მიუნხენი	1,7	3,1	4,4
9.05	ბაიერნი — ჰერტა	1,5	3,3	6,0

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXIX ტური

9.05	კოტბუსი — ზტ. პაული	2,0	2,3	3,4
	გიუტერსლო — ვატენშაიდი	1,9	2,9	3,6
	ფიურტი — კარლსრუე	2,1	2,9	3,2
	ურდინგენი — უნტერჰახინგი	3,3	3,0	2,0
	ობერჰაუზენი — მაინცი	1,9	2,9	3,6
10.05	ბერლინი — არმინია	2,3	2,8	2,9

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXVII ტური

8.05	ასტონ ვილა — ჩარლტონი	1,5	3,4	5,6
	ბლეკბერნი — ნოტინგემი	1,2	4,0	7,5
	დერბი — ქოვენთრი	1,6	3,1	5,6
	ევერტონი — ვესტ ჰემი	2,4	2,9	2,6
	ლესტერი — ნიუკასლი	2,3	2,8	2,9
	შეფილდ უენსდეი — ლივერპული	2,5	2,9	2,5
	უიმბლდონი — საუთჰემპტონი	2,2	3,2	2,7
9.05	მიდლსბრო — მანჩესტერი	5,0	3,2	1,6
10.05	ტოტენჰემი — ჩელსი	3,2	2,9	2,1
11.05	ლიდსი — არსენალი	4,4	3,1	1,7

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XLVI ტური

9.05	ბრისტოლი — ნორვიჩი	2,2	3,0	2,9
	ბერი — პორტ ვეილი	1,7	3,1	4,4
	ჰადერსფილდი — ქრიუ	1,9	2,5	4,4
	იფსვიჩი — შეფილდ იუნაიტედი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ოქსფორდი — სტოკპორტი	1,8	3,2	3,6
	პორტსმუთი — ბოლტონი	4,4	2,8	1,8
	ქუინზ პარკი — კრისტალ პალასი	1,6	3,2	3,8
	სანდერლენდი — ბირმინგემი	1,7	3,2	4,2
	სვინდონი — ბარნსლი	2,3	2,8	2,9
	ტრანმერი — ვესტ ბრომვიჩი	2,0	2,8	3,5
	უოტფორდი — გრიმსბი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ვულვერჰემპტონი — ბრედფორდი	2,4	2,9	2,6

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXXII ტური

8.05	ინტერი — პარმა	2,2	2,8	3,1
9.05	კალიარი — სალერნიტანა	1,7	2,9	5,0
	ემპოლი — ვენეცია	5,3	3,4	1,4
	იუვენტუსი — მილანი	2,4	2,8	2,7
	ლაციო — ბოლონია	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	პერუჯა — ბარი	1,7	3,0	4,7
	პიაჩენცა — რომა	2,5	2,8	2,6
	სამპდორია — ფიორენტინა	2,4	3,1	2,4
	ვიჩენცა — უდინეზე	1,9	3,0	3,2

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXIII ტური

9.05	ბრეშა — ტერნანა	1,5	3,5	5,3
	კრემონეზე — მონცა	3,5	3,0	1,9
	ფ. ანდრია — ჩეზენა	1,9	2,7	4,0
	ლეჩე — კოზენცა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ლუკეზე — კიევო	2,4	2,7	2,8
	რავენა — ნაპოლი	2,5	2,7	2,7
	რეჯანა — ჯენოა	2,6	2,7	2,6
	რეჯინა — ატალანტა	2,3	2,7	3,0
	ტრევიზო — პესკარა	2,3	2,7	3,0
	ვერონა — ტორინო	2,2	2,7	3,2

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIII ტური

8.05	სოსიედადი — რეალი	3,0	2,9	2,2
9.05	ალავესი — ვალიადოლიდი	1,8	3,0	4,0
	ვილიარეალი — ბარსელონა	3,8	3,1	1,8
	დეპორტივო — ბილბაო	1,6	3,0	5,6
	ატლეტიკო — ბეტისი	1,7	3,0	4,7
	მალიორკა — სარაგოსა	1,3	4,0	7,5
	0:1	2,0	2,8	2,5
	ტენერიფე — რასინგი	1,9	2,9	3,6
	ოვიედო — ესტრემადურა	1,7	3,1	4,4
	ესპანიოლი — სელტა	3,4	2,9	2,0
	სალამანკა — ვალენსია	4,4	3,1	1,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXVI ტური

8.05	ლეიდა — მალაგა	2,5	2,9	2,5
	ატლეტიკო B — სევილია	2,1	2,9	3,2
	ალბასეტე — ოსასუნა	2,2	2,9	3,0
	ლას პალმასი — რეკრეატივო	1,4	3,5	7,0
9.05	ბარსელონა B — ერკულესი (15⁰⁰)	1,6	3,1	5,3
	ტოლედო — ბადახოსი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ეიბარი — ლეგანესი	2,6	2,9	2,4
	სპორტინგი — მერიდა	2,0	2,9	3,4
	0:1	2,0	3,2	2,3
	რაიო ვალეკანო — კომპოსტელა (15⁰⁰)	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ლოგრონიესი — ნუმანსია (15⁰⁰)	3,0	2,9	2,2
10.05	მალიორკა B — ორენსე	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

საფრანგეთის ლიგის თასის ფინალი (პარიზი)

8.05	ლანსი — მეცი	2,0	2,9	3,4

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXXI ტური

8.05	აკადემიკა — ბრაგა	3,2	2,9	2,1
	ფარენსე — გიმარაეში	2,3	2,8	2,9
	შავეში — პორტუ	5,3	3,5	1,5
9.05	კამპომაიორენსე — მარიტიმუ	2,0	2,8	3,5
	ბეირა მარი — ალვერკა	1,8	3,0	4,0
	რიუ ავე — ბოავიშტა	4,4	3,1	1,7
	ამადორა — ლეირია	1,7	2,9	5,0
	სპორტინგი — სალგეირუში	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
10.05	სტუბალი — ბენფიკა	4,7	3,0	1,7

ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXII ტური

8.05	ბრედა — სპარტა	2,1	3,0	3,1
	ჰერენვენი — როდა	2,0	2,9	3,4
	ტილბურგი — მაასტრიხტი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ალკმაარი — ნაიმეგენი	1,7	3,0	4,7
9.05	ფეიენოორდი — ტვენტე	1,4	3,6	6,5
	0:1	2,0	3,2	2,3
	უტრეხტი — ვიტესი	3,4	2,9	2,0
	ვალვაიკი — კამბური	2,2	2,9	3,0
	გრაფშხაპი — აიაქსი	5,0	3,6	1,5

ბელგიის ჩემპიონატი. XXXIII ტური

8.05	ვესტერლო — აალსტი	1,7	3,1	4,4
9.05	მუსკრონი — ბრიუგე	3,4	2,9	2,0
	ბევერენი — ეკერენი	2,0	2,9	3,4
	შარლერუა — სტ. ტრუიდენი	2,2	2,9	3,0
	კორტრაიკი — ლომელი	2,2	2,9	3,0
	გენკი — ანდერლეხტი	1,8	3,0	4,0
	გენტი — ჰარელბეკი	1,6	3,1	5,3
	სტანდარდი — ლოკერენი	1,7	3,1	4,4
	ოსტენდე — ლიერსი	2,3	2,8	2,9

პოლონეთის ჩემპიონატი. XXV ტური

8.05	გურნიკი — ამიცა	1,5	3,3	6,0
	რუხი — ლეგია	3,4	2,9	2,0
	ლკს — კატოვიცე	1,5	3,3	6,0
	ზაგლებე — ვიძევი	2,9	2,8	2,3
	პოლონია — სტომილი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ოდრა — ლეხი	3,4	2,9	2,0
	პოგონი — რაძიონკოვი	2,0	2,9	3,4
	ვისლა — ბელხატოვი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

თურქეთის ჩემპიონატი. XXXI ტური

8.05	ბურსა — ფენერბაჰჩე	4,4	3,1	1,7
9.05	ქოჯაელი — ერზურუმი	1,5	3,4	5,6
	ანკარა — ჭარაბუქი	1,1	4,4	8,0
	საქარია — ტრაბზონი	2,9	3,2	2,1
	დარდანელი — ისთანბული	2,4	3,0	2,5
	გაზიანთეფი — ადანა	1,6	3,3	4,7
	ალთაი — გენჩლერბირლიგი	2,0	2,9	3,4
	ბეშიქთაში — გალათასარაი	2,5	2,9	2,5

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXIV ტური

8.05	აბერდინი — დანდი	1,8	2,9	4,2
	დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი	2,4	2,9	2,6
	დანფერმლაინი — სელტიკი	5,6	3,4	1,4
	სენტ ჯონსტონი — მოზერველი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
9.05	რეინჯერსი — ჰართსი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ავსტრიის ჩემპიონატი XXVII ტური

8.05	აუსტრია — შტაირი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ლინცერი — რიდი	1,25	4,0	7,5
	ლუსტენაუ — რაპიდი	7,5	4,0	1,3
	შტურმი — ზალცბურგი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

შვეიცარიის ჩემპიონატი. X ტური

8.05	ბაზელი — გრასჰოპერი	4,4	3,1	1,7
	ლუცერნი — ქსამაქსი	2,1	2,9	3,2
	სტ. გალენი — ლოზანა	3,4	2,9	2,0
9.05	ციურიხი — სერვეტი	3,2	2,9	2,1

რუსეთის ჩემპიონატი. VI ტური

9.05	შინიკი — როსტსელმაში	2,0	2,7	3,6
	ზენიტი — როტორი	2,0	2,8	3,5
	სპარტაკი — ცსკა	1,8	2,9	4,2
	დინამო — ჟემჩუჟინა	1,4	3,6	3,6
	კრილია — სატურნი	2,4	2,8	2,7
	ალანია — ნ. ნოვგოროდი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ურალანი — ტორპედო	4,0	3,0	1,8
	ჩერნომორეცი — ლოკომოტივი	3,8	2,8	1,9

შვედეთის ჩემპიონატი. V ტური

9.05	ჰალმსტადი — ჰამარბი	2,0	2,8	3,5
	მალმიო — კალმარი	1,6	3,3	4,7
	იორბრო — ნორჩიოპინგი	2,2	2,9	3,0
10.05	ფრიოლუნდა — იურგარდენი	1,5	3,3	6,0
	აიკ — ჰელსინგბორგი	1,8	2,8	4,4
	ელფსბორგი — ტრელებორგი	1,6	3,0	5,6

ტურში გატანილი გოლები

გერმანია (31-ე)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
ინგლისი (37-ე)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
იტალია (32-ე)	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9
ესპანეთი (33-ე)	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
პორტუგალია (31-ე)	24 და ნაკლები	1,9	26 და მეტი	1,9
ჰოლანდია (32-ე)	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
ბელგია (33-ე)	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
პოლონეთი (25-ე)	19 და ნაკლები	1,9	21 და მეტი	1,9
თურქეთი (31-ე)	24 და ნაკლები	1,9	26 და მეტი	1,9

NBA, NHL და ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატების კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარაგბო ნაპრალი ვიწროვდება

„ოლ ბლექსის“ გონიერი თავკაცი, ჯონ ჰართი ფიქრობს, რომ წლევანდელი მსოფლიოს თასი, აქამომდე გამართულთა შორის ყველაზე დაძაბული და თანაბარძალოვანი იქნება. ამის უმთავრეს მიზეზად იგი სამხრეთ და ჩრდილო სარაგბო ნახევარსფეროებს შორის არსებული ნაპრალის შესამჩნევ დავიწროვებასა და უფრო მეტიც, მის სრულ გაქრობას ასახელებს.

„დიახ, ეს მართლაც ასეა. ამის საბუთად ხუთი ერის უკანასკნელი პირველობაც ივარგებდა, სადაც ევროპელებმა არაჩვეულებრივი თამაში აჩვენეს. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ, სამხრეთელებს, აწი მხოლოდ ინგლისელების უნდა გვეშინოდეს. ნუ დაივიწყებთ საფრანგეთს, ეს გუნდი ჯერ კიდევ გამოცანაა ჩვენთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ შოტლანდიის უაღრესად გაძლიერებულ ნაკრებზე, რომელმაც ბრწყინვალედ მოიგო ხუთი ერი“, — აცხადებს ჰართი.

რაც შეეხება ნიჭიერი ახალზელანდიელების საზღვარგარეთისაკენ გადაბარგებას (მაგალითად უელსელთა ბოლოდროინდელ წარმატებებს უწინარესად სწორედ გაუელსელებულ ახალზელანდიელთა, ჯონ და მარტინ ლესლებისა და შეინ ჰაუართის დამსახურებად მიიჩნევენ), ჰართის აზრით, ეს რასკვირველია, შემაშფოთებელი ტენდენციაა, მაგრამ იგი განუყოფელია პროფესიული სპორტისაგან და ამდენად მის საწინააღმდეგოდ არავითარი იარაღი არ არსებობს. სარაგბო ბაზარი, ნებისმიერი ბაზრისა არ იყოს, თავისუფალია და ვისაც სადაური სურს, იქაური ქუდი უნდა მოირგოს.

ირლანდიელთ ავსტრალიისკენ გაუწევიათ

ირლანდიის ნაკრები 4-მატჩიან ავსტრალიურ ტურნეს ეშურება. საამისოდ იქაურ მამებს 28 მორაგბე შეურჩევიათ და მათ შორის 5 ნაკრებში უთამაშებელი კაციც ჩაურთავთ. ეგენი შერკინების ნახევარმცველი ჯერემი სტონტონი, გარემარბი მეტ მოსტინი, შუამარბები მაიკ მიულინსი და ბრაიან ოდრისკოლი, აგრეთვე მორკინალი რობერტ კეარი არიან. ირლანდიელები 31 მაისსა და 5 ივნისს ახალი სამხრეთ უელსის ნაკრებს გაეჯიბრებიან, 12 და 19 ივნისს კი უკვე თავად ავსტრალიის ეროვნულთან გამოსცდიან ძალებს.

ჩვენ შეგახსენებთ, რომ ოქტომბერ-ნოემბერში გასამართ მსოფლიოს თასზე ირლანდიელები და ოზები ერთ, მეხუთე ჯგუფში იმყოფებიან. ამიტომაც საივნისო ტესტებს ორივეგან ძირითად რეპეტიციად მიიჩნევენ.

ექიმებს ნუ ეურჩები, ბენ!

ავსტრალიის ნაკრების 22 წლის გარემარბ ბენ თიუნს თურმე მუხლის საქმე კარგად ვერ ჰქონია. ჰოდა, ვოლაბთა ექიმებიც ერთი თვე დასვენებას ურჩევენ, ნაკრებს დაძაბული სეზონი მოელის და ახლა თუ არ იმკურნალე, მერე ვეღარ ითამაშებო. ცნობისათვის სანამ მსოფლიოს თასზე სათამაშოდ ჩავიდოდნენ, ავსტრალიელებს ორი ტესტის გამართვა მოუწევთ ირლანდიელებთან, თითო-თითოსი კი — სამხრეთ აფრიკასთან, ახალზელანდიასა და ინგლისთან.

მაგრამ სანაკრებო ინტერესებს თიუნის მშობლიური „ქუინსლენდის“ ინტერესები ეწინააღმდეგება. ამ გუნდს ზე-12-ის ნახევარფინალში მოსახვედრად დარჩენილი ორი საშინაო მატჩიდან ერთის მოგება მაინც სჭირდება და საამისოდ, სხვათა შორის, თიუნის იმედიცა აქვს. ბიჭიც შინაურებს უარს ვერ ეუბნება და მენაკრეე ექიმთა რჩევასაც ამიტომ უყრუებს.

გვიყრუებს და, თუკი მაგას რამე ფარცაგი დაემართა, ჩვენ ჩვენი ხალათები დაგვიბანიაო, აცხადებენ „ვოლაბელი“ ექიმები და, ისე ღმერთმა დაიფაროსო, მერე მაინც ასე ამატებენ.

ლევან კელაურაძე

მერიონ ჯოუნსი

ოლონდ მაგან მოიგოს და...

ჰოდა ეგრე: ამერიკელ მძლეოსან ქალს მერიონ ჯოუნსს სიდნეის საგაისო ოლიმპიადაზე არც მეტი, არც ნაკლები ერთბაშად ხუთი ოქროს მოგება დაუგეგმავს. თავის საფირმო 100 და 200-მეტრიანი დისტანციების გარდა, იგი თურმე სიგრძეში ხტომასა და ესტაფეტებში გამორჩენასაც ლამობს. ხოლო თუკი მის ამ მოლოდინს ბრილიანტის ეფექტიც შეება, მაშინ იგი პირველი ქალაი გახდება, ერთი ოლიმპიადიდან ამოტოლა ოქროს წაღებას რომ შეძლებს. აქამომდელი მიღწევა მხოლოდ 4 ბავეაღლო ყოფილა, რომელთა მოპოვებაც ლონდონის 1948 წლის ოლიმპიადაზე ჰოლანდიელ მძლეოსან ქალს, ფანი ბლანკერს-კუნს გაუხერხებია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთა და სიდნეი-2000-ის საორგანიზაციო კომიტეტი ჯოუნსის ამ სურვილს „გაგებით მოჰკიდებია“ და მისი საასპარეზო სახეობები ისე განუთავსებია, რომ არც ერთი მათგანი ერთ დღეზე არ მოდის. 100 მეტრი პირველ ორ დღეს გათამაშდება, 200 მეტრი მეხუთე და მეექვსე დღეს და ასე შემდეგ. მოკლედ, მერიონს სრული კალენდარული ფეხშეწყობა ექნება და იღბალმა თუ არ უმტყუნა, ეგებ რამესაც გამორჩეს.

ჩოგბურთელებო, გამორთეთ მობილურები!

REUTERS რომიდან

მარი პირსი

რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

ხერხი ზოგჯერ შეიძლება მართლაც სჯობდეს ღონეს, მაგრამ არა ვინუს უილიამსთან შეხვედრაში. ამ მწარე ჭეშმარიტებაში იტალიის ღია პირველობის მერვედფინალში ანა კურნიკოვაც დარწმუნდებოდა.

ის, რაც დღის საუკეთესო მატჩი უნდა გამომდგარიყო, სულ 57 წუთი გაგრძელდა და უხეში ძალის სრული უპირატესობით წარიმართა — 17 წლის რუსს მეტოქის ანომალიური სიმძლავრის მოწოდება-დარტყმებზე პასუხი არ აღმოაჩნდა 2:6, 2:6.

დასაწყისში შეხვედრას მთლად ასე ცალკარა პირი არ უწანდა: კურნიკოვამ 0:2-დან ანგარიში გაათანაბრა და შავი ამერიკელის მოწოდებაზე ორი ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, თუმცა წინ გასვლის ნაცვლად თვალის დახამხამებაში ზედიზედ 5 გეიმი წააგო. ტყუილად დაშვრნენ „ფორო იტალიკოზე“ რუსის საგულშემატკივროდ შეკრებილი იტალიელები — საქმეს არც ხმამაღალმა გამხნევებამ და არც იშვიათი წარმატებების დროს ტაშის გრიალმა უშველა.

ისე ჩანდა, რომ ანა სათამაშოდ თავიდანვე იმედგადაწურული გამოვიდა, ამას წარბშეკრული მეტოქის მრისხანე გამომეტყველებაც დაემატა და კორტზე უჩვეულოდ უკან მოკალათებულ, დაშინებულ და მარტო თავდაცვაზე მოფიქრალ რუსს სწრაფი წაგება იქნებ გაუხარდა კიდეც.

„მგონი, ამ ბოლო ხანებში მარტო ფიზიკურად კი არა, სხვა მხრივაც ძალიან მოვუმატე. შარშან ჯერ კიდევ ვვითარდებოდი და ძლიერი დარტყმებით გავდიოდი ფონს, ამჟამად კი მიუხედავად იმისა, თუ ვის ვეთამაშები, უკეთესად ფიქრი შეიძლია“ — ვინუსის განცხადების ბოლო ფრაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სიტყვებს, ალბათ, ბევრი ეთანხმება, მათ შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისიც.

18 წლის შვეიცარიელს, რომელმაც მერვედფინალში ამერიკელი კორინა მარარიუ დაამარცხა 6:1, 6:4, წინ უილიამსების კუნთება ოჯახის ორივე წარმომადგენელთან ელის შეხვედრა — ჯერ სერენასთან, მერე კი (რა თქმა უნდა, წარმატების შემთხვევაში) ვენერასთანაც (თუ უფროს დასაც რაიმე გაუთვალისწინებელი არ შეემთხვა).

მარტინამ უმცროს უილიამსთან ლიპტონის ჩემპიონატზე მარცხი კი იწვნია, მაგრამ ამჟამად სისხლის ასაღებადაა განწყობილი: „მაშინ არასერიოზულად მივუდექი მატჩს. მისმა მეტიჩრულმა ქცევამ კორტზე ძალიან გამაღიზიანა და შევეცდები, შური ვიძიო“.

თუმცა ჰინგისი მეტოქეთა მიღწევების უგულვებელყოფას (5 ტიტული ბოლო 10 ტურნირიდან) არ აპირებს: „მათ მართლაც აქვთ თავდაჯერებულობის საფუძველი. ვფიქრობ, როლან გაროსსა და უიმბლდონზე სწორედ ჩვენ სამნი ვიქნებით მთავარი ფავორიტებები“.

დღის საუკეთესო მატჩი კი ტურნირის ორ ყოფილ ჩემპიონს, კონჩიტა მარტინესსა და მარი პირსს შორის გაიმართა. 24 წლის სხეულმშვენიერი ფრანგი (4) ორსაათნახევრიანი მარათონის ბოლოს გაცილებით დაღლილად გამოიყურებოდა, მაგრამ 5:6-ზე მესამე სეტში როგორღაც მატჩ-პოინტის გადარჩენა, მერე კი მეტოქისთვის მოწოდების ართმევა და ტაი-ბრეიკზე დაჩაგვრაც მოახერხა 4:6, 6:0, 7:6 (7:2).

მერვედფინალი: სილვია პლიჩკე (ავსტრია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2, ესპანეთი) 6:4, 6:1; ამელი მორესმო (10, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (5, შვეიცარია) 5:7, 6:2, 6:4; სერენა უილიამსი (6, აშშ) — ირინა სპირლეა (13, რუმინეთი) 6:2, 6:3; დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:2); სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 7:5, 6:1.

ჰამბურგი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $

კარლოს მოიამ (2) კიდევ ერთი მძიმე ნაბიჯი გადადგა ორი კვირის ზეობის შემდეგ დაკარგული საჩოგბურთო ტახტის დასაბრუნებლად.

22 წლის ესპანელს, რომელსაც კლასიფიკაციის სათავეში მოსაქცევად ჰამბურგის ტურნირის მოგება სჭირდება, მერვედფინალში რუმინელ ადრიან ვოინეასთან გვარიანად გაუჭირდა. საუკეთესოთა ნუსხაში 75-ე მეტოქე რაფაელ ნადალი (18) ბოლოს ტაი-ბრეიკზე ერეკა ბ. ბეკერი (7:6, 6:4, 7:6 (7:5)).

მეოთხედფინალში ეს ესპანელს ეს ეს ე

თუ იქნება ფული, იქნება სპორტიც

16-17 მაისს თბილისს ეწვევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტი მარკიზი ხუან ანტონიო სამარანჩი. საქართველოს დედაქალაქში 1994 წლის შემდეგ ეს მისი მეორე ვიზიტი იქნება. ამ და ქართულ სპორტში საჭირბორტო საკითხებთან და კავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბატონ ჯანო ბაგრატიონს, საუბარი კი სამარანჩის მომავალი ვიზიტით დავიწყეთ



ბადრი კეთილაძის ფოტო

ედუარდ შევარდნაძე და ჯანო ბაგრატიონი ოლიმპიურ ორდენებს ელიან

— რა თქმა უნდა, სამარანჩის ჩამობრძანება ჩვენთვის დიდი პატივია — გვეუბნება ჯანო ბაგრატიონი. — მისი თბილისში სტუმრობა რამდენიმე თვის წინათ გადაწყდა ვარშავაში ჩემი სტუმრობისას, სადაც პოლონეთის ეოკ-ის საიუბილეო ღონისძიებებს [illegible] ეესწრებოდი. [illegible] ერთ[illegible]ი მოლდოვაში [illegible] შემდეგ ასევე ერ[illegible]ართველოსაც ეწვეოდა. [illegible]ში მეტად სასიამოვნო მიზეზით [illegible]ოდის. მან ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს უნდა გადასცეს სოკ-ის ოქროს ორდენი, რაც ამ ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდო და, რა თქმა უნდა, ქართული სპორტის და მისი მდიდარი ტრადიციების კიდევ ერთი აღიარებაა.

საინტერესოა, რომ ამ ორდენით დაჯილდოებულნი არიან სხვა ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრებიც. მაგალითად, ასეთი პატივი სოკ-მა თავის დროზე მიაგო ესპანეთის მეფე ხუან კარლოსს, ფრანსუა მიტერანს, ჰელმუდტ კოლს, ბორის ელცინს, ნურსულთან ნაზარბაევს, რომის პაპ — იოანე პავლე მეორეს და სხვებს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს უდიდესი დაფასებაა იმ ავტორიტეტისა და წვლილისა, რაც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გაიღო ქართული სპორტის საკეთილდღეოდ, თუნდაც საქართველოს ეოკ-ის არსებობის ამ მცირე 10 წლიან მონაკვეთში.

— არის გადაწყვეტილება სოკ-ის ორდენით თქვენი დაჯილდოების თაობაზეც-

— უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ეს პატივი მერგო, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ეს მარტო ჩემი კი არა, არამედ იმ ხალხის ჯილდოც არის, რომლებიც წლების განმავლობაში გვერდით მიდგანან და აქტიურად ემსახურებიან საქართველოში სპორტის განვითარების საქმეს, რისთვისაც მათ ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

— ალბათ ეს ვიზიტი მარტო ორდენების გადმოცემით არ შემოიფარგლება და სამარანჩთან სხვა საკითხებზეც გექნებათ საუბარი.

— რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ამით არ შემოვიფარგლებით და სამარანჩთან ცალკე შეხვედრა და საუბარი გვექნება. ყურადღებას ძირითადად სიდნეის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ საკითხებზე და პრობლემებზე გავამახვილებთ. რა თქმა უნდა, სამარანჩს მთელი ქართული სპორტის პრობლემების მოგვარებას ვერ მოვთხოვთ. იმისთვისაც მადლობლები ვართ, რომ სოკ-მა ქართველ სპორტსმენებს ოლიმპიური სტიპენდიები დაუნიშნა, რაც ჩვენთვის დიდი შვებაა. ალბათ გვექნება პატარ-პატარა სურვილები, თხოვნები. ალბათ თავად სამარანჩსაც ექნება რაღაც მოსაზრებები, წინადადებები. ყოველივე ამას ერომანეთთან შევაჯერებთ და ვეცდებით, რომ ამ ვიზიტისაგან ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის საკეთილდღეოდ მაქსიმუმი მივიღოთ.

— სიდნეის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა. რას იტყოდით ჩვენი სპორტსმენების მზადების შესახებ?

— დიახ, ოლიმპიური თამაშები მართლაც ლამის კარს მოგვადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა თითქმის უცვლელია და სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხა (400 ათასი ლარი, ნაცვლად 1,5 მილიონი დოლარის) ძალზე მცირეა. თუმცა, ჩვენ მიუხედავად ამისა, წვალებ-წვალებით მაინც ვახერხებთ ფონს გასვლას, მაგრამ გვაიმედებს ის პრეზიდენტი, რომ წელს სახელმწიფომ მიზნობრივად სიდნეი-2000-ისთვის სოკ-ს გარკვეული თანხა გამოუყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც რეალურადაა საჭირო. ჩვენ ამ თანხას მიზნობრივად საჭიროებისამებრ ვიყენებთ. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მივავლინეთ მინსკში ევროპის ჩემპიონატზე, ბატუტისტები გერმანიაში მსოფლიოს თასზე, ახლა ნინო სალუქვაძესაც ვეხმარებით ევროპაში შეკრების მოსაწყობად.

იმედია, გაისად მთლიანად მივიღებთ ჩვენს კუთვნილ თანხას და მაშინ უკეთ მოვემზადებით სიდნეიში ღირსეულად საასპარეზოდ. თუ ასე არ მოხდა, მართლაც ლამის კარს მოგვადგა, შინ ბევრ რამეზე უარის თქმა მოგვიწევს. „ბევრ რამეში", პირველ რიგში, ნორმალური მზადება იგულისხმება. ამის გარეშე კი სიდნეიში „ოქრო-ვერცხლზე" ფიქრი ამაო იქნება.

— ოლიმპიური თამაშებისთვის საოლიცენზიო შეჯიბრებები ჯერ კიდევ წინ არის. თქვენი აზრით, რამდენი ლიცენზიის მოპოვებაა შესაძლებელი ასეთ პირობებში?

— ალბათ ძალიან ცოტასი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ საუნო მოდიოდეს, თუმცა იქიდან რაფერი არ ესმის, იმასაც გეტყოდა, რომ თამაშებზე წინასწარ შესაფანი თანხა გესესხა და ისე გადავრიცხეთ.

— რაც შეეხება დანიაში ჩვენს გუგმებს, გეტყვით, რომ საქართველო თამაშებში სულ 15 სპორტსმენით 4 სახეობაში (ჩოგბურთი, ველოსპორტი, მძლეოსნობა, ძიუდო) წარსდგება. ვეცდებით, რომ რაც შეიძლება მაღალი შედეგები ვაჩვენოთ და იქიდან თავაწეულები დავბრუნდეთ.

— დანიაში ჩვენგან არც ფეხბურთელთა და არც კალათბურთელთა გუნდი არ არის მიწვეული, არადა, ფეხბურთელები გასული თამაშების ჩემპიონები არიან. ამ ფაქტს რითი ახსნიდით?

— ცოტა არ იყოს, მეც გაკვირვებული ვარ. მიმაჩნია, რომ გასული თამაშების ჩემპიონი გუნდი მომდევნო თამაშებში ავტომატურად უნდა დაუშვან, მაგრამ დღესაც ვერ გავერკვიე, თუ თამაშების ორგანიზატორები როგორ ირჩევენ მონაწილეებს. საკვირველია ჩვენი კალათბურთელთა არ მიწვევაც, რომლებმაც მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში VII ადგილი დაიკავეს. სამწუხაროდ, ჩვენს მცდელობას, რომ სათამაშო სახეობებიდან როგორმე რომელიმე გუნდი დაეშვათ, შედეგი არ მოჰყოლია.

— რახან სიტყვა ფეხბურთზეც ჩამოვარდა, იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი აზრი ჩვენი ეროვნული ნაკრების სრულ ფიასკოზე ნორვეგიელებთან. მაინც რამ განაპირობა ეს მარცხი.

— ამ მარცხმა ჩვენ სრულად ჩაგვაზედა ქართული ფეხბურთის პრობლემებში. უპირველეს ყოვლისა, ეს მარცხი გუნდში არსებულ არაჯანსაღ სიტუაციაზე მეტყველებს. არ შეიძლება მოთამაშესა და მწვრთნელს შორის გაუთავებელი დავა-კამათი იყოს, მით უმეტეს ასეთი საპასუხისმგებლო მატჩამდე. ჩემის აზრით, ამ კონკრეტულ მატჩში გუნდის შემადგენლობა და თამაშის ტაქტიკა არასწორად იყო შერჩეული. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს სათამაშო კულტურაც აკლია, ცოდნაც და, რაც მთავარია, დისციპლინაც, ნორვეგიელებმა კი ყველაფერი ეს ხუთიანზე იციან და ამიტომ შედეგიც ლოგიკური იყო.

— როგორ გესახებათ ფეხბურთის, საერთოდ ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის პერსპექტივა?

— დღეს მსოფლიო სპორტში და ოლიმპიზმში ყველაფრის თავი და თავი ფინანსებია. ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ თუ იქნება ფული, იქნება სპორტიც.

ძახა ბერიძე

ძიუდო

ხაბარელი ნახევარ გუნდს მედალს უგეგმავს

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ადრინდელი დაპირება, 7 მაისს ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან გუნდს დავასახელებო, ასრულა. ეს ინტერვიუც ამიტომ ჩამოვართვით. თქმით კი მწვრთნელმა ეს გვითხრა.

— 6 მაისს 73 კგ-ში საკონტროლო შეხვედრები გავმართეთ, რადგან ვაკანტური მხოლოდ ეს წონა იყო. 73 კგ წონითი კატეგორია ერთ-ერთი უძლიერესია. აქ გამოდიან გიორგი ვაზაგაშვილი, ჯონდო მუზაშვილი, დავით ნადარაია, ფირუზ ტყეშელაშვილი და გიორგი ნადირაშვილი. საკონტროლო შეხვედრებიც მათ შორის ჩატარდა. ყველას ვაზაგაშვილმა და მუზაშვილმა აჯობეს. თავად მათი ორთაბრძოლა კი ფრედ დასრულდა. ნაკრებში მაინც ვაზაგაშვილი დავაყენეთ. ის წინასაევროპო მოსამზადებელ ციკლშიც და საკონტროლო შეხვედრაშიც მუზაშვილზე ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა. თანაც, მისი ძველი მიღწევებიც გავითვალისწინეთ — ევროპის ჩემპიონობა და მსოფლიოს ჩემპიონატების სამგზის პრიზიორობა. თუმცა ის ნამდვილად არაა უწინდებურად ძლიერი. მაშინ, როცა ჭიდაობდა, მისგან მუდამ მედალს ველოდით. ამასთან, წონითაც მსუბუქია, სულ 68 კგ. ესეც ბევრ პრობლემას შეუქმნის. ამ მიზეზთა გამო ნაკრებში მაინც მას ვუხმეთ. ამას ადრეც ვაპირებდი, მაგრამ მინდოდა, ბოლომდე ყოფილიყო კონკურენცია. ამან ყველას საგრძნობლად გაუზარდა პასუხისმგებლობა. საბოლოოდ ჩვენი ნაკრები 20-23 მაისს სლოვაკეთში ასეთი შემადგენლობით ასპარეზებს: ნესტორ ხერგიანი (60), გიორგი რევაზიშვილი (66), გიორგი ვაზაგაშვილი (73), სოსო ლიპარტელიანი (81), გია გუგავა (90), ივერი ჯიქურაული (100), ალექსი დავითაშვილი (მძიმე), რამაზ ჩოჩიშვილი (აბსოლუტური).

— ვაზაგაშვილის ფორმით კმაყოფილი თუ არ ხართ, მაშინ საერთოდ რატომ მიგყავთ?

— მე არ მითქამს, რომ ცუდ ფორმაშია. უბრალოდ, ადრინდელი დონისა არ არის. თან ახალ წონაშია. ამის მიუხედავად, მისგან მაინც მედალს ველით. ძველ წონაში რომ ყოფილიყო, მაშინ მისი პრიზიორობა სათუო არ იქნებოდა. ვაზაგაშვილის დონის სპორტსმენს არავინ დატოვებს უევროპოდ.

— ნაკრებში ბევრი უკვე „სტაჟიანია". ახალი სახელები რატომ არ ჩნდებიან — სასელექციო მუშაობა მოიკოჭლებს თუ ნიჭიერები არ გვყავანან?

— არა, ნიჭიერები არ დაგვლევია. ცვლილებების შარშანაც შეიძლებოდა და წლეულსაც. უბრალოდ, სელექცია სიფრთხილეს მოითხოვს. ყოფილმა ოლიმპიურმა ციკლმა ერთი-ორი სპორტსმენი მაინც რომ შემატოს ნაკრებს, დიდი საქმეა. ნაკრების კანდიდატთა უკან საიმედო თაობა დგას. 2-3 წელიწადში ყველა წონაში დიდ კონკურენციას ველი. ჩვენს ახალგაზრდებში საამისო პოტენციალს ვხედავ. ივლისში დანიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები გაიმართება. მჯერა, ჩვენ მას მოვიგებთ.

— ნაკრებს დავუბრუნდეთ. რას გეგმავთ ევროპაზე?

— ჩემი პროგნოზით, სხვადასხვა სინჯის ოთხი მედალი უნდა მოვიპოვოთ, ამათგან ორი ოქროსი. გამორიცხული არც უკეთესი შედეგია. თუმცა ისიც გავითვალისწინოთ, რომ ევროპა ძიუდოში უძლიერესია — გუნდების უმეტესობას შემადგენლობაში ევროპის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და მედალოსნები ჰყავს.

— მედალი ნახევარი გუნდისთვის დაგიგეგმავთ. ცოტა ზედმეტი ხომ არ მოინდომეთ?

— მოსამზადებელი ეტაპი ჩინებულად გაიარა გია გუგავამ. კარგები იყვნენ რევაზიშვილიც და ხერგიანიც. ხერგიანი ახლაც ბრწყინვალე ფორმაშია. ნურც დავითაშვილის მიერ ლეონდინგისა და მიუხენის ტურნირებში მოპოვებულ ვერცხლ-ბრინჯაოს დავივიწყებთ. ცუდ ფორმაში არც ჯიქურაული და ჩოჩიშვილი არიან.

— სოსო ლიპარტელიანს ადრე, ცოტა არ იყოს, ემდურეოდით...

— ის ტურნირებზე სუსტად გამოვიდა, მაგრამ შეკრებებზე ბევრად მოუმატა და ახლა ჩინებულ ფორმაშია. ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც კარგადაა მომზადებული. შეიძლება ითქვას, მან დაკარგული აინაზღაურა.

ირაკლი თავაძე

ხუთჭიდი

ახალი დროება შარშან დაიწყო



ბადრი ბერიძის ფოტო

ნოდარ ბარავი, ამირან შეროზია, თემურ ბალაკარი და დავით ჭულუხაძე

26 მაისს ვარშავაში დაიწყება ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. მასში საქართველოს ხუთჭიდელებიც გამოვლენ — დავით ჭულუხაძე, ნოდარ ბარავი და თემურ ბალაკარი. პირადთან ერთად ისინი გუნდურ პირველობაშიც ასპარეზებენ. წესით, გუნდის შემადგენლობაში სამი ძირითადი და ერთიც სათადარიგო სპორტსმენი უნდა იყოს. ჩვენი პირობების გადამკიდე, სათადარიგოს ვინღა დაეძებს, ესენიც რომ შეინარჩუნეს და ვარშავაში აგზავნიან, დიდი საქმეა. დეპარტამენტს თბილისის სპორტის სამმართველოც შეეშველა და ახალი დროების ქართული ხუთჭიდის ისტორიაში ჩვენი ნაკრები მეორედ ჩაებმება ევროპის ჩემპიონატში — პირველად შარშან სცადა ძალა და მე-16 ადგილი დაიკავა.

გუნდის წევრთაგან წლეულს ტურნირებში მხოლოდ ჭულუხაძემ ასპარეზი (კიევსა და გერმანიაში), დანარჩენები მარტო ვარჯიშის იმედად არიან. ასეთ პირობებში ბიჭებისგან წარმატებას ნაკლებად ველით. საინტერესოა, რა შედეგს მიაღწევს ჭულუხაძე — მიუახლოვდება თუ არა ელიტას. აი, ვახტანგ იაგორაშვილის შენარჩუნება რომ მოგვეხერხებინა, მაშინ პირადშიც და გუნდურშიც გაგვიჩნდებოდა პრეტენზიები.

9 მაისს ჩვენი ნაკრები მთავარ მწვრთნელ ამირან შეროზიას ხელმძღვანელობით მინსკში მიემგზავრება შეკრებაზე. პოლონეთსაც იქიდანვე ეწვევიან.

ირაკლი თავაძე

REUTERS მიღებულია

ლორან ჟალაბერი

ᲓᲐᲓᲚᲝᲚᲔᲑᲘ ᲜᲣ ᲛᲔᲒᲕᲐᲜᲣᲚᲔᲑᲔᲛ!

ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ლორან ჟალაბერმა (ონსე) „რომანდის ტურის“ ლიდერობა დაიბრუნა. მან მოტიედან მოლეზონამდე 171 კმ-იანი მეორე ეტაპი მოიგო. საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფი იტალიელი გაბრიელე მისალია მას 26 წამით ჩამორჩა (მანამდე 32 წამს უგებდა), მაგრამ პრემიალური წამების წყალობით, რომლებიც მთელი დისტანციის მანძილზე თამაშდებოდა, ფრანგმა ყვითელი მაკა დაიბრუნა.

„იერიშზე გადასვლა მაშინ გადავწყვიტე, როცა შევამჩნიე, მოწინააღმდეგეებმა ძლივს მოახერხეს იტალიელი ძაიანის შეტევის გაუნეიტრება. მივხვდი, რომ ბევრი ძალა აღარ ჰქონდათ“ — ახსნა თავისი გამარჯვების მიზეზი ჟალაბერმა.

მსოფლიოს ჩემპიონ ოსკარ კამენზინდისა (შვეიცარია) და გაბრიელე მისალიას გუნდმა „ლამბრეიმ“ მთელი ეტაპი კარგად აკონტროლა, არავის მისცა დიდი ხნით წინ წასვლის შესაძლებლობა. თუმცა ლამბრელები ბოლოს დაიღალნენ და ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე ჟალაბერის გადამწყვეტ — შეტევას ველარაფერი მოუხერხეს. „ბოლეზონის“ აღმართზე ფრანგს მხოლოდ „საეკოს“ წევრი ლეონარდო პიეპოლი (იტალია) გაჰყვა. რამდენიმე ხანს ორი მოწინააღმდეგე ველოსიპედისტი ერთად მიდიოდა, მაგრამ ჟალაბერის საფინიშო აჩქარებას პიეპოლი ველარ აჰყვა და საბოლოოდ მასთან 9 წამი წაგო.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲥᲕᲐᲫᲔ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 4 საათი, 29 წუთი და 30 წამი
2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია) — ჩამორჩა 9 წამით
3. ბეატ ზბერგი (შვეიცარია) —
4. პაოლო სავოლდელი (იტალია) —
5. სიმონე ბორგერეზი (იტალია) — ყვავლა ჩამორჩა 21 წამით
6. ვლადიმირ ბელი (იტალია)
7. ოსკარ რიბერა (ესპანეთი)
8. ანდრე ნოე (იტალია)
9. ივან გოტი (იტალია)
10. გორაზდ სტანგელი (სლოვენია) — ყვავლა ჩამორჩა 26 წამით

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ლორან ჟალაბერი — 9 საათი, 53 წუთი და 55 წამი
2. გაბრიელე მისალია (იტალია) — ჩამორჩება 4 წამით
3. პაოლო სავოლდელი — ჩამორჩება 10 წამით
4. ვლადიმირ ბელი — ჩამორჩება 18 წამით
5. ნიკი აებერსოლდი (შვეიცარია) — ჩამორჩება 22 წამით
6. გორაზდ სტანგელი — ჩამორჩება 32 წამით
7. ბეატ ზბერგი — ჩამორჩება 36 წამით
8. ლეონარდო პიეპოლი — ჩამორჩება 50 წამით
9. ანდრე ნოე — ჩამორჩება 52 წაით
10. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) — ჩამორჩება 1 წუთით და 3 წამით

ᲰᲐᲨᲔᲙᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ

STANLEY CUP PLAYOFFS

მეოთხედფინალი. 6 მაისი

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ — ᲑᲣᲤᲐᲚᲝ 1:0

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ — ᲑᲣᲤᲐᲚᲝ 4:2

1:0 2:1 1:1

1:0 ელისონი 13'59 (1); 2:0 ხრისტიჩი 35'21 (1); 2:1 ფიტნიკი 38'19 (2); 3:1 ტორნტონი 39'46 (2); 3:2 ვული 49'37 (1); 4:2 ხრისტიჩი 59'48 (2)

გამართლდა ბაირონ დაფოს ნათქვამი — დომინიკ ჰაშეკიც ადამიანია და ხანდახან ისე თამაშობს, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთ შეეფერებათ. ახლაც ასე მოხდა და ბოსტონელები სერიაში დაწინაურდნენ.

„ყველაზე უფრო ამის მეშინოდა. ბოსტონელები ჩემს სიახლოვეს ძალიან აქტიურად მოქმედებდნენ და უკიდურესად გამირთულეს საქმე“ — მატჩის შემდეგ დომინიკი დანაღვლიანებულიყო. თუმცა იქვე დასძინა, ერთი თამაში არაფერს წყვეტსო. არა, არ გეგონოთ, რომ „დომინატორმა“ აშკარა შეცდომები დაუშვა, მაგრამ ჩვეულად ვერ ითამაშა და „დათვებსაც“ თავისდა უნებურად ხელი შეუწყო.

მეორე გადამწყვეტი ფაქტორი, „დათვების“ მწვრთნელ პეტ ბერნსის აზრით, პირველი პერიოდის შედეგი გახდა: „ვიცოდით, რომ ბუფალო სასტარტო პერიოდში განსაკუთრებით სახიფათოა (ოტავასთან სერიაში „ხმლებმა“ პირველი პერიოდები საერთო ანგარიშით 5:1 მოიგეს), ამიტომ ბიჭები საგანგებოდ გავაფრთხილე.“

ბერნსის შეგირდებმაც იყოჩაღეს და თავიდანვე დაწინაურებულებმა მეტოქეს არც ერთხელ მისცეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. როგორც იქნა, პირველი შაიბები მიითვალეს გუნდის ლიდერებმა ჯესონ ელისონმა და დმიტრი ხრისტიჩმა. „ხმლებს“ კი, თავის მხრივ, არ ჰყავდათ წამყვანი გოლადორი მიროსლავ შატანი და მისი არყოფნით დასუსტებულმა სტუმართა თავდასხმამ, მიუხედავად არაერთი ხელსაყრელი მომენტისა, ზუსტი და სახიფათო დარტყმებით ნაკლებად შეაწუხა ბაირონ დაფო. სერიის მარცხიანმა დასაწყისმა ბუფალოს მწვრთნელი ლინდი რაფი სერიოზულად დააფიქრა: „ვიდეოჩანაწერის დაკვირვებით შესწავლა მმართებს, თორემ ვერ გამიგია, რატომ ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც გვსურდა.“



REUTERS ბოსტონიდან

ბოსტონელმა „დათვმა“ ტიმ ტეილორმა ბუფალოელი ვაცლავ ვარადა დატორა

REUTERS დალასიდან

სენტ ლუისის მეკარე გრანტ ფიური დალასელებისგან ძალიან დაიჩაგრა

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 1:0

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 3:0

1:0 1:0 1:0

1:0 ვერბიკი 2'25 (1); 2:0 ჰალი 20'49 (1); 3:0 მოდანო 59'28 (2)

„ვფიქრობ, ესოდენ ხანგრძლივმა პაუზამ იმოქმედა (პირველ რაუნდში ედმონტონთან გამარჯვების შემდეგ დალასმა 8 დღე დაისვენა) და ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვიძლია“ — დალასის მეკარე ედ ბელფორი მატჩის შემდეგ მოკრძალებული იყო. „ვარსკვლავთა“ ბრწყინვალედ ორგანიზებულმა დაცვამ მას ძალიან გაუიოლა საქმე — სტუმრებს ერთობ ცოტა საგოლე მომენტი ჰქონდათ. ერთხელ პიერ ტარჯონმა წაქცეულ ბელფორს ვერ გადაატარა თავზე შაიბა, მატჩის მიწურულს კი პრაქტიკულად მოედნიდან გაუსვლელი ელ მაკინისი (მთლიანობაში 34 წუთი ითამაშა) ეცადა სამჯერ, მაგრამ სამჯერვე მეკარემ ივარგა. მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მასპინძელთა სწრაფი შაიბა — სამკვირიანი იძულებითი დასვენების შემდეგ დაბრუნებულ ვეტერან პეტ ვერბიკს ჯო ნუნდაკის ჩინებული რეიდის და დარტყმის შემდეგ მხოლოდ გადამეტებაღა დასჭირდა. ასეთი დასაწყისის შემდეგ სენტ ლუისი აშკარად დაიბნა და მხოლოდ მესამე პერიოდში მოეგო ოდნავ გონს, თუმც მანამდე სახელოვანმა ბრეტ ჰალმა როგორც იქნა, გახსნა პირადი ანგარიში წლევანდელ პლეი ოფში და კარიერაში 70-ე სათასო შაიბა მიითვალა, ხოლო როცა დალასი ორ შაიბას იგებს, მისი ძლევა შეუძლებელია. თამაშის ბოლოს კი მეტად უსიამოვნო ინციდენტი მოხდა — სენტ ლუისის ერთ-ერთი ბოლო შეტევის დროს ვერბიკმა სრულიად უმიზეზოდ მოარტყა ტარჯონს ფეხში ყვანჯი, მაგრამ მსაჯებს ეს გამოეპარათ, მერე კი უკვე სენტლუისელებმა „ივაჟკაცეს“, ახალბედა ჯამალ მაიერსმა დალასის მცველი დერრილ საიდორი დააშავა.

ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

დასრულდა პირველი ეტაპი და მეორე, საპლეიოფო რაუნდის მონაწილე რვა გუნდიც გამოვლინდა. ამგვარად, **E** ჯგუფის გუნდები — კანადა, ფინეთი, შვეიცარია და აშშ ბრძოლას ჰამარაში გააგრძელებენ, ხოლო **F** ჯგუფის შვედეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და რუსეთი ერთმანეთს ოსლოში შეეცილებიან პირველობას.

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 6:0 (3:0 2:0 1:0)

1:0 ფიშერი 11'16; 2:0 შტრაიტი 15'00; 3:0 შტრაიტი 15'33; 4:0 ფიშერი 35'45; 5:0 დელაროსა 36'41; 6:0 ფონ არკსი 52'28

ფრანგებს მოგების შემთხვევაში გარკვეული შანსები უჩნდებოდათ, მაგრამ შვეიცარიელებმა მათ უმალ მიუჩინეს „კუთვნილი“ ადგილი. ჯერ იყო და, პატრიკ ფიშერმა უმცირესობაში იმარჯვა, შემდეგ კი მცველმა მარკ შტრაიტმა ორჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა.

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ — ᲚᲐᲢᲕᲘᲐ 4:3 (1:1 2:0 1:2)

1:0 სუნდსტრიომი 5'49; 1:1 ფანდული 13'47; 2:1 ნიულანდერი 31'33; 3:1 პოლსონი 36'19; 4:1 დიუსი 49'21; 4:2 ჩუდინოვსი 50'13; 4:3 ჟოლტოკსი 51'38

სკანდინავიელები ცდილობდნენ, ძალები დაეზოგათ და ისე მოეგოთ მეტოქისთვის, მაგრამ ბალტიისპირელები ბოლომდე იბრძოდნენ და რომ არა ედმონტონის მეკარე ტომი სალო, ალბათ, საპატიო ფრეს გამოჰკრავდნენ ხელს. თუმც მასზე არანაკლებად ითამაშა ლატვიელთა გოლკიპერმა არტურ ირბემ, რომელმაც საოცარი ერთგულება გამოიჩინა. კარლინის მეკარე თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩავიდა თავისიანების დასახმარებლად, მატჩის დასრულების შემდეგ კი დაღუპული თანაკლუბელის — სტივ ჩესონის დაკრძალვაზე გაემგზავრა, თუმცა დაიბარა, რომ კვლავ დაბრუნდება და ლატვიელებს შემდეგ მატჩებშიც დაეხმარება.

D ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ 6:1 (2:1 3:0 1:0)

0:1 ლიტვინენკო 0'15; 1:1 ვ. პანკოვი 1'21; 2:1 ანტონენკო 4'35; 3:1 ანდრიევსკი 32'42; 4:1 კოვალიოვი 38'02; 5:1 ანტონენკო 39'47; 6:1 დ. პანკოვი 55'32

უკრაინელებმა ტრადიციას არ უღალატეს და კვლავ პირველებმა გაიტანეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. ბელარუსებმა კი დიდი ანგარიშით მოგებით რუსებს ძალიან გაურთულეს საქმე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲤᲘᲜᲔᲗᲘ 3:3 (2:0 1:0 0:3)

1:0 იაშინი 6'51; 2:0 იაშინი 18'15; 3:0 იაშინი 35'85; 3:1 კოივუ 50'09; 3:2 ტუომაინენი 57'04; 3:3 კარალაჰტი 59'58

ეს ჯერჯერობით ტურნირის ყველაზე საინტერესო მატჩი იყო. რუსთა ნაკრებს პირველად დაემუქრა მეორე ეტაპს მიღმა დარჩენის საფრთხე. სწორედ ამან განაპირობა მათი ორგანიზებული და მობილიზებული თამაში, განსაკუთრებით დაცვაში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ რუსებმა პირველივე მომენტი გამოიყენეს. ცალკე უნდა ითქვას ალექსეი იაშინზე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში უფერულად მოთამაშე ნაკრები შეიკრა და შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენა. ოტაველი ყველაფერს ასწრებდა — ერთბაშად ორ სამეულში თამაშობდა, დაცვასაც ეხმარებოდა და გოლებიც გაჰქონდა. მეორე და მესამე შაიბებიც მისი ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი გახლდათ და თითქოს სენსაციაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სკანდინავიელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მატჩის მიწურულს რუსები დაიღალნენ, რამდენჯერმე უსაფუძვლოდ დაარღვიეს წესი და შეუპოვრად მებრძოლმა საკუ კოივუმაც (1+2), რომელმაც ფინელთა ლიდერობა ითავა, ზუსტი პასით იერე კარალაჰტის გაათანაბრებინა. მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრე გატანილი შაიბის წყალობით ფინელებმა შედარებით სუსტ, E ჯგუფში გადაინაცვლეს.

REUTERS ოსლოდან

შვედი მცველი პერ დიუსი ლატვიელ ოლეგ ზნაროკსთან ბრძოლაში უჩაფხუტოდ დარჩა

B ჯგუფი					
შვედეთი	3	0	0	14:5	6
შვეიცარია	2	0	1	12:9	4
ლატვია	1	0	2	14:14	2
საფრანგეთი	0	0	3	6:18	0

D ჯგუფი					
ფინეთი	2	1	0	10:5	5
რუსეთი	1	2	0	9:6	4
ბელარუსი	1	1	1	9:7	3
უკრაინა	0	0	3	3:13	0

ჯგუფებში მესამენი, ნორვეგია, ლატვია, ავსტრია და ბელარუსი მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის ითამაშებენ, აქედან მეცხრე-მეათეადგილოსნები უძლიერესთა ჯგუფში დარჩენას გაინაღდებენ.

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99

LILLEHAMMER - HAMAR - OSLO

1.mai - 16.mai

7 მაისი

E ჯგუფი

ჰამარი

კანადა — შვეიცარია 8:2

2:0 4:1 2:1

კანადა: ფრიზენი (7'10), ნიდერმაიერი (8'24), გრეივსი (25'34), სტილმანი (26'14), უოლკერი (34'06), ტორნტონი (39'27, 47'53, 58'36)

შვეიცარია: ფონ არკსი (20'54), ფიშერი (56'44)

ფინეთი — აშშ 4:3

0:1 3:1 1:1

ფინეთი: იოკინენი (24'37), ტიმონენი (27'49), კოივუ (39'33), სელიანე (52'21)

აშშ: კლეტი (5'52, 20'18), ჩორსკი (41'53)

F ჯგუფი

ოსლო

რუსეთი — ჩეხეთი 6:1

3:1 0:0 3:0

რუსეთი: იაშინი (10'40, 58'35), გუსმანოვი (13'28), პეტრენკო (16'50), სუშინსკი (45'05), პროკოპიევი (49'26)

ჩეხეთი: ვლასაკი (1'10)

შვედეთი — სლოვაკეთი 2:1

0:0 2:0 0:1

შვედეთი: ნესლუნდი (30'11), იუჰანსონი (39'25)

სლოვაკეთი: ციგერი (49'06)

REUTERS ანდოლოდან

ჩეხმა მარტინ რუჩინსკიმ ორი რუსი, ალექსანდრ პროკოპიევი და სერგეი პეტრენკო მიყარ-მოყარა, მაგრამ მისი გუნდი რუსებთან ძალიან შერცხვა

ინგლისი

XXXI ტური

ბარლიერი 1:2 ბლეკბერნი

0:1 შუერი (55); 0:2 ნოზერიკი (70); 1:2 ბოდე (72)

ჰანზა 3:0 შტუტგარტი

1:0 რომერი (29); 2:0, 3:0 მაიაკი (80,89)

II ბუნდესლიგა

XXIX ტური

დიუსელდორფი 1:1 ჰანოვერი

ფორტუნა 2:2 ულმი

კიკერსი 2:0 კიოლნი

ჰოლანდია

XXXII ტური

სიტარდი 6:4 ეინდჰოვენი

ავსტრია

XXVII ტური

ტიროლი 1:0 გრაცერი

თურქეთი

XXXI ტური

ანთალია 1:2 სამსუნი

REUTERS პარიზიდან

გორგოლაჭებით დედამიწის გარშემო

დედამიწის გარშემო შემოვლას ადამიანები მრავალგვარად ცდილობენ. ჩვენებური ჯუმბერ ლევაჟა, მაგალითად, უბრალო ველოსიპედს არჩევს, მსოფლიო მებუშტეები როგორღაც უფრო საპერო ბუშტებს ეტანებიან, აი, ამ ჭკუამხიარულმა ფრანგმა, ფაბრის გროპემ კი 27 ათასი ოვალური კილომეტრი ჩვეულებრივი გორგოლაჭებიანი ციგურებით დაფარა... ფოტოზე იგი თავისი 28-თვიანი სრიალისა თუ ჭრიალის უკანასკნელ მეტრებს პარიზში, ტრიუმფალური თაღის გვერდით ფარავს...

ჩვენ ამისგან გავაკეთებთ...

REUTERS ოლიმპიადიდან

იაპონელები სამხრეთ კორეელებთან ერთად 2002 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებენ. ჰოდა, საამისო მზადება იქ უკვე დიდი ხანია გაჩაღებულა. ფოტოზე ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე (მარცხნივ) თავისი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თანაფიფელი კოლეგების თვალწინ იოკოჰამაში ასაგები საერთაშორისო სტადიონის მაკეტს დასცქერის და, თუ ამ ამბის სხვა მომსწრეებს ვენდობით, რაღმე გონივრულ შენიშვნებსაც გამოთქვამს...

ჰკა მაგას, მაგის...

ესპანური ხერესის სარბოლო ტრასა ხვალ 500 „კუბურსანტიმეტრიან“ მოტოციკლთა მორიგ გრან-პრის გაუწვება. საპაექრო ადგილას მრბოლები უკვე კარგა ხანია ჩასულან და თავს ხან როგორ ირთობენ და ხანაც როგორ... ესპანელ ალექს კრივილს გუშინ გამოცდილი მეხარის, ალვარო დომეკის რანჩოზე მისელა და მის სავარჯიშო ჭოჭინა-ხართან შერკინება აურჩევია. როგორც სენიორ დომეკი ამბობს, „ეგ ამბავი, შვილო, რეაქციას აუმჯობესებს და მწოვედ კაცობასაც ჰმატებსო“... მართალია ბებერი მეხარის ეგ ცოდნა თუ არა, მაგას დაინტერესებული მკითხველი ალექსს ხვალინდელი გამოსვლიდან მიხვდება.



REUTERS ხერესიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29